საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
# საქართველო და მსოფლიო
www.geworld.ge
№40 (511)
6 - 12 ნოემბერი, 2019
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## დასავლეთმა მაშინვე გაყიდა და მიატოვა უკრაინა, როგორც კი გამოარჩენა დაინახა, ჩვენ სხვანაირად რატომ მოგვექცევა?! 10

## ეკლესია უნდა გაიწმინდოს და გაიწმინდოს რაც შეიძლება მალე! 4



## თუ ერი ვართ და არა უსახური არსებების ბრბო...



მამა გიორგი (რაზმაძე): 5

## ბინძური ცილის-მწამებლური კამპანიის მომდევნო სერიებს აუცილებლად ვიხილავთ

## სააკაშვილი თურქებს მომავალ არჩევნებში დახმარების სანაცვლოდ აჭარას ჰპირდება 7



ამა წლის სექტემბერში სტამბოლში ე.წ. მსოფლიო პატრიარქს ცნობილი ხლისტები სტუმრობდნენ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე შეტევა, ალბათ, ბართოლომეოსის რეზიდენციიდან მოდის 6



მაოხრებელი გზირები

## ბართოლომეოსის ხრიკები 11



ალექსანდრე ჭაჭია:

## საქართველოს «ზემოდან» აქვს დაშვებული მოცემულობა, რომ აქ უნდა იყოს მხოლოდ ორი «მოპაექრე» ძალა — «ოცნება» და «ნაცმოძრაობა» თავიანთი განაყოფებით 2

## საქართველო მრავალპოლუსიანი მსოფლიოს წესრიგის გარიჟრაჟზე



16

ჩაკუჩხი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბოლო ათწლეულების განმავლობაში შექმნილ მსოფლიო ფინანსურ სისტემას ლაგამამოდებული ჰყავს უკლებლივ ყველა მდიდარი ადამიანი დედამიწაზე. თუ დასჭირდათ, ნებისმიერ მათგანს უქონელ მათხოვრად და დევნილ დამნაშავედ აქცევენ. ამ წესიდან არც ივანიშვილია გამონაკლისი. რომელ ვალუტაში აქვს მას თავისი კაპიტალი? ლარში? — არა, აშშ დოლარში! მაშასადამე, ფულიც ამერიკული ბანკების ანგარიშებზე აქვს. ამით ყველაფერია ნათქვამი“.**

**ცნობილი პოლიტოლოგის — ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუებს ყოველთვის დიდი ინტერესით ელოდება არა მხოლოდ მკითხველი, არამედ ექსპერტების დიდი ნაწილი, რადგან მისი შეფასებები და პოლიტიკური პროგნოზები ფრიად აქტუალურია, განსაკუთრებით — არჩევნების წინ. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს პირველ ნაწილს.**

# ალექსანდრე ჭაჭია: საქართველოს «ზემოდან» აქვს დაშვებული მოცემულობა, რომ აქ უნდა იყოს მხოლოდ ორი «მოპაექრე» ძალა — «ოცნება» და «ნაცმოძრაობა» თავიანთი განაყოფებით



**ცხოვრებამ ცხადყო, რომ ივანიშვილი სრულიად უსუსურია იმაში, რასაც ასე თავმომწონედ იკვეხნიდა: სრულიად არ აქვს ანალიზისა და პროგნოზირების უნარი და საერთოდ ვერ ერკვევა კადრებში. ნახეთ, როგორი პრეზიდენტები წამოგვასვა თავს, როგორი პრემიერები, მინისტრები, დეპუტატები დაგვისვა. ესენი არიან ქართველი საზოგადოების რჩეული ნაწილი? ესენი არიან საქართველოს ელიტა? ჩვენი ხალხის ნამდვილი სახე? ივანიშვილმა ვერც მათი არაკომპეტენტურობა ვერ გამოიცნო და მათი პირადი ერთგულების დონეც ვერ გათვალა. თითქმის ყველა მათგანმა უღალატა, უბრალოდ რომ ვთქვათ, მათ ის „გადააგდეს“**

**— ბატონო ალექსანდრე, როგორც შევიტყვეთ, საქართველოს პრეზიდენტთან არსებულმა მოქალაქეობის საკითხთა კომისიამ თქვენ, დაბადებით საქართველოს მოქალაქეს, რომელმაც მთელი ცხოვრება აქ გაატარეთ, უარი გითხრათ საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნებაზე. ეს მართალია?**

— დიახ, მართალია. შარშან მიღებული კანონის თანახმად, მე შევიტანე განცხადება საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნებაზე და მივიღე უარი. უარის მიზეზი არის ის, რომ მე საშიში ვყოფილვარ საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის. თურმე საქართველოს უსაფრთხოებისთვის ის ხალხი კი არ ყოფილა საშიში, რომელმაც ძმათამკვლელი ომი გააჩაღა აფხაზეთსა და ცხინვალში და ეს რეგიონები მოსწყვიტა ქვეყანას, არც ისინი, ვინც ძარცვავდა და ხოცავდა თანამემამულეებს სამეგრელოში, ვინც ქვეყნის დეინდუსტრიალიზაცია მოახდინა, მოსპო ქვეყანაში განათლება, მეცნიერება, კულტურა, ქვეყანას ნატოში ექაჩება და აქ უცხო ჯარის ჩაყენება უნდა და ამით ქვეყანას სამუდამოდ უსპობს გამთლიანების შესაძლებლობას, არც ისინი, ვინც გულუხვად ურიგებს შეწყალებას მკვლელებსა და ნარკომოვაჭრეებს. არა, ისინი ქვეყნისთვის საშიშნი არ არიან, საქართველოს უსაფრთხოებისთვის საშიში თურმე მე ვყოფილვარ, რომელიც ყოველთვის ვგმობდი მოღალატურ, ანტისახელმწიფოებრივ, ანტიქართულ პოლიტიკას.

**— რატომ მოიქცა ასე ხელისუფლება? თქვენ ხომ ბოლო წლებში ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში არ მონაწილეობდით?**

– მთელი ჩემი პოლიტიკური საქმიანობა იყო ის, რომ ორსამ წელიწადში ერთხელ ინტერვიუს ვაძლევდი თქვენს გაზეთს ან „ასავალ-დასავალს“, როგორც ყველაზე პატრიოტულ გამოცემებს, მაგრამ მე ხშირად მომმართავდნენ ხოლმე საზოგადოების წარმომადგენლები და მთხოვდნენ თანადგომას ისეთი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებაში, რომელიც წინ აღუდგებოდა ქვეყნის ძარცვა-ნგრევასა და საბოლოოდ დაშლას. ასეთმა მომართვებმა ძალიან მოიმატა ამ ზაფხულს, მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ. თანამოაზრეებთან საუბრების შემდეგ მე ვუთხარი მათ, რომ არჩევნებში პირადად არ მივიღებდი მონაწილეობას, მაგრამ ყველა შესაძლებლობით დავეხმარებოდი იმ კანდიდატებს, რომლებიც იქნებოდნენ ეროვნულად ორიენტირებული, ინტელექტუალურად განვითარებული და ქართულად აღზრდილი ადამიანები. ეს, ალბათ, შეიტყვეს სპეცსამსახურებმა, რომელთა ყურადღება არც ერთი მთავრობის პერიოდში არ მაკლდა, და ხელისუფლებამ იმაზე მეტი ვერ მოიფიქრა, რომ ამ გზით სცადა ქართული პოლიტიკიდან ჩემი ჩამოშორება.

უნდა გითხრათ, რომ **ამ ზაფხულს გამართულმა შეხვედრებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ჩვენს ქვეყანაში ბევრია შესანიშნავი ადამიანი, ინტელექტუალი და პატრიოტი, რომლებსაც შეუძლიათ ახალი ქართული პოლიტიკის შექმნა, რომლებსაც ხელეწიფებათ ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანა, შეუძლიათ აღმშენებლობისა და განვითარების პროცესის წამოწყება და გაძღოლა, საქართველოს გაერთიანება და ქართველობის, როგორც უნიკალური კულტურულ-ისტორიული ფენომენის, შენარჩუნება.** სამწუხაროდ, არსებული პოლიტიკური სისტემა და საქართველოს კოლონიური დამოკიდებულება ამ ხალხს არ აძლევს ქმედითი პოლიტიკური ძალის შექმნის საშუალებას. **საქართველოს „ზემოდან“ აქვს დაშვებული მოცემულობა, რომ აქ უნდა იყოს მხოლოდ ორი „მოპაექრე“ ძალა — „ოცნება“ და „ნაცმოძრაობა“ თავიანთი განაყოფებით. ორივე ეს ძალა ერთნაირად მართულია, ანგაჟირებული და არასოდეს არ შეეწინააღმდეგება ქვეყნისა და ერის გახრწნა-დეგრადაციას, აზრადაც კი არ გაივლებენ ამას.**

**— რა არის ქართველი პოლიტიკოსების ასეთი შემრიგებლურობის მიზეზი? ისინი ხომ ქართველები არიან, აქ ხომ მათი სამშობლოა, მათი მშობლიური ხალხი?**

— ქართველ პოლიტიკოსთა უმრავლესობისთვის მთავარია პირადი გამორჩენა, აქედან მომდინარეობს მათი მოღალატური საქციელიც. მთელი მათი პოლიტიკური საქმიანობის არსი არის ის, რომ დროულად მიატოვონ ძველი პატრონი და მიეტმასნონ ახალს. შეხედეთ ქართული პოლიტიკის მთავარ, ნიშანდობლივ ფიგურებს. **ამ ხალხმა ჯერ გაყიდა შევარდნაძე — მათი „სულიერი მამა“, რომელმაც ისინი პოლიტიკაში მოიყვანა, ანი და ბანი ასწავლა და ფეხზე დააყენა; უღალატა მას და მიეტმასნა სააკაშვილს, რომელმაც პირველმა უღალატა „გამზრდელს“. მერე, როცა სოციალური აფეთქების შიშით ამერიკელებმა სააკაშვილის „ჩაჩოჩება“ გადაწყვიტეს, მასაც უღალატა და ახლა უკვე ივანიშვილს მიეტმასნა. ამ უკანასკნელმა ამ ადამიანებისთვის გააკეთა ყველაფერი – დააბრუნა ისინი პოლიტიკაში, ჩამოურიგა სახელმწიფო თანამდებობები, უზრუნველყო მატერიალურად, ფაქტობრივად, გააცოცხლა ეს პოლიტიკური გვამები.** ახლა, როგორც კი შეატყვეს, რომ ამერიკელებმა ივანიშვილის შემცვლელის ძებნა დაიწყეს, უღალატეს მასაც. **ღალატი ამ ადამიანების პროფესიაა. თუ მათთვის ხელსაყრელი იქნება, ისინი გაყიდიან ყველას და ყველაფერს: ლიდერს, იდეას, პარტიას, ერს, სამშობლოს. საქმე მხოლოდ საზღაურის ოდენობაშია.**

**— მაგრამ ივანიშვილს ხომ ფული არ აკლია, მატერიალურად ის არავისზე დამოკიდებული არ არის. ხალხმაც სწორედ ამიტომ მისცა ხმა 2012 წლის არჩევნებზე. რატომ ვერ იქცა ის ეროვნულ ლიდერად?**

— ჯერ ერთი, მდიდარ ადამიანს დასაკარგი გაცილებით მეტი აქვს, ვიდრე ღარიბს. ის თავისი სიმდიდრის ტყვეა, ამიტომ მდიდარი ადამიანის დამოუკიდებლობა ილუზიაა. **ბოლო ათწლეულების განმავლობაში შექმნილ მსოფლიო ფინანსურ სისტემას ლაგამამოდებული ჰყავს უკლებლივ ყველა მდიდარი ადამიანი დედამიწაზე. თუ დასჭირდათ, ნებისმიერ მათგანს უქონელ მათხოვრად და დევნილ დამნაშავედ აქცევენ. ამ წესიდან არც ივანიშვილია გამონაკლისი. რომელ ვალუტაში აქვს მას თავისი კაპიტალი? ლარში? — არა, აშშ დოლარში! მაშასადამე, ფულიც ამერიკული ბანკების ანგარიშებზე აქვს. ამით ყველაფერია ნათქვამი.**

მეორე — ივანიშვილის (უფრო ზუსტად, საქართველოს) უბედურება არის ის, რომ მან ვერა და ვერ შეძლო სახელმწიფო მოღვაწედ ჩამოყალიბება. სწორედ ამას ვშიშობდი, როცა მისი ხელისუფლების დასაწყისში საჯაროდ გავაფრთხილე, რომ ქვეყნის მართვა და ფინანსური სტრუქტურის მართვა სრულიად სხვადასხვა რამაა. ამაზე მეპასუხებოდნენ ხოლმე, რომ თუკი მან მილიარდების შოვნა შეძლო, ქვეყნის ფეხზე დაყენებაც არ გაუჭირდებოდა. ვინც ასე მსჯელობდა, იმას არ ითვალისწინებდა, რომ 1990-იანი წლების რუსეთში მილიარდის შოვნას დიდი ჭკუა არ სჭირდებოდა, საამისოდ სხვა თვისებები იყო საჭირო, რომლებიც ივანიშვილს, ჩანს, აღმოაჩნდა და რომლებიც ქვეყნის სამართავად სრულიად უვარგისია.

თუ გახსოვთ, თავისი მმართველობის დასაწყისში ივანიშვილი ფრიად გაწელილ მრავალრიცხოვან ინტერვიუებს არიგებდა და მუდმივად გვიმტკიცებდა, რომ შეუძლია მოვლენების ბრწყინვალე ანალიზი და რომ უშეცდომოდ შეუძლია კადრების შერჩევა. თვითკმაყოფილების ასეთი საჯარო დემონსტრირება ეჭვებს აჩენდა, მაგრამ იქვე ის აზრიც გიჩნდებოდა ადამიანს, რომ ზრდასრული კაცია და მეტნაკლებად გაცნობიერებული აქვს თავისის შესაძლებლობები. **ცხოვრებამ ცხადყო, რომ ივანიშვილი სრულიად უსუსურია იმაში, რასაც ასე თავმომწონედ იკვეხნიდა: სრულიად არ აქვს ანალიზისა და პროგნოზირების უნარი და საერთოდ ვერ ერკვევა კადრებში. ნახეთ, როგორი პრეზიდენტები წამოგვასვა თავს, როგორი პრემიერები, მინისტრები, დეპუტატები დაგვისვა. ესენი არიან ქართველი საზოგადოების რჩეული ნაწილი? ესენი არიან საქართველოს ელიტა? ჩვენი ხალხის ნამდვილი სახე? ივანიშვილმა ვერც მათი არაკომპეტენტურობა ვერ გამოიცნო და მათი პირადი ერთგულების დონეც ვერ გათვალა. თითქმის ყველა მათგანმა უღალატა, უბრალოდ რომ ვთქვათ, მათ ის „გადააგდეს“.**

ივანიშვილის პროგნოზებსა და საჯარო დაპირებებს რაც შეეხება, ამაზე სასაცილოა ლაპარაკი. საყოველთაო სახალხო კეთილდღეობის ივანიშვილისეულმა „ოთხწლედმა“ დიდი ხანია, ჩაიარა, კარგი ცხოვრება კი როგორც არ იყო, ისევ არ არის. დაპირება ხომ პროგნოზის საფუძველზე კეთდება, პროგნოზი კი ანალიზის უნარიდან გამომდინარეობს. **ძალიან სამწუხაროა, რომ უდიდესი ნდობის მქონე ივანიშვილი ძალიან სუსტი მმართველი გამოდგა, ვერ ჩამოყალიბდა პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწედ, კერძო საფინანსო კომპანიის მენეჯერის დონეს ვერ გასცდა. ნდობის ანტირეიტინგით მან მმართველობის მიწურულის შევარდნაძესაც და** ▶

**მისმა უწმინდესობა ილია მეორემ ჯერ კიდევ 2001 წლის „საალდგომო ეპისტოლეში“ დაგვმოძღვრა: „ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, ყველაზე მისაღები პოზიცია ნეიტრალიტეტია!“; ხელისუფალნო, ახლა მაინც გაითავისეთ ეს ბრძნული რჩევა.**

ჩაკუჩსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ სააკაშვილსაც აჯობა. ეს საქართველოსთვის დაკარგული წლები და ხელიდან გაშვებული შანსია...**

**— ჩვენი პრეზიდენტის საქმიანობა სულ უფრო მზარდ უკმაყოფილებას იწვევს არა მხოლოდ საზოგადოებაში, მმართველ გუნდშიც. და ამ გაუგებრობის მიზეზად, ჩვენი პრეზიდენტი რომ ჰქვია, ისევ და ისევ ივანიშვილს ასახელებენ...**

— **სალომე ზურაბიშვილი** ჩვენი დღევანდელი ხელისუფლების არაკომპეტენტურობის ყველაზე მყვირალა მაგალითია. თავის დროზე სააკაშვილიც კი მიხვდა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მისი გაჩერება არ შეიძლებოდა, მაგრამ „გამჭრიახმა ანალიტიკოსმა“ და „კადრების მცოდნე“ ივანიშვილმა მას პრეზიდენტობა უბოძა. მახსოვს, საგარეო საქმეთა მინისტრობისას ზურაბიშვილი მოსკოვში რომ იყო ჩასული **ლავროვთან** შესახვედრად, საუბრის დასაწყისშივე განუცხადა, რომ მათი საუბრის შინაარსს ამერიკელ „მეგობრებს“ მოუყვებოდა. ამის შემდეგ **გაოცებულმა ლავროვმა შეხვედრა მალევე დაასრულა და თავის თანამშრომლებს უთხრა, ზურაბიშვილთან შეხვედრის საკითხი აღარ დააყენებინათ. რაში მჭირდება ამ დედაკაცის შუამავლობა, აწი საქართველოს საკითხი თუ წამოიჭრება, ამერიკელებთან პირდაპირ გადავწყვეტო.**

გაიხსენეთ ზურაბიშვილის გამოხდომა ამ ზაფხულის მოვლენებისას. **პუტინს** თბილისის მიტინგის ამბებს არც არავინ არ მოახსენებდა, პუტინისთვის პრობლემების სიაში საქართველო 55-ე ადგილზეა თავის მიტინგებიანად. მაგრამ, როცა მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტი აცხადებს, რომ რუსეთი მტერია, ამის მოუხსენებლობა არ შეიძლებოდა. კი, პუტინმა რეაგირების ყველაზე რბილი ფორმა არჩია, მაგრამ საქართველოს გალატაკებულ მოსახლეობას ეს უნდოდა?

**ზურაბიშვილს წარმოდგენა არ აქვს დიპლომატიაზე და დიპლომატთა ქცევის წესებზე, ქვეყნის პრეზიდენტის ქცევის ნორმებზე უკვე აღარ ვლაპარაკობ. ამბობენ, თითქოს ზურაბიშვილს საპასუხისმგებლო პოზიციები ეკავა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. ფრანგული დიპლომატიური სკოლა და, საერთოდ, ევროპულიც, დიდი ხანია, დეგრადაციის გზაზეა, მაგრამ ჯერ ისე არ გადაგვარებულა, რომ ზურაბიშვილი პასუხისმგებელ დიპლომატად ჰყოლოდა.** საქმე, ალბათ, ის არის, რომ საფრანგეთის ბოლო პრეზიდენტების მრჩეველი რუსეთის საკითხებში მუდმივად იყო ქალბატონი **ელენ კარერ დ’ანკოსი,** საფრანგეთის აკადემიის უცვლელი მდივანი, ძალიან ჭკვიანი, მცოდნე და დამსახურებული ადამიანი. იგი ზურაბიშვილს ბიძაშვილად ეკუთვნის და, ალბათ, სწორედ მისი პატივისცემით ითმენდნენ ამ ქალბატონს დიპლომატიურ სამსახურში.

საქართველოში რომ ნორმალური პარლამენტი იყოს, მან სპეციალური დადგენილებით უნდა აუკრძალოს ზურაბიშვილს საჯარო განცხადებების კეთება, თორემ ეს ქალი საქართველოს კიდევ ბევრჯერ გახვევს შარში.

**— არც პრეზიდენტის რანგში მყოფი მარგველაშვილი არ ახარებდა თვალს და ყურს დიდი ინტელექტითა და დახვეწილი მანერებით. ასეთი საკადრო პოლიტიკის ტყვეობაში კიდევ დიდხანს ვიქნებით?**

— **მარგველაშვილიც** ივანიშვილის „აღმოჩენაა“. ხომ გახსოვთ, როგორ მოითხოვდა, არჩევნებზე ხმა მისთვის მიგვეცა? ხალხმა დაუჯერა, ერთ კვირაში კი ივანიშვილმა გამოგვიცხადა, რომ მარგველაშვილმა იმედები გაუცრუა, რადგან მასთან მეგობრობას პრეზიდენტის სასახლის კომფორტი არჩია. სასახლის გარეგნულმა ბრჭყვიალებამ მარგველაშვილს ქვეყნის ინტერესებიც დაავიწყა და უბრალო ადამიანური მადლიერებაც იმ კაცისადმი, რომელმაც ერთი არაფრის მაქნისი საზოგადოებრივი აქტივისტი ქვეყნის პრეზიდენტად აქცია. **რა მიიღო საქართველომ იქიდან, მთელი ხუთი წელი ეს პერსონაჟი ქართველ ხალხს რომ აჯდა კისერზე? რა წვლილი შეიტანა მარგველაშვილმა ქვეყნის გამთლიანებაში, ქართველ ერზე მზრუნველობაში, ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებაში, შინაგანი წინააღმდეგობების დაძლევაში, კულტურის, განათლების, მეცნიერების განვითარებაში? კარგი იქნებოდა, ეს ივანიშვილისთვის გვეკითხა.**

მახსოვს, მარგველაშვილმა ერთ-ერთი გამოსვლისას განაცხადა, ქართველები ინდივიდუალისტები და, მაშასადამე, ევროპელები არიანო. აღმოჩნდა, რომ ქვეყნის პრეზიდენტს წარმოდგენა არ აქვს თავისი ხალხის შინაგანი არსის, ფსიქოლოგიის, ღირებულებითი ბაზისის შესახებ. ქართველები ინდივიდუალისტები რომ ვყოფილიყავით, დიდი ხნის წინათ გავქრებოდით, როგორც ერი, იმ ისტორიის პირობებში, რომელიც განგებამ გვარგუნა. ქართველი ერი ჩამოყალიბდა თემური წყობის პირობებში, **ქართველი გადაარჩინა ისეთმა თვისებებმა, როგორიცაა სოლიდარობა, კოლექტივიზმი, ურთიერთთანადგომა, ერთობლივი შრომა და ბრძოლა. ქართველისთვის მართლმადიდებლობა იყო და რჩება უმაღლეს ფასეულობად, ჩვენი ეს რწმენა კი გამორიცხავს ეგოიზმს და ინდივიდუალისტობას. სწორედ ამით განსხვავდება მართლმადიდებლობა პროტესტანტიზმისგან, რომელსაც ასე ეტრფიან ჩვენი დღევანდელი პოლიტიკოსები. საქართველოს პრეზიდენტმა მართლმადიდებელი საქართველო ევროპის პროტესტანტული ნაწილისგან ვერ გაარჩია.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

(გაგრძელება იქნება)

# საქართველო შველას ითხოვს!



გივი გურეშიძე




**„ქვეყანას აღარ ეშველება“ და კიდევ „ქვეყნის აღსასრული არც ისე შორს არის, ახლოს არის“ — მწუხარებით აღსავსე ეს გამონათქვამები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს ეკუთვნის. მათგან მეორე ახლახან გამოქვეყნდა. უწმინდესობის გამონათქვამები ქვეყნის სინამდვილის ღრმად შეცნობის ნაყოფია. ისინი წარმოადგენს უმძლავრეს სილას პოსტსაბჭოური ხელისუფლებისთვის, რადგან საქართველო ასეთ განსაცდელში ჩააგდეს.**

ქვეყნის აღსასრულამდე 30-წლიანმა გეოპოლიტიკურმა სიბრმავემ მიგვიყვანა. ამ საშინელი ავადმყოფობით კი აშშ-დასავლეთმა დაგვასნეულა.

გეოპოლიტიკური სიბრმავეა, როცა ვერ ხედავ 700-კილომეტრიან სამეზობლო საზღვარს ზესახელმწიფო რუსეთთან და დამღუპველ საგარეო-პოლიტიკურ გზას ირჩევ, თითქოს საქართველო სადღაც ბისკაის ყურეში მდებარეობდეს. გეოპოლიტიკური სიბრმავეა „ნატოში მინდას“ მრავალწლიანი ქაქანი. ტრაგედიებით აღსავსე ხანგრძლივმა პრაქტიკამ ვერა და ვერ ასწავლა ვაიხელისუფალთ, რომ ცნობილი ფაქტორების გამო ნატოში ინტეგრაცია სამხრეთ კავკასიის ქვეყნისათვის კატეგორიულად შეუთავსებელია. ეს აქსიომა სომხეთმა და აზერბაიჯანმა თუ შეიმეცნეს, ჩვენ, ქართველები, ასე როგორ დაგვაბრმავეს?

მისმა უწმინდესობა ილია მეორემ ჯერ კიდევ 2001 წლის „საალდგომო ეპისტოლეში“ დაგვმოძღვრა: „ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, ყველაზე მისაღები პოზიცია ნეიტრალიტეტია!“; ხელისუფალნო, ახლა მაინც გაითავისეთ ეს ბრძნული რჩევა.

მახსენდება, როგორ შეადარა მისმა უწმინდესობამ საქართველო აგორებულ ქვას. განა ეს იმაზე არ მიგვანიშნებს, საქართველო უფსკრულისკენ რომ მიექანება?

საქართველოს პატრიარქის გამონათქვამებმა მე, პოლიტოლოგს, საფუძველი მომცა გავაკეთო დასკვნა: **თავისი ფლიდობით, ფარისევლობით, თვალთმაქცობა-გაიძვერობით, თაფლაკვერობით, მოსასყიდად უხვად გაღებული დოლარებით, ვერაგული პოლიტტექნოლოგიებით აშშ-დასავლეთმა საქართველო უფრო უარეს დღეში ჩააგდო, ვიდრე ის ერეკლეს მეფობის ჟამს, ირან-ოსმალეთის ზეწოლის დროს, იმყოფებოდა.**

კვნესის, ოხრავს ქართული გეოგრაფიული სივრცე და რუსეთთან გეორგიევსკის ახლებური ტრაქტატის გაფორმებას ითხოვს ჩარჩო ხელშეკრულების თანხლებით და სუვერენიტეტის დაცვით. ეს თხოვნა მისი ობიექტურად არსებული გეოპოლიტიკური კანონზომიერების არსია.

ცხადია, დღევანდელი ხელისუფლება აშშ-დასავლეთის მოთაყვანეა და საქართველოს გადამრჩენი არ არის. ქართველმა ხალხმა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მხარი ჭეშმარიტად პატრიოტულ ძალებს უნდა დაუჭიროს. არჩევნების შედეგებზე დაყრდნობით შექმნილმა კოალიციურმა ხელისუფლებამ რადიკალურად უნდა შეცვალოს საგარეო პოლიტიკური კურსი, ყურად იღოს ქართული მიწის ძახილი.

**გივი გურეშიძე,**
**ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი**

**დღევანდელი ხელისუფლება აშშ-დასავლეთის მოთაყვანეა და საქართველოს გადამრჩენი არ არის. ქართველმა ხალხმა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მხარი ჭეშმარიტად პატრიოტულ ძალებს უნდა დაუჭიროს. არჩევნების შედეგებზე დაყრდნობით შექმნილმა კოალიციურმა ხელისუფლებამ რადიკალურად უნდა შეცვალოს საგარეო-პოლიტიკური კურსი, ყურად იღოს ქართული მიწის ძახილი**

## უკანასკნელ ქართველამდე ვებრძოლოთ რუსეთს: საქართველოს ამერიკელი კონგრესმენები — ადამ კიზინგერი და ალექს მუნი ეწვევიან

5-9 ნოემბერს საქართველოს ეწვევიან ჩვენი ქვეყნის მხარდამჭერი ჯგუფის თანათავმჯდომარე, რესპუბლიკელი კონგრესმენი ადამ კიზინგერი და კონგრესმენი ალექს მუნი. ამ ინფორმაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.



ადამ კიზინგერი



ალექს მუნი

მუნზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ადამ კიზინგერი ცნობილი ტრამპო და რუსოფობია და ის საქართველოს „მეგობარი“ იმდენადაა, რამდენადაც ჩვენს გამოყენებას შეძლებს რუსეთისთვის რაიმე საძაგლობის გასაკეთებლად.

ასე რომ, მისი ვიზიტი, ჩვენზე „წუხილით“ კი არა, იმით არის, ალბათ, განპირობებული, იქნებ ტრამპის წინააღმდეგ დაწყებული იმპიჩმენტის საქმეში როგორმე გამოგვიყენოს და საოკუპაციო ხაზთან თავის ქნევით რუსეთის წინააღმდეგ მორიგი სისულელე ჩაგვადენინოს.

ხმა ერისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გადამწყვეტი შეტევა პატრიარქზე დაიწყო მაშინ, როცა მისი თანამოსაყდრე, მეუფე შიო ამერიკაში ვიზიტით გაემგზავრა და გაემგზავრა წინა დღეს, თუმცა, როგორც კი პატრიარქზე (და ამ შემთხვევაში კონკრეტულად პატრიარქზე) შეტევა დაიწყო, მაშინვე დაბრუნდა და სინოდის სხდომაზეც პატრიარქის გვერდით იჯდა. სავარაუდოდ, მეუფე შიოს დაბრუნება და მეუფე იაკობის მონანიება გახდა გადამწყვეტი ფაქტორი იმისა, რომ ჯანსაღმა ძალებმა გაერთიანება შეძლეს, ერთად დადგნენ და შედეგად მივიღეთ ის, რომ პეტრე მეუფე აღარ არის, ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსი გახდა არა ლიბერალიზმის მიმდევარი, არამედ ქართული ტრადიციების დამფასებელი და ახლა მთავარია, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა.**

# ეკლესია უნდა გაიწმინდოს და გაიწმინდოს რაც შეიძლება მალე!

**რა პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ერთადერთი ხელისუფალი, რომელსაც ეკლესიის სიძლიერე არ აშფოთებდა, ედუარდ შევარდნაძე იყო. ის არ ებრძოდა ეკლესიას, არ ებრძოდა მის ავტორიტეტს და პატრიარქი ნათლიად ჰყავდა. მერე იყო, მიხეილ სააკაშვილს რომ დაუკარგა მოსვენება ეკლესიის სიძლიერემ და პატრიარქის ურყევმა ავტორიტეტმა, ამიტომ ნაციონალების მმართველობის პერიოდში ეკლესიაში ლიბერალი სასულიერო პირების რაოდენობა მაქსიმალურად გაზარდეს, ეპარქიებს ამრავლებდნენ, აძლიერებდნენ და ახალ პატრიარქსაც ამზადებდნენ, მაგრამ ვერც ხელისუფლებამ და ვერც საპატრიარქო ტახტისთვის გამზადებულმა მეუფეებმა ვერ გაბედეს ხმამაღლა იმის თქმა, რომ პატრიარქი უნდა გადაეყენებინათ.**



ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ეკლესიაზე სამთავრობო შეტევა შესუსტდა, მაგრამ იქ ჩანერგილმა სასულიერო პირებმა ვერ დაივიწყეს დანაპირები, ვერ შეეგუვნენ იმას, რომ პატრიარქის ტახტი ხელიდან ეცლებოდათ. ვერც იმას შეეგუვნენ, რომ მათთან აღარ ათანხმებდნენ მხარის გუბერნატორის დანიშვნის საკითხს, მათ გარეშე ინიშნებოდნენ მერები, სხვა თანამდებობის პირები — მათ რეგიონში არაოფიციალური პირველკაცობა ოფიციალურად წაერთვათ. **ფურუნკულის თვისებაა, წვალობს, სხეულში გაბნეულ ბაქტერიებს ერთ ადგილზე აგროვებს და ბოლოს, როცა ვეღარ ეტევა, სკდება. აი, გახეთქილმა ფურუნკულმა შეიძლება ძალიან დაგსვაროს, თუ მზად არ ხარ, თუ არ იცი, რომ გასკდება.**

სწორედ ასეთ ფურუნკულად გასკდა სინოდის ბოლო სხდომაზე პეტრე ცაავა. მზაკვრული გეგმა, რომელსაც პატრიარქისთვის სიცოცხლის მოსწრაფების მცდელობა ერქვა, სწორედ სიცოცხლის მოსწრაფების, რადგან ის სიტყვები, რომლებიც აწ უკვე ყოფილმა მეუფემ პატრიარქს უთხრა, ხანდაზმული უწმინდესისთვის მათი გადატანა, გააზრება ძალიან ძნელი იყო. **გადამწყვეტი შეტევა პატრიარქზე დაიწყო მაშინ, როცა მისი თანამოსაყდრე, მეუფე შიო ამერიკაში ვიზიტით გაემგზავრა და გაემგზავრა წინა დღეს, თუმცა, როგორც კი პატრიარქზე (და ამ შემთხვევაში კონკრეტულად პატრიარქზე) შეტევა დაიწყო, მაშინვე დაბრუნდა და სინოდის სხდომაზეც პატრიარქის გვერდით იჯდა. სავარაუდოდ, მეუფე შიოს დაბრუნება და მეუფე იაკობის მონანიება გახდა გადამწყვეტი ფაქტორი იმისა, რომ ჯანსაღმა ძალებმა გაერთიანება შეძლეს, ერთად დადგნენ და შედეგად მივიღეთ ის, რომ პეტრე მეუფე აღარ არის, ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსი გახდა არა ლიბერალიზმის მიმდევარი, არამედ ქართული ტრადიციების დამფასებელი და ახლა მთავარია, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა.** ახლა აღარ არის იმის დრო, რომ მიტევებაზე იფიქრონ – არის ჟამი ქვების შეგროვებისა და არის ჟამი ქვების სროლისა, **ეკლესია უნდა გაიწმინდოს და გაიწმინდოს რაც შეიძლება მალე.** სხვაგვარად ლიბერასტები სულს მოითქვამენ, ამ კრიზისს (და მათ ახლა სწორედ კრიზისი უდგათ) გადააგორებენ და განახლებული ძალით დაიწყებენ შეტევას. არ გამოუვიდათ პირველ ჯერზე, შეიძლება გამოუვიდეთ შემდეგზე და ამიტომ აუცილებელია, რომ ახლა სწორედ ეროვნული ძალები არ გაჩერდნენ.

რაც შეეხება ყოფილ მეუფე პეტრეს, ნამდვილად ვერ გეტყვით, რატომ არ დაისაჯა აქამდე ის, რადგან ბოლო პერიოდში გაკეთებული განცხადებებიც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, წინა ხელისუფლების პირობებში მის მიერ ნაკეთები საქმენი საგმირონიც საკმარისია. **სამეგრელოში ყველა ამბობს, რომ სწორედ მეუფე პეტრეს ხელშეწყობით „აპრავებდნენ“ ახალაიები ტერორს, რომ ხატების გვერდით სააკაშვილის სურათი ედო სამლოცველოში, რომ მასთან შეთანხმების გარეშე არაფერი წყდებოდა რეგიონში და გამოდის, ძალადობაც მასთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული. სამეგრელოს ტყეებში აღმოჩენილი სამალავებიდან ამოღებული ვიდეომასალის მცირე ნაწილი მაინც რომ სცოდნოდა პეტრეს, უნდა გამოსულიყო და საჯაროდ განეცხადებინა.** ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი გავლენის ადამიანს არ სცოდნოდა, რა ხდებოდა მის სამწყსოში, გამორიცხულია, იმ ძალადობის შესახებ მისთვის აღსარებაში მაინც არ ეთქვათ. იმას კი არ ვითხოვთ, აღსარების საიდუმლო გაეთქვა, უბრალოდ, აღსარებაში მოსმენილი ცხოვრებისეული მოვლენებისთვის შეედარებინა, მაგრამ არა. **მაშინ მას ეს ხელს არ აძლევდა, მაშინ ის პატრიარქობისთვის ემზადებოდა და ერთი სული ჰქონდა, როდის დაუცდებოდა პატრიარქს ფეხი, რათა მისი ადგილი დაეკავებინა. სავარაუდოდ, სწორედ სინოდის ბოლო სხდომაზე მიხვდა პეტრე, რომ პატრიარქობა არასდროს არ ეღირსებოდა და ამიტომ ამოხეთქა, ამიტომ გასკდა ფურუნკული და ამიტომ შეეცადა, ბოლომდე გაესვარა, ბოლომდე არ დაენდო უწმინდესი, თუმცა, საბედნიეროდ, ეკლესიამ გაუძლო მორიგ ნასროლ ტალახს, პატრიარქის გულმაც გაუძლო და ყველაფერი ისე დალაგდა, როგორც საჭირო იყო, თუმცა, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: გაჩერება არ შეიძლება და ახლა ეკლესია უნდა გადავიდეს შეტევაზე და თავისი რიგები გაწმინდოს.**

**სინოდის ბოლო სხდომაზე მიხვდა პეტრე, რომ პატრიარქობა არასდროს არ ეღირსებოდა და ამიტომ ამოხეთქა, ამიტომ გასკდა ფურუნკული და ამიტომ შეეცადა, ბოლომდე გაესვარა, ბოლომდე არ დაენდო უწმინდესი, თუმცა, საბედნიეროდ, ეკლესიამ გაუძლო მორიგ ნასროლ ტალახს, პატრიარქის გულმაც გაუძლო და ყველაფერი ისე დალაგდა, როგორც საჭირო იყო, თუმცა კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: გაჩერება არ შეიძლება და ახლა ეკლესია უნდა გადავიდეს შეტევაზე და თავისი რიგები გაწმინდოს**

რეალურად პეტრე ეკლესიაში იყო ნელი მოქმედების ნაღმი, რომელიც, ადრე თუ გვიან, უნდა აფეთქებულიყო. ამ გადმოსახედიდან ასე ჩანს, რომ პეტრე ნაადრევად აფეთქდა, ვერ გათვალა, ამპარტავნობამ სძლია და ახლა ხომ მაინც გამოჩნდა, რომ მართლები ვყოფილვართ — როცა თავის დროზე რომ ვაკრიტიკებდით საერო ცხოვრებაში **პაატა ცაავას**, გვსაყვედურობდნენ: როგორ ბედავთ მეუფის კრიტიკასო. სინოდის შემდეგ თქვეს მეუფეებმა, განჩინებაშიც ჩაიწერა: საქართველოს ისტორიას არ ახსოვს, პატრიარქი ასე შეურაცხეყო ვინმესო. გამოდის, რომ საუკუნეების განმავლობაში ურჯულო დამპყრობლებმაც ვერ გაბედეს ჩვენს პატრიარქებზე ისეთი იერიშის მიტანა, ისეთი შეურაცხყოფა, როგორიც პეტრემ იკადრა. და, რაც მთავარია, **დღესაც კი ის თავის სიტყვებს არ ნანობს, ულტიმატუმით ესაუბრება საპატრიარქოს, თავის პირობებს აყენებს და ისევ იმ რეგიონში დარჩენა სურს, სადაც მყარად აქვს ფესვები გადგმული, სადაც შეეცდება ვითარების არევას, სადაც პროვოკაციასა და საბოტაჟს მოაწყობს. საბოტაჟი იყო ის, რომ ახალი მეუფის მიერ ჩატარებულ პირველ წირვაზე მრევლი არ მივიდა, ანუ პეტრეს ხელდასმულმა მღვდლებმა მრევლს ახალი ეპისკოპოსის მოსასმენად მისვლა აუკრძალეს. ისინიც უნდა დაისაჯონ, ისინიც უნდა გააფრთხილონ და მათაც უნდა იცოდნენ, რომ საბოტაჟი და დაუმორჩილებლობა დაუსჯელი არ დარჩება.**

სხვათა შორის, პეტრეს დასჯას რამდენიმე სასულიერო პირი არ დაეთანხმა. სერიოზული ეჭვი გვაქვს, ისინიც შენელებული მოქმედების ნაღმები არიან ეკლესიაში და მათაც მალე ააფეთქებენ. უბრალოდ, ახლა ლიბერალიზმისა და წინა ხელისუფლების მეხოტბე დაჯგუფება უმძიმეს დღეშია და ამის დრო არ არის, რადგან მარცხისთვის არიან განწირულები, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ისინი შესაფერის მომენტს არ დაელოდებიან. **იმედია, მეუფე შიოც მიხვდა იმას, რომ პატრიარქის მარტო დატოვება არ შეიძლება, არ შეიძლება, საერთაშორისო ღონისძიებებში მიიღოს მონაწილეობა და აქაურობა მხოლოდ ასაკოვან პატრიარქს შეატოვოს, რადგან არის გუნდი თუ ჯგუფი, რომელიც შეეცდება, პატრიარქი ვაკუუმში მოაქციოს და ხომ თვითონაც ნახა მეუფე შიომ, რომ ერთი დღეც საკმარისი იყო სიტუაციის რადიკალურად შესაცვლელად.**

ჩვენი ინფორმაციით, როცა მეუფე პეტრე მიხვდა, რომ უმძიმესი სასჯელი ელოდა, ფერი უმალ იცვალა, სცადა, პატრიარქის გული მოელბო, მაგრამ მზაკვრობას მეუფე შიო მიუხვდა და პეტრესაც ჩაეშალა ნომერი. მეუფე შიომ საბოლოოდ გამოაჩენინა სახე ჭყონდიდელ მიტროპოლიტს და საბოლოოდ დაანახვა ყველას, რას წარმოადგენს ის. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ მოხდა ქუთათელ-გაენათელი მღვდელმთავრის პოზიციაზეც იმ ადამიანის შერჩევა, რომელიც ქართულ სულს გააღვივებს და არ დაინდობს ლიბერასტებს. ლგბტ თემის წარმომადგენლებმა მაშინვე წამოყვეს თავი და ეკლესიას ისინიც ემუქრებიან. უფრო სწორად, ხმამაღლა ამბობენ, რომ ეკლესიის წიაღში არაერთი გულშემატკივარი ჰყავთ და მათი გამოაშკარავებაც საშური საქმეა.

ვერ გეტყვით, მერამდენე ათეული წელია, რაც საქართველოს ეკლესია პირველ ადგილზეა ყველა გამოკითხვასა თუ ინსტიტუციებს შორის ურყევი ავტორიტეტით. ისიც ფაქტია, რომ პატრიარქის ერთ დაძახილზე სრულიად საქართველო გარეთ გამოვა და მილიონობით ადამიანი დაუდგება გვერდით უწმინდესს, რასაც ვერც ერთი პარტია ვერასდროს ვერ მოახერხებს. სწორედ ამიტომ ეკლესიის ავტორიტეტს ყოველთვის შურით შეხედავენ პოლიტიკოსები, მაგრამ ისინი ვალდებულნი არიან, გაითავისონ, რომ ადამიანებს, პოლიტიკოსებისგან მიტოვებულ ადამიანებს, ღმერთის იმედი აქვთ მხოლოდ და ღმერთად ხალხი პიროვნებებს არ დაისვამს. ამას ვერ მიხვდა წინა ხელისუფალი და **იმედია, მიხვდებიან ისინი, ვინც ახლა გაჰყვირის, პატრიარქზე შეტევა სახელმწიფოზე შეტევის ტოლფასიაო. ჯერ ერთი, აქამდე რომ მივიდა საქმე, თქვენი დამსახურებაა, მაგრამ ამჯერად მაინც დაეხმარეთ ეკლესიას სახელმწიფოს მტრების მხილებაში. ჩვენ ხომ ვიცით, რომ თქვენ ყველაზე კარგად იცით, ვინ რას წარმოადგენს რეალურად.**

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S.** მეუფე გრიგოლმა, რომელიც ჭყონდიდის ეპარქიაში განმწესდა, ძალიან საინტერესო რამ თქვა, როცა კითხვა პატრიარქის შესაძლო გადადგომაზე დაუსვეს: „პატრიარქი ავიდა ჯვარზე და ჯვრიდან ჩამოსვლა არ ხდება, ჯვრიდან უნდა გარდამოხსნან, ამიტომ პატრიარქი იქნება ბოლო დღემდე!“

ამინ!

„ძალიან სამწუხარო და გულდასაწყვეტია ის, რომ მაღალი იერარქის მხრიდან უწმინდესის მისამართით გაისმა საშინელი ცილისწამება, მაგრამ ამ ყველაფერს კიდევ უფრო ამძიმებს ერთი რამ: ამ ცილისწამების შედეგად არა მხოლოდ ერთი პიროვნება აღმოჩნდა რთულ მდგომარეობაში პეტრეს სახით, არამედ მისი ეპარქია, მრევლი, მონაზვნები არიან გაურკვევლობაში. ერთია, როცა ადამიანი პირადად ცდება და მეორეა, როცა მას ამით სხვებიც შეჰყავს შეცდომაში. ვფიქრობ, პეტრეს საქციელი ამ თვალსაზრისითაც ძალიან მძიმეა“.

ხმა ბერისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



მამა გიორგი (რაზმაძე):

# ეკლესიისა და მისი უწმინდესობის მადისკრედიტებელი ბინძური ცილისმწამებლური კამპანიის მომდევნო სერიებს აუცილებლად ვიხილავთ

**31 ოქტომბერს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომაზე მომხდარმა სკანდალურმა ფაქტმა და შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა, რომელთა ავანგარდშიც აწ განყენებულ პეტრე ცაავასთან ერთად ლიბერალური ელიტის თავკაცობაც (პირდაპირ თუ ირიბად) არანაკლებ აქტიურად იყო წარმოდგენილი, ეკლესიისა და მისი მეთაურის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წინააღმდეგ ჯერ კიდევ წლების წინათ დაწყებული მადისკრედიტებელი კამპანიის სიმწვავე კიდევ ერთხელ ცხადყო.**

უმძიმესმა ბრალდებებმა, რომლებიც ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა სხდომაზე ყოველგვარი არგუმენტებისა თუ მტკიცებულებების გარეშე განაცხადა, არა მხოლოდ ეს პროცესი გააშიშვლა, ყველა ეჭვსა თუ მითქმა-მოთქმას იმის თაობაზე, რომ ეკლესიის წიაღში გარკვეულ ძალებს შორის დაძაბულობა არსებობდა (რასაც შეიძლებოდა, წმინდა სინოდში სერიოზული განხეთქილება მოჰყოლოდა), საბოლოოდ ნათელი მოჰფინა. თუმცა, იმ მწვავე და კრიტიკული განცხადებების ფონზე, რომლებსაც აწ უკვე მონასტერში სინანულისთვის გამწესებული ყოფილი მეუფე ბოლო პერიოდში სხვადასხვა ეთერში აკეთებდა, 31 ოქტომბრის ხმაური დიდი მოულოდნელობა, ალბათ, არავისთვის ყოფილა. მით უფრო არ იყო გასაკვირი ის, რომ სხდომიდან გამოსული მიტროპოლიტი კამერების წინ ბოლო ხმაზე გაჰყვიროდა: იმიტომ განმაყენეს, რომ სინოდის თავმჯდომარე (კათოლიკოს-პატრიარქი) გარყვნილ ქმედებებში ვამხილეო...

რა მიზანს ემსახურებოდა მეუფე პეტრეს ესოდენ მძიმე ბრალდებები და ცილისწამება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის — ილია მეორის მისამართით და რა პროცესები შეიძლება ამას მოჰყვეს უახლოეს მომავალში, როგორც ეკლესიის წიაღში, ისე ქვეყანაში?

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, წმინდა სინოდის სხდომაზე მომხდარმა უმძიმესმა ფაქტმა ყველა აღაშფოთა. კონკრეტულმა მაღალმა იერარქმა, რომელიც არც მანამდე გამოირჩეოდა პატრიარქის მიმართ კეთილგანწყობით, უმძიმესი ბრალდებები წაუყენა მას. რა მიზანს ემსახურებოდა ეს ყველაფერი და რა შეიძლება მოჰყვეს მას მომავალში?**

— ცოტა შორიდან დავიწყებ. ის, რომ ეკლესია და სამღვდელოება მუდმივად გარედან იმართება და გარკვეული ლიბერალური ძალების თავდასხმის ობიექტია, სიახლე არავისთვისაა. ეს პროცესი წლების წინათ დაიწყო, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა და საზღვრების გახსნასთან ერთად, ვითომ დემოკრატიზაციის პროცესის საფარქვეშ, ქვეყანა გაივსო უცხოეთიდან დაფინანსებული ე.წ. მესამე სექტორით. პოსტსაბჭოთა სივრცეში და განსაკუთრებით მართლმადიდებლურ ქვეყნებში, მათ შორის, რუსეთსა და უკრაინაში დაიწყო გაშმაგებული იდეოლოგიური ომი, რომელიც პოსტსოციალისტური პერიოდის ველურ კაპიტალიზმს სდევდა; და ამ პროცესის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ის, რომ საზოგადოება ძირფესვიანად უნდა გარდაქმნილიყო. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ადამიანებს არ უნდა ჰქონოდათ არანაირი მორალურ-ზნეობრივი ჩარჩოები და ეცხოვრათ მარტივი, ცხოველური პრინციპით: მთავარია, ვიყო ბედნიერი. ახლა რა იგულისხმებოდა კონკრეტულად ამ ძირფესვიან გარდაქმნაში, მიუხედავად იმისა, რომ კომუნიზმი, როგორც პოლიტიკური იდეოლოგია, პრაქტიკულად უარყოფდა ქრისტიანულ მოძღვრებას. **დასავლეთში გაბატონებული გლობალისტური ძალები ხედავდნენ, რომ პოსტკომუნისტური საზოგადოების დიდი ნაწილი, გნებავთ, რუსეთში, გნებავთ, საქართველოში, ისევ უბრუნდებოდა იმ ძველ ქრისტიანულ, ჭეშმარიტ ფასეულობებს. აი, სწორედ აქ დაისახა მათთვის ახალი ამოცანა, რომ ისევე, როგორც დასავლეთში გააქრეს თავის დროზე ქრისტიანობა და წელში გადატეხეს საზოგადოება, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ სივრცეშიც ზუსტად იგივე პროცესები წასულიყო.** სხვათა შორის, ეს პროცესი მერე ისე ხილული გახდა, რომ დასავლელი ლიდერები ამაზე საჯარო გამოსვლებშიც საუბრობდნენ. მაგალითად, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **კარლ ბილდტი**, რომელიც იმხანად საკმაოდ გავლენიან პოლიტიკურ ფიგურას წარმოადგენდა, პირდაპირ ამბობდა, რომ მართლმადიდებლობა მთავარი გამოწვევა იყო დასავლური ცივილიზაციისთვის, რადგან ის ოჯახური ურთიერთობების რეგლამენტირებას ახდენდა და არ ცნობდა სექსუალური უმცირესობების უფლებებს. არაფერს ვამბობ ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ვიცეპრეზიდენტის, **ჯო ბაიდენის,** ცნობილ გამოსვლაზე, როცა მან ასევე პირდაპირ განაცხადა, რომ არ აინტერესებდა არავის კულტურა, მთავარია, სექსუალური უმცირესობების უფლებები კარგად იყოს დაცულიო... თუმცა, მიუხედავად ამხელა ზეწოლისა და მცდელობებისა, მსოფლიო ძალებისგან, საქართველოში საზოგადოების ძირფესვიანი გარდაქმნა მათთვის მოსალოდნელზე რთული აღმოჩნდა. მეტიც, გამუდმებულმა წინააღმდეგობამ და დისკრედიტაციის კამპანიამ, როგორც ეკლესიის, ისე პატრიარქისა და სამღვდელოების წინააღმდეგ კიდევ უფრო გაამძაფრა საზოგადოებაში პროტესტი ლიბერალური პროპაგანდისადმი... რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტს, რომელიც რამდენიმე დღის წინათ წმინდა სინოდის სხდომაზე მოხდა, რა თქმა უნდა, ძალიან სამწუხარო და გულდასაწყვეტია ის, რომ მაღალი იერარქის მხრიდან უწმინდესის მისამართით გაისმა საშინელი ცილისწამება, მაგრამ ამ ყველაფერს კიდევ უფრო ამძიმებს ერთი რამ: ამ ცილისწამების შედეგად არა მხოლოდ ერთი პიროვნება აღმოჩნდა რთულ მდგომარეობაში პეტრეს სახით, არამედ მისი ეპარქია, მრევლი, მონაზვნები არიან გაურკვევლობაში. ერთია, როცა ადამიანი პირადად ცდება, და მეორეა, როცა მას ამით სხვებიც შეჰყავს შეცდომაში. ვფიქრობ, პეტრეს საქციელი ამ თვალსაზრისითაც ძალიან მძიმეა, თუმცა, სხვა კუთხით თუ შევხედავთ მომხდარს, ამ ყველაფერს ცოტა სხვა პროცესების სუნიც შეიძლება უდიოდეს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს...

**— რას გულისხმობთ?**

— შეთქმულების თეორიების მოყვარული არ ვარ, მაგრამ, როდესაც ეკლესიის საჭეთმპყრობლის მიმართ ასეთი ბინძური ბრალდებები ისმის, ვფიქრობ, არსებობს საფუძველი, რომ ამ ყველაფრის უკან გარკვეული ძალები ვიგულისხმოთ. მე არ მჯერა, რომ ეს სიბინძურე მხოლოდ ერთი ადამიანის გონებაში მოიხარშა, თუმცა ის, რომ მსგავსი სიბინძურე პატრიარქის ავტორიტეტს ვერ დააზიანებს, ცხადზე ცხადია...

**— არსებობს ასეთი ვერსიაც, რომ ამ ცილისწამების უკან, შესაძლოა, მსოფლიო საპატრიარქოს ინტერესებიც დგას. მოგეხსენებათ, კონსტანტინოპოლში ძალიან უკმაყოფილონი არიან იმით, რომ საქართველოს საპატრიარქომ მხარი არ დაუჭირა ბართოლომეოსის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭებაზე. რეალური შეიძლება იყოს ეს ყველაფერი?**

— რთულია, კონკრეტული ფაქტებისა და მტკიცებულებების გარეშე გადაჭრით საუბარი, მაგრამ ამ ეჭვებს არსებობის უფლება აქვს. ისე, მე არ გამოვრიცხავ, ხვალ-ზეგ უფრო მწვავე და დაუფარავი ხასიათი მიიღოს ამ პროცესმა. შესაძლოა, ისე მოხდეს, რომ ახლო მომავალში უკვე პირდაპირი ზეწოლის მცდელობები ვიხილოთ მსოფლიო საპატრიარქოსგან ჩვენს ეკლესიაზე, როგორ და რა საშუალებებით, ამაზე ადრეც გვისაუბრია. რაც შეეხება წმინდა სინოდსა და მის უწმინდესობას, რა თქმა უნდა, არსებობს რაღაც საკითხებზე განსხვავებული აზრები, არსებობს უთანხმოებაც და ეს ცნობილია, მაგრამ ერთადერთი, რაშიც დარწმუნებული ვარ, არის ის, რომ, როგორ წნეხშიც უნდა მოაქციონ, რა მუქარებიცა და პროვოკაციებიც უნდა წამოვიდეს გარე ძალებისგან, პატრიარქის სიბრძნესა და კეთილგონიერებას ვერ გადაწონის. ვერც მსოფლიო საპატრიარქო, ვერც ის ფონდები და გლობალისტური ორგანიზაციები, რომლებსაც პირდაპირ სამიზნეში ჰყავთ მსოფლიო მართლმადიდებლობა ამოღებული, უწმინდესს პირადად მისი და ეკლესიის ავტორიტეტის საზიანო გადაწყვეტილებას ვერ მიაღებინებენ. თუმცა კიდევ ვიმეორებ: საფრთხე და ალბათობა იმისა, რომ შეტევები ქვეყნის ყველაზე მყარ, ავტორიტეტულ ინსტიტუტზე გაგრძელდება, ძალიან დიდია. დარწმუნებული ვარ, რომ ეკლესიისა და მისი უწმინდესობის მადისკრედიტებელი ბინძური ცილისმწამებლური კამპანიის შემდეგ სერიებს აუცილებლად ვიხილავთ...

**«როგორ წნეხშიც უნდა მოაქციონ, რა მუქარებიც და პროვოკაციებიც უნდა წამოვიდეს გარე ძალებისგან, პატრიარქის სიბრძნესა და კეთილგონიერებას ვერ გადაწონიან. ვერც მსოფლიო საპატრიარქო, ვერც ის ფონდები და გლობალისტური ორგანიზაციები, რომლებსაც პირდაპირ სამიზნეში ჰყავთ მსოფლიო მართლმადიდებლობა ამოღებული, უწმინდესს პირადად მისი და ეკლესიის ავტორიტეტის საზიანო გადაწყვეტილებას ვერ მიაღებინებენ»**

ახლა აქვე მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ამ თემაზე კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს შევეხო. ეს დღეებია, თითქმის ყველა „ლიბერალურ“ ტელევიზიას ეთერში უზის ფსევდოღვთისმეტყველები, რომლებსაც ალაპარაკებენ ათასგვარ სიბინძურეს, რითაც ისედაც დაზაფრულ და დაბნეულ საზოგადოებას კიდევ უფრო უბნევენ თავ-გზას. მე ამ ადამიანებს ვამხელ ღირსი **მაქსიმე ბერძენის** სიტყვებით. **მაქსიმე ბერძენი ამბობდა, რომ ნებისმიერი ღვთისმეტყველება, სულიერი ცხოვრების გარეშე, ეს არის დემონიზმი. არც ერთი მათგანი არ არის ეკლესიური, პირიქით — ყველა ეკლესიის გარეთ მდგომია და დაუფარავად აკრიტიკებს სამღვდელოებას.** აი, ზუსტად ასეთი ხალხის მეშვეობით დღეს კიდევ ერთი ლიბერალური ფრონტია ქვეყანაში გახსნილი და, რაც დრო გადის, მას სულ უფრო მწვავე ხასიათი ეძლევა. თუმცა არანაირი ავტორიტეტი ამ ხალხს არ აქვს და მათი მცდელობები ვერ აზიანებს ეკლესიას. საერთოდ, **ჩვენმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ, როცა ამ ადამიანებს უსმენენ, დემონი ელაპარაკებათ მათი პირით...**

**— თუმცა ამ დღეებში მეუფე პეტრეს ყველა ერთად აკრიტიკებდა, „ღვთისმეტყველებიც“, „არასამთავრობო“ ორგანიზაციებიც და სახალხო დამცველიც. რას ნიშნავდა ეს ყველაფერი, როგორ ფიქრობთ?**

— მოდი, ნუ დავიწყებთ იმაზე მარჩიელობას, რას ნიშნავს კონკრეტულ ვითარებაში ლიბერალური ისტებლიშმენტის პოზიცია. ყველამ ვიცით, რომ ეს ხალხი ეკლესიის დამცველი არ არის. პირიქით — ეს ხალხი ზუსტად იმისთვის იღებს ფულს და ფინანსდება საზღვარგარეთიდან, რომ სამღვდელოება გაამარგინალოს, საპატრიარქოს ჩირქი მოსცხოს და, რაც შეიძლება მეტი ადამიანი, განსაკუთრებით ახალგაზრდებზეა აქცენტი, დააშოროს ეკლესიას. რაც შეეხება წმინდა სინოდის სხდომაზე მომხდარ ფაქტს და ბინძურ ცილისწამებას კონკრეტული მაღალი იერარქისგან, ის, რომ ამ ფაქტს გარკვეული დაპირისპირება უკვე მოჰყვა ეკლესიის წიაღში და მომავალშიც შეიძლება რაღაც განხეთქილების მსგავსი პროცესები წავიდეს, ცხადია, მაგრამ რა იქნება ამ ყველაფრის საბოლოო შედეგი, დიდწილად მაინც დამოკიდებულია საზოგადოებაზე. თუ ხალხი სალად შეხედავს მოვლენებს და სწორად აწონდაწონის, ძნელი მისახვედრი არ არის, რა მიზანი აქვს რეალურად პატრიარქის წინააღმდეგ მიმართულ ბინძურ კამპანიას. თუმცა ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: იმ პირობებში, როცა ქვეყანაში, პრაქტიკულად, არ არსებობს „ლიბერალური“ მედიაველის საპირწონე ობიექტური საინფორმაციო სივრცე, საზოგადოება დიდი პროპაგანდისტული პრესინგის ქვეშაა. აი, ეს არის ზუსტად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც ანტიეროვნულ და ანტიმართლმადიდებლურ ძალებს უადვილებს მოქმედებას, თორემ მათ ეს უპირატესობა რომ არ ჰქონდეთ, ბინძური ტყუილები და ცილისწამება, თუნდაც მაღალი იერარქისგან წმინდა სინოდზე ნათქვამი, დაპირისპირების საფრთხეს საზოგადოებაში და მით უფრო ეკლესიის წიაღში ვერ შექმნიდა...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ავი მესაიდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ის, რაც „ჩვენს მეგობარ" დასავლეთს აწუხებს, რა მუცლის გვრემაც სჭირთ შინაურ თუ გარეულ ნეოლიბერასტებს — მათი გარყვნილი იდეოლოგიის მოწინააღმდეგე არის დედაეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, რომლის მხრებზეც დგას მართლმადიდებელი ეკლესიის ავტორიტეტი, ამიტომ დასავლელი ხლისტების პირველი სამიზნე ილია მეორეა და სწორედ მათ მიერ ჩანერგილმა აგენტმა, მეუფე პეტრე-ყანდურმა გაბედა და განაცხადა ის საშინელება.**

**არ ვიცი, რა ვუწოდო იმას, რაც 31 ოქტომბერს მოხდა საქართველოს დედაეკლესიის წმინდა სინოდში — უხამსობა, თავხედობა, ნაძირალობა თუ რა? ნამდვილად არ ვიცი, რადგან ის, რაც ე.წ. მეუფე პეტრემ იკადრა, იმ სიბინძურეს, ვერაგობას სახელი არ აქვს. ერთი რამ, რისი თქმაც ახლა შეიძლება, არის ის, რომ ნანახითა და მოსმენილით საზოგადოება შოკირებულია.**

# თუ ერი ვართ და არა უსახური არსებების ბრბო...



უნდა ვაღიარო, რომ მსგავს სიმხეცეს ყველაფრის მკადრებელი „ნაციონალ-ლიბერასტებისგანაც" არ ველოდი, მაგრამ, როცა წინამდებარე წერილზე მუშაობის დაწყების წინ თვალი გადავავლე მომხდარის პრეისტორიას, მივხვდი, რომ ჩემი ოპტიმიზმი ყველაფრის არკადრების მიმართ უსაფუძვლო ყოფილა. თურმე ჭეშმარიტებას ღაღადებდა რუსეთის ეკლესიის **არქიმანდრიტი რაფაელი** (კარელინი), როცა ამბობდა: არ არსებობს ლიბერალზე უფრო მძვინვარე მხეციო...

ყველაფერი კი ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდგომ პირველი დღიდანვე დაიწყო, როდესაც საქართველოს ტელევიზიას **გიგა ბოკერია, ლევან რამიშვილი, გიგი უგულავა** და სხვა ლიბერასტები ესტუმრნენ და, როგორც იმ შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილე, ამჟამად პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე **ირმა ინაშვილი** იხსენებს, ტელევიზიის ჟურნალისტებს უტიფრად დაავალეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობელის — უწმინდესისა და უნეტრესის დისკრედიტაციისთვის შესაბამისი ფილმებისა და თოქ-შოუების გაკეთება, რაზეც ირმა ინაშვილს კატეგორიული უარი განუცხადებია და პროტესტის ნიშნად დაუტოვებია კრებაც და შემდეგ — სამსახურიც... მერე იყო და **ბოკერიას** ზონდერბრიგადამ **(დავით კირკიტაძე, ძმები ახალაიაები, სანოძე** და ა.შ.) მამა-მარჩენალი **სოროსის** საამებლად გლდანის ეკლესიის ალაყაფი „კრაზით" შეანგრია, მრევლი დაუნდობლად სცემა, ხოლო მონასტრის წინამძღვარი **მამა ბასილი** დააპატიმრა. თუმცა **საქართველოს ეკლესიისა და პატრიარქის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი შეტევის დაწყება ყოფილ „კმარელსა" და უწიგნური „პროფესორის" — თეა თუთბერიძის სახელს უკავშირდება** და, ხმამაღალ ნათქვამად თუ არ ჩამითვლით, აქედანვე იწყება თქვენი მონა-მორჩილის ბრძოლა დედაეკლესიისა და კათოლიკოს-პატრიარქის მტრების წინააღმდეგ.

საზოგადოებას შევახსენებ, რომ სწორედ თეა თუთბერიძემ გამოაქვეყნა ინტერნეტსივრცეში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, რბილად რომ ვთქვათ, შეურაცხმყოფელი ვიდეო კლიპები, შემდეგ კი, 2009 წლის 18 ოქტომბერს, ტელეკომპანია „კავკასიის" პირდაპირ ეთერში განაცხადა: თუ პრეზიდენტებზე, რომის პაპსა და სხვა საჯარო პირებზე შეიძლება უხამსი კლიპების გადაღება, რუსეთის აგენტი პატრიარქი ვინ მიგდიაო?! „ფეისბუქში" მანვე გააკეთა თავისი გვერდი — „მე მიყვარს ჩემი გეი-პატრიარქი"...

თუ არ ჩავთვლით პრესაში გამოქვეყნებულ რამდენიმე წერილს (მათ შორის, ჩემსასაც), ბუდარიხა თუთბერიძეს ეს ყველაფერი, რომ იტყვიან, ხახვივით შერჩა და მას შემდეგ დაუსჯელობის გარანტიით შეგულიანებულმა სხვა ბუდარა-ბუდარიხებმაც პატრიარქისა და დედაეკლესიის ლანძღვა-გინება ჩვეულებრივ ამბად აქციეს. თუნდაც „მწერალ" **ზაზა ბურჭულაძის** ნათქვამი რად ღირს, როცა ამ „პიდორ-ხლისტმა" უწმინდესისა და უნეტარესის ზოოპარკის გალიაში დამწყვდევა მოითხოვა...

ამ საჭირბოროტო თემის პულსზე ყოველთვის ედო ხელი (თუ ასე თქმა შეიძლება) „საქართველო და მსოფლიოს" რედაქციას, ხანდახან ჩემი სტატიების საშუალებითაც — წლების განმავლობაში გამოქვეყნებულ წერილებს, აბა, ვინ მოთვლის და ამიტომ მხოლოდ იმ სტატიებს გავიხსენებ, რომლებიც, წინამდებარე წერილზე მუშაობისას, რომ იტყვიან, ხელდახელ შემომეფეთა ინტერნეტში. სტატიები, რომელთა მხოლოდ სათაურებს მოვიყვან ქვემოთ, არა სატრაბახოდ და საყელყელაოდ, არამედ იმ დინამიკის საილუსტრაციოდ, რომელმაც დღევანდელ კატასტროფამდე მიგვიყვანა. ზოგიერთ სათაურს მცირე კომენტარით შემოგთავაზებთ. მაშ ასე:

* **„მეუფე ყანდური"** — 2012 წლის სექტემბერი. სტატია, რომელშიც ვერაგობაში ვამხილე ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი მეუფე **გრიგოლი**, მეუფე **პეტრეს** „ძმა და პირის ზიარება", ერისკაცობაში **გურამ ბერბიჭაშვილი**, სხვათა შორის, ჩემი თანაკლასელი, რომელსაც, თეა თუთბერიძის „ბუდარიხობისა" არ იყოს, მეტსახელად „ყანდური" მიეწება და ეს თიკუნი ყველა მიშარასტი, გნებავთ, ნაცისტი სასულიერო პირის სინონიმად იქცა...

* **„გადამწყვეტი შეტევა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე"**, 2015 წლის 21 ოქტომბერი;

* **„პიდორ-ხლისტები ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ"**, 2015 წლის 19 აგვისტო...

* **„გვყავს ჭყონდიდელი... არ გვყავს დავითი"**, 2016 წლის 10 თებერვალი — საზოგადოება მიხვდება, რომ „ჭყონდიდელში" მისი უწმინდესობაა ნაგულისხმევი და არა უწმინდური პეტრე (ყანდური), რომელსაც, ბედის ირონიით, **დავით აღმაშენებლის** აღმზრდელ გიორგი ჭყონდიდელის ტახტი ეკავა...

* **„როგორც აფთრები, ისე ელოდებიან მეუფე ყანდურები სიკვდილს პატრიარქისა"**, 2017 წლის 31 იანვარი — სტატია, რომელშიც ყანდურობაში ვამხილე მაღალი იერარქიის სასულიერო პირები. ამონარიდი სტატიიდან:

1. ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტი დიმიტრი — პატრიარქის ძმისშვილი და, მიუხედავად ამისა, ლიბერალი;

2. ფოთისა და ხობის ეპარქიის მიტროპოლიტი გრიგოლი;

3. ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტი პეტრე;

**ეს განცხადება პაატა ცაავას თვითშემოქმედება კი არა ქართული ეკლესიის დასანგრევად გამიზნული წინასწარ დაგეგმილი «ტერორისტული აქტი» რომ იყო, მოწმობს ამა წლის სექტემბერში სტამბოლში ე.წ. მსოფლიო პატრიარქ ბართოლომეოსთან ცნობილი ხლისტების დელეგაციის სტუმრობა გიგი უგულავას, სერგო რატიანის, ბექა მინდიაშვილისა და კიდევ ერთი ხლისტის, რომლის ვინაობა არ ვიცი, შემადგენლობით. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე შეტევაც, სავარაუდოდ, ბართოლომეოსის რეზიდენციიდან მოდის...**

4. ქიათურისა და საჩხერის ეპარქიის მიტროპოლიტი დანიელი;

5. ქუთაის-გაენათის ეპარქიის მიტროპოლიტი კალისტრატე.

ეს მიტროპოლიტები ლიბერალები არიან (მეტ-ნაკლებად), პატრიარქის კვერთხის დაუფლების მეტ-ნაკლები შანსით, მაგრამ ყოველგვარი მეტ-ნაკლებობის გარეშე ყველა მიშისტია.

* **„ნეოლიბერალთა ორკესტრირებული შეტევა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე"**, 2019 წლის 13 მარტი — ქრონოლოგიურად ამ ბოლო სტატიაში გამოვეხმაურე ე.წ. ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ დასკვნა-რეკომენდაციებს, რომლებიც ევროკომისიის მიერ ერის ჯერაც გაუგონარ შეურაცხყოფად აღიქვა ქართველმა საზოგადოებამ...

* **საქართველოს პატრიარქი დადანაშაულებულია სიძულვილის ენით საუბარში, რადგან მან ლგბტ ღონისძიებებს ქართველი ერის შეურაცხყოფა უწოდა, ჰომოსექსუალიზმს კი — დაავადება;**

— ევროკომისიის რეკომენდაციებში წუხილია გამოთქმული, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სომხურ და კათოლიკურ ეკლესიებს სადავო ტაძრებს არ უბრუნებს"....

ბოლოს ამ რეკომენდაცია-დასკვნის პასუხად თქვენი მონა-მორჩილის რეპლიკა-კომენტარი: **რა ჰქვია ამ ყველაფერს? რისკენ მოგვიწოდებს ევროპული კომისია? რისკენ და თქვენი ღმერთი დაივიწყეთ, ჩვენი სატანა იწამეთ და, საერთოდაც, ქართველებმა „აახვიეთ" ღვთითკურთხეული, მარიამის წილხვედრი ქვეყნიდან, რათა დასავლეთის დარად საქართველოშიც ეშმაკმა იზეიმოსო".**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია ის, რაც „ჩვენს მეგობარ" დასავლეთს აწუხებს, რა მუცლის გვრემაც სჭირთ შინაურ თუ გარეულ ნეოლიბერასტებს — მათი გარყვნილი იდეოლოგიის მოწინააღმდეგე არის დედაეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი — საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, რომლის მხრებზეც დგას მართლმადიდებელი ეკლესიის ავტორიტეტი, ამიტომ დასავლელი ხლისტების პირველი სამიზნე **ილია მეორეა** და სწორედ მათ მიერ ჩანერგილმა აგენტმა, მეუფე პეტრე-ყანდურმა გაბედა და განაცხადა ის საშინელება — საქართველოს პატრიარქი... არა, ნამდვილად ვერ გავიმეორებ იმას, რაც ამ ნაძირალამ იკადრა...

ეს განცხადება პაატა ცაავას თვითშემოქმედება კი არა ქართული ეკლესიის დასანგრევად გამიზნული წინასწარ დაგეგმილი „ტერორისტული აქტი" რომ იყო, მოწმობს ამა წლის სექტემბერში სტამბოლში ე.წ. მსოფლიო პატრიარქ **ბართოლომეოსთან** ცნობილი ხლისტების დელეგაციის სტუმრობა **გიგი უგულავას, სერგო რატიანის, ბექა მინდიაშვილისა** და კიდევ ერთი ხლისტის, რომლის ვინაობა არ ვიცი, შემადგენლობით. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე შეტევაც, სავარაუდოდ, ბართოლომეოსის რეზიდენციიდან მოდის...

ყველაფერი, რაც ნორმალური ადამიანისთვის გულისტკივილია, ლებერასტული ტელევიზიებისთვის სკანდალია და ამ სკანდალს ატრიალებდნენ წაღმა-უკუღმა ლიბერასტი ჟურნალისტები, რომელთა თოქ-შოუებში დროსა და ლექსიკაში შეუზღუდავად ყრანტალებდნენ თვითონ პეტრე-ყანდური და მისი თანამოაზრე ევრო და ნაციონალი ოპოზიციონერები. დიახ, დროსა და ლექსიკაში შეუზღუდავად — **სხვა დროს თუ გრიგოლიები სიტყვის თქმას არ გაცლიან და, თუ გაცალეს, სიტყვა პედერასტის გამო კორექტულობისკენ მოგიწოდებენ, ახლა პედერასტი სალამივით ისმოდა თოქ-შოუებში, რომლებშიც წამყვანებიც და სტუმრებიც მხარე იყვნენ, მხარე, რომელსაც „სიმართლისთვის დევნილი" პეტრე ერქვა** — „მთავარი" და „ტვპირველი" ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მეტ ოდიოზურ პირს ალაპარაკებდა, თანაც ოპონენტების გარეშე.

რომელი ერთი ჩამოვთვალო? — **ელისო კილაძე თუ დავით ბერძენიშვილი, გიგი უგულავა** თუ ათასი ჯურის „თეოლოგ-ექსპერტი", რომელთა მთავარი საკითხი, პატრიარქის ენით უთქმელი შეურაცხყოფა კი არა, ის იყო, რატომ არ აღიარა წმინდა სინოდმა უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია, შესაბამისად, რატომ არ ემიჯნება რუსეთის ეკლესიას საქართველოს ეკლესია.

ყველაზე მეტად მაინც რესპუბლიკელმა **თამარ კორძაიამ** დამამახსოვრა თავი, რომელმაც განაცხადა: მამათმავლობა დანაშაული არ არის და საქართველოს პატრიარქმა იმისთვის უნდა აგოს პასუხი, რომ საქართველოს ეკლესია რუსეთის გავლენის ქვეშ არისო. ანალოგიური რამის თქმა ე.წ. მესამე სექტორსა და სახალხო დამცველზეც შეიძლება — ეს დასავლეთიდან გულუხვად დაფინანსებული მეხუთე კოლონა საქართველოში საჯაროდ უცხადებს თანადგომას „სიმართლისთვის დევნილ" მეუფე პეტრეს, რომელსაც, ეტყობა, არ ასვენებს გამჩენი და განაგრძობს პროვოკაციული განცხადებების კეთებას — პატრიარქთან მოსანანიებელი არაფერი მაქვსო, რაც იმას ნიშნავს, რომ... მიხვდებით რასაც... **ამ ნაძირალამ სულ გარეკა — წმინდა სინოდის გამართვას ითხოვს, რომელზეც ან დამიმტკიცონ, რომ ცილისმწამებელი ვარ, ანდა მე დავამტკიცებ, რომ მართალი ვარ, მოწმეებს მოვიყვანო.**

საკვირაო ქადაგებისას, ჩვენი მხცოვანი პატრიარქის შემხედვარეს, რომელმაც ხმის კანკალით მადლობა გადაგვიხადა ჩვენ, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას, და არა მხოლოდ მართლმადიდებლებს, გული დამეწვა და ყელში ჯავრის გორგალი გამეჩხირა — **როგორ გაგვიბედა ამ ნაძირალა პაატა ცაავამ ასეთი სიბინძურის წამოყრანტალება?!**

დარწმუნებული ვარ, მილიონობით ქართველს ქვეყნის შინ თუ მის გარეთ ერთი რამ აინტერესებს — თუ დაისჯება მეუფედყოფილი ნაძირალა თუ ხახვივით შერჩება ერის სულიერი მამის ცილისმწამებლური შეურაცხყოფით წამოწყებული შეტევა ჩვენს ეკლესიაზე.

ქართველებს თუ ჯერაც გვქვია ერი და უსახური არსებების ბრბოდ არ ვქცეულვართ, პეტრე-ყანდურს მხოლოდ საეკლესიო სასჯელი არ უნდა ვაკმაროთ!

რაც შეეხება კითხვებს, საზოგადოებას ბევრი დაგვიგროვდა და იქნებ სწორედ იმ პასუხგაუცემელი კითხვების ბრალიც არის ის, რაც დღეს საქართველოს დედაეკლესიაში და მის გარშემო ხდება.

ეს კი ცალკე წერილის თემაა და მასზე საუბარს, თუ ღმერთმა ინება, გაზეთის მომავალ ნომერში ვაპირებ.

**დავით მხეიძე**

**ცნობილია, რომ სააკაშვილმა საკუთარი საპრეზიდენტო ვადის ბოლო დღეები თუ თვეები მაქსიმალურად გამოიყენა აჭარაში მცხოვრები (და არა მხოლოდ აჭარაში) თურქებისთვის საქართველოს მოქალაქეობის დასარიგებლად. არაოფიციალური მონაცემებით, მან ქართული პასპორტი რამდენიმე ათეულ ათას თურქს მისცა და მათ გარკვეულ ნაწილს მიწებიც დაურიგა... ასე ჩუმად და უხმაუროდ იკოწიწებდა მაშინ ელექტორატს პოლიტიკური მოუსავლეთის გზაზე მდგარი მაოხრებელი გზირი.**

საქართველოს მტერი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სააკაშვილი თურქებს მომავალ არჩევნებში დახმარების სანაცვლოდ აჭარას ჰპირდება

**საზღვარგარეთ გაქცეული საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკურ ფარხმალს არ ყრის და, სრული უპერსპექტივობის მიუხედავად, ქვეყანაში რევოლუციური ზარ-ზეიმით დაბრუნებაზე ფიქრს თავს არ ანებებს. მისი ამგვარი ოცნებებისა და მისწრაფებების პერიოდული ამოხეთქვა არსებული დღის წესრიგისთვის ერთგვარ აზარტადაც რომ იქცა, ალბათ, ყველასთვის ნათელია. თუმცა ამ აზარტს, რომელიც ხელისუფლების მთავარი შემოქმედის — ბიძინა ივანიშვილისთვის, შესაძლოა, გასართობიცაა, სიფხიზლისა და სიფრთხილის მუდმივი საჭიროებაც სდევს.**

მას შემდეგ, რაც თითქმის 7-წლიან სრულ პოლიტიკურ ჭაობში მყოფი სააკაშვილის ოცნებებმა უკრაინაშიც კრახი განიცადა, მისი ფიქრი და მოზღვავებული ენერგია ისევ საქართველოსკენ მოიმართა. „ბელადი“ ისევ რევოლუციურმა აღტკინებამ შეიპყრო და პოლიტიკური შურისგებით აღვსილმა მომავალი საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება აქედანვე დაიწყო. მოკლედ, ცოტა ხნის წინათ ინტერნეტსივრცეში გავრცელდა ცნობა, რომ სააკაშვილმა ბათუმში თურქეთის გენერალურ კონსულ **მაქბულე ქოჩაკს** ოფიციალური წერილით მიმართა. თავდაპირველად ეს ინფორმაცია სოციალურ ქსელებში გავრცელდა და წერილის შინაარსზე დაწვრილებით არაფერი თქმულა, მოგვიანებით დეტალებიც ცნობილი შეიქნა და სხვადასხვა გვერდზე წერილიც გამოქვეყნდა (აღნიშნულ წერილს აქვე გთავაზობთ).

განვმარტავთ, რომ წერილის ნამდვილობაზე თავს ვერ დავდებთ, **ვმსჯელობთ იმის მიხედვით, რაც ინტერნეტშია გამოქვეყნებული, კიდევ — სააკაშვილის წარსული საქმიანობისა და იმის მიხედვით, რომ არც მას და არც მის თანამოაზრეებს ამ წერილის ნამდვილობა არ უარუყვიათ.**

მოკლე წერილში ექსპრეზიდენტი კონსულს თურქულ-ქართულ „კეთილმეზობლურ“ ურთიერთობებზე, ეკონომიკურ თანამშრომლობაზე, სტრატეგიულ პარტნიორობასა და ინტერესებზე ესაუბრება. შიგადაშიგ ხაზს უსვამს იმასაც, რომ მისი, როგორც ყოფილი პირველი პირის, როლი ამ ურთიერთობებში განუსაზღვრელად დიდია. წერილში ასევე ხაზგასმითაა აღნიშნული თურქი ხალხის „ისტორიული მნიშვნელობა საქართველოსთვის“, მათ შორის საქართველოს პოლიტიკური სტაბილურობისა და მომავლისთვის. მარტივად რომ ვთქვათ, **წერილის ძირითადი ნაწილი კონსულისა და მისი ქვეყნის ქებათა-ქებაა, თუმცა ეს ნაწილი ამ ყველაფრის მხოლოდ ფორმალური, მაამებლური მხარეა და რეალურად მთავარს სულ სხვა რამ წარმოადგენს.**

დასასრულ, **სააკაშვილი კონსულს უხსნის, რომ ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლის შემდეგ მის წინააღმდეგ წარმოუდგენელი რეპრესიები განხორციელდა, რომ ეს რეპრესიები დღემდე გრძელდება და ამის გამო მას სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობა არ ეძლევა: „როგორც ხედავთ, არასოდეს დამიკარგავს სამშობლოში დაბრუნების იმედი, თუმცა დღეს შექმნილი სიტუაციის გამო ჩემთვის საქართველოში დაბრუნება საფრთხის შემცველია“.**

შემდეგ იქვე დასძენს, რომ მისთვის დაბრუნების ერთადერთი გზა „რეპრესიების შედეგად დაზარალებული „ნაციონალური მოძრაობის“ აღდგენაა“, რომ ეს ქვეყანაში მნიშვნელოვნად გააჯანსაღებს პოლიტიკურ ატმოსფეროს და ჯამში საქართველოს უფრო საიმედო პარტნიორად აქცევს მეზობელი სახელმწიფოებისთვის. თუმცა მთავარი ამ წერილში, რა თქმა უნდა, არც ესაა. დასაწყიში ნათქვამი **კომპლიმენტებისა და საამებელი სიტყვების შემდეგ სააკაშვილი კონსულს მხარდაჭერისკენ მოუწოდებს. უფრო სწორად, თხოვნით მიმართავს და პრაქტიკულად ეხვეწება, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მხარი დაუჭიროს: „ჩვენი მეგობრობის ნიშნად გთხოვთ, დაეხმაროთ და მხარი დაუჭიროთ ჩემი პარტიის წევრებს მოახლოებულ არჩევნებში. თქვენი ძალისხმევა არ დარჩება უპასუხოდ და ჩემი მადლიერება არ დააყოვნებს. თუ გავითვალისწინებთ თურქეთის დამოკიდებულებას აჭარის მიმართ და მე ვიცი, რამდენად ძვირფასია იგი თქვენთვის, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება გახსნის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ახალ შესაძლებლობებს რესპუბლიკაში...“**

როგორც ხედავთ, წერილში ექსპრეზიდენტი მხარდაჭერას „უსასყიდლოდ“ არ ითხოვს და დახმარების სანაცვლოდ კონსულს გარკვეულ დაპირებებს აძლევს.

ახლა მოდი, ობიექტურად შევხედოთ ამ ყველაფერს, რას ნიშნავს ან რას შეიძლება გულისხმობდეს სააკაშვილის წერილში შავით თეთრზე დაწერილი სიტყვები: **„თუ გავითვალისწინებთ თურქეთის დამოკიდებულებას აჭარის მიმართ და მე ვიცი, რამდენად ძვირფასია იგი თქვენთვის“, ან რა სახის მხარდაჭერას შეიძლება ითხოვდეს კონსულისგან და რეალურად რა ბერკეტები გააჩნია უცხო ქვეყნის დიპლომატიურ სამსახურს საქართველოში არჩევნებზე რამე ზეგავლენის მოსახდენად...**

პირველ რიგში, ალბათ, ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ბათუმი და სრულიად აჭარა თურქეთისთვის არა მხოლოდ მზარდი ეკონომიკური ექსპანსიის ობიექტი, წმინდა სტრატეგიული თვალსაზრისითაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტერიტორიაა (იგულისხმება, როგორც სამხედრო, ისე სხვა თვალსაზრისით). ამიტომ არის, რომ ოფიციალური ანკარა, დღიდან საბჭოთა კავშირის დაშლისა, მცოცავ ეკონომიკურ ოკუპაციას ახორციელებს რეგიონში, თუმცა **სამხრეთელი „ისტორიული მეგობრის“ გეგმები გაცილებით შორს მიმავალია. მისთვის აჭარა ერთგვარ „ისტორიულ დანაკლისს“, მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ „დანაკარგს“ წარმოადგენს, რაც მძლავრი ოსმალური სახელმწიფოს დაცემის, დასუსტების სიმბოლოა; შესაბამისად, დღეს უკვე ამ რეგიონის დაბრუნება მისთვის (თურქეთისთვის) ერთგვარი პოსტიმპერიული ღირსების საკითხია.** მეტიც, ამით იგი, ერთი მხრივ, შავი ზღვის აკვატორიაში იმყარებს სამხრეთ-აღმოსავლეთით პოზიციას და, მეორე მხრივ, სამხრეთ კავკასიის სიღრმეშიც ზრდის თავის გეოპოლიტიკურ გავლენას. მარტივად რომ ვთქვათ, **ის, რაც საქართველოსთვის ეკონომიკური ოკუპაცია ან ექსპანსიაა, მისთვის, თურქეთისთვის, „ისტორიული სამართლიანობის“ აღდგენაა. ეს „სამართლიანობა“ კიდევ სხვა არაფერია, თუ არა გაცხადებული პოლიტიკა, რომელიც თურქეთის აღმოსავლეთით გაფართოებას და მათ შორის აჭარის ოფიციალურად მიერთებასაც გულისხმობს. აი ის, რაც სიახლე არავისთვისაა.**

**რაც შეეხება სააკაშვილის თხოვნას, დახმარების სანაცვლო დაპირებასა და კონსულის რეალურ შესაძლებლობებს, ცხადია, „ნაცმოძრაობის ბელადს“ მხედველობაში ჰქონდა მარტივი რამ: თუ არჩევნებში გაიმარჯვებს, თურქეთს აჭარასთან დაკავშირებული ყველა იმპერიალისტური ზრახვის განხორციელებაში ხელს შეუწყობს. აქ საუბარია როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ, დემოგრაფიულ, სამხედრო და სტრატეგიულ ამოცანებზე. გარდა ამისა, სიახლე, ალბათ, არავისთვისაა ის, რომ ოფიციალური ანკარა, უკვე წლებია, აჭარაში ისლამიზაციის პროცესს აღვივებს, რაც სხვადასხვა კულტურული პროექტით (მათ შორის ახალ-ახალი მეჩეთების აქტიური მშენებლობებითაც) ხორციელდება.** მოგეხსენებათ, ბათუმის ცენტრში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობის იდეა, რომლის ყველაზე აქტიური მხარდამჭერები თავის დროზე სწორედ ნაციონალები იყვნენ, ერთ-ერთი ყველაზე ნათელი და მკაფიო გამოვლინება იყო ამ პროცესის, მაგრამ მაშინ საზოგადოების მწვავე პროტესტმა ისედაც კრიზისში მყოფ ხელისუფლებას განზრახვაზე ხელი ააღებინა. მერე კი ნაციონალებს პოლიტიკურმა აღსასრულმა უწია და ძალაუფლებასაც გამოეთხოვნენ. ისე, **საყოველთაოდ ცნობილია, რომ სააკაშვილმა საკუთარი საპრეზიდენტო ვადის ბოლო დღეები თუ თვეები მაქსიმალურად გამოიყენა აჭარაში მცხოვრები (და არა მხოლოდ აჭარაში) თურქებისთვის საქართველოს მოქალაქეობის დასარიგებლად. არაოფიციალური მონაცემებით, მან ქართული პასპორტი რამდენიმე ათეულ ათას თურქს მისცა და მათ გარკვეულ ნაწილს მიწებიც დაურიგა... ასე ჩუმად და უხმაუროდ იკოწიწებდა მაშინ ელექტორატს პოლიტიკური მოუსავლეთის გზაზე მდგარი მაოხრებელი გზირი.** მისი გასტუმრების შემდეგ კი, ბუნებრივია, ეს ყველაფერი საფრთხედ დარჩა და დამოკლეს მახვილივით დაეკიდა სახელმწიფოს თავზე.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ზემოაღნიშნული წერილი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რა პოლიტიკურ მუხანათობის მკადრებელია საზღვარგარეთ გაქცეული სააკაშვილი. თურქეთის კონსულისთვის გაგზავნილი წერილი ცხადყოფს, რომ ექსპრეზიდენტმა, სულ ცოტა, ქვეყნის ერთი რეგიონი ნაღმზე დასვა პირადი ვიწრო პოლიტიკური ინტერესებისთვის. რა მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს მის აფეთქებას ქვეყნისთვის, ძნელი მისახვედრი არ არის. ყოველ შემთხვევაში ის, რომ ლანგრით მირთმეულ აჭარაზე და შემდეგ სრულიად საქართველოზე თურქეთი უარს არ იტყვის, ყველასთვის ცხადზე ცხადია.

**ჯაბა ჟვანია**




NEW FORCES

РУХ

To: Mahbule Koçak,
Consul General of Turkey in Batumi

From: Mikheil Saakashvili

Dear Mrs. Koçak

[illegible]

Being an official representative of both the diplomatic corps and the Turkish government, you are performing an important role in establishing and maintaining of strong and trusting relationship between the nations of Georgia and Turkey. [illegible]

[illegible]

As a sign of our friendship I ask you to assist and support my party [illegible] in the upcoming elections. [illegible]

Sincerely,

August 19, 2019

Mikheil N. Saakashvili

**P.S.** მას შემდეგ, რაც ინტერნეტსივრცეში სააკაშვილის წერილი გავრცელდა, კომენტარისთვის თურქეთის საელჩოსთან დაკავშირება ვცადეთ. რამდენიმე მცდელობის შემდეგ გვიპასუხეს, მაგრამ მხოლოდ თურქულად. თურქული ჩვენ არ ვიცოდით და ქართულად ან თუნდაც ინგლისურად არავინ დაგველაპარაკა.

თუკი თურქეთის საელჩო ან ბათუმში გენერალური კონსული ხსენებული წერილის ირგვლივ კომენტარს ისურვებენ, სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**არნახული და არგაგონილი ამბავია, სახელმწიფო მოხელე ასე ამაყობდეს ჯარიმის ან გადასახადის მომატებით. ჯარიმების მომატება ყველა ქვეყანაში ხდება, მაგრამ, როგორც წესი, სახელმწიფო მოხელეები ებოდიშებიან ამის გამო მოსახლეობას და ცდილობენ ახსნან, რა ფაქტორებმა გამოიწვია ეს, რამ აიძულა ისინი, ჯარიმა გაეზარდათ... ამ შემთხვევაში კი თბილისის მერმა ჯარიმის მომატება „დამსახურებად“ მიიწერა და მოსახლოებას ლამის მიულოცა ეს „ღირსშესანიშნავი მოვლენა“.**

# დედაქალაქის მერი — მოსახლეობის მეგობარი თუ... მტერი?

**როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება ქალაქის მოსახლეობას ტელეეთერიდან ამაყად და ბედნიერად ახაროს ქალაქის მერმა? ანუ, როდესაც ქალაქის მერი გამოდის ტელევიზიით და თანაქალაქელებს ეუბნება: აი, დღეიდან თქვენ უკვე გაქვთ ის, რასაც მე ამდენ ხანს ასე რუდუნებით ვცდილობდი, ვაწუხებდი პარლამენტს და ვთხოვდი, დაეჯერებინა ჩემთვის და, როგორც იქნა, მივაღწიე ამასო, რა შეიძლება იყოს ეს? ალბათ, ყველაფერი, გადასახადისა და ჯარიმის ტარიფის მომატების გარდა, ხომ? არადა, გასულ კვირაში ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში საკუთარი თვალით ვიხილე და საკუთარი ყურით ვუსმინე თბილისის მერ კახა კალაძეს, რომელიც მოსახლეობას ზუსტად ამას აუწყებდა ძალიან ბედნიერი სახით: „არასწორი პარკირების 10-ლარიანი ჯარიმა 50 ლარამდე გაიზარდა და ეს პირადად ჩემი დამსახურებაა! სამჯერ მივმართე პარლამენტს ამ მოთხოვნით, ორჯერ უარი მითხრეს და აგერ, მესამედ, როგორც იქნა, განიხილეს და უკვე არასწორი პარკირებისთვის 10-ის ნაცვლად 50 ლარს გადაიხდით!“**

სანამ ათასი „გამპრავებლის“ ყიყინი ატყდება, აქვე ვიტყვი: საზოგადოდ, ჯარიმის მომატების წინააღმდეგ არ გამოვდივარ და არც ამ სტატიის მიზანია ეგ. ჯარიმები სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ვითარებაში და სხვადასხვა არგუმენტით იმატებს და მცირდება კიდეც. ამაში არაფერია პრობლემური. ოღონდ დააკვირდით რაც ვთქვი: „სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ვითარებაში“. როგორ ფიქრობთ, **დღეს საქართველოში ჯარიმების მოსამატებელი ვითარება გვაქვს?** სხვა დანარჩენი პრობლემები, რომლებიც გაცილებით მწვავეა და სასწრაფო, უკვე მოგვარებულია, რომ ჯარიმის გაზრდაზე ვიფიქროთ? თუმცა, კარგი, ჯანდაბას, ქალაქის მერმა გადაწყვიტა, რომ არასწორ პარკირებაზე ჯარიმა რაღაც მოსაზრებით მოსამატებელია. ამასაც ხომ თავისი გონივრული ზომა, წონა უნდა ჰქონდეს? 10-ლარიანი ჯარიმა, ჯანდაბას, გახადე 15 ლარი, ჰა, კარგი ორჯერ, ორ-ნახევარჯერ გაზარდე და 20 ან 25 ლარი გახადე... ჯარიმის პირდაპირ ხუთმაგად მომატება რა ოხრობაა? 10-ლარიან ჯარიმას რომ პირდაპირ 50-ლარიანად დააწესებ, რა, უდიდესი ეკონომიკური ნახტომი ჰქონდა ქვეყანას, ამოისუნთქა ხალხმა და ფული იშოვა თუ რაშია საქმე?! **დამისახელეთ თუნდაც ერთი ქვეყანა მსოფლიოში, რომელშიც არასწორი პარკირების ჯარიმა პენსიის 25 პროცენტია, და გავჩუმდები, ბოდიშსაც მოვუხდი კახა კალაძეს და არასოდეს აღარ გავაკრიტიკებ...**

არნახული და არგაგონილი ამბავია, სახელმწიფო მოხელე ასე ამაყობდეს ჯარიმის ან გადასახადის მომატებით. ზევით ვთქვი და ვიმეორებ: ჯარიმების მომატებაც ხდება ყველა ქვეყანაში, მაგრამ, როგორც წესი, სახელმწიფო მოხელეები ებოდიშებიან ამის გამო მოსახლეობას და ცდილობენ, ახსნან, რა ფაქტორებმა გამოიწვია ეს, რამ აიძულა ისინი, ჯარიმის ოდენობა გაეზარდათ... ამ შემთხვევაში კი თბილისის მერმა ჯარიმის მომატება „დამსახურებად“ მიიწერა და მოსახლოებას ლამის მიულოცა ეს „ღირსშესანიშნავი მოვლენა“...

**კი, ნამდვილად კომიკური ფაქტია, მაგრამ, როდესაც სოციალურ ქსელებში კახა კალაძის „გამპრავებლების“ პოსტებს, კომენტარებს, მოსაზრებებს გადახედავ, ღიმილი სახეზე შეგეყინება და, თუ ნორმალური ხარ, აუცილებლად დაფიქრდები: რამდენი „სპირიდონა სულანჯია“ შეიძლება ჰყავდეს ჩვენს ბედკრულ ქვეყანას?**

წეღან ვთქვი, — „მოსაზრებები“-მეთქი, მაგრამ რა მოსაზრებები?! განა შეიძლება ასეთ ადამიანებს „მოსაზრებები“ ჰქონდეთ?! ისინი ერთნაირი „მესიჯებით“ „მოძრაობენ“, რომლებიც, ალბათ, რამდენიმედღიანი ფიქრის შემდეგ მოიგონა „კალას“ რომელიმე მაღალხელფასიანმა „პიარგოგოშკამ“ და ძალიან გაუხარდა. მას ასევე ბრძნული თავის დაქნევით დაეთანხმებოდნენ „პიარის მამებიც“ და, არიქა, ერთ დღეში გაივსო „ფეისბუკი“ მანამდე სრულიად საქართველოსგან ნაგინები კახა კალაძის „ბრძნული გაპრავებებით“: **„დიახაც, საჭიროა მაღალი ჯარიმები. აი, მე, პირადად, აქა და აქ ვცხოვრობ და, სახლიდან რომ გამოვდივარ, ამა და ამ ადგილზე, იცით, როგორ უაზროდ აქვთ გაჩერებული მანქანები?!“**

ესე იგი, რადგან არსებობენ ადამიანები, რომლებიც საკუთარ ავტომობილებს სხვადასხვა ადგილას აჩერებენ ხოლმე, ეს თურმე ნიშნავს იმას, რომ ასეთ უადგილო პარკირებაზე ჯარიმა 5-ჯერ უნდა გავზარდოთ. ეს დაახლოებით იგივეა, ქურდობაზე თავისუფლების აღკვეთის ვადაც ხუთჯერ გაიზარდოს.

იურიდიულ ფაკულტეტზე ლამის პირველივე ლექციაზე ისწავლება, რომ სასჯელის გამკაცრება არ შეიძლება განხილული იქნას, როგორც დანაშაულის პრევენცია, ანუ სასჯელის ვადის, ჯარიმის მოცულობის მომატება არასოდეს განაპირობებს დანაშაულის რაოდენობის კლებას. დანაშაულის პრევენცია, სასჯელის სიმძიმე კი არა, სასჯელის გარდაუვალობაა. ამ მხრივ როგორ გვაქვს საქმე, თუ იცის „კალამ“? კონკრეტულად პარკირების შემთხვევაში, ვიტყვი, რომ ძალიან ცუდად.

თუმცა, როდესაც ადამიანები „ჩვენი საყვარელი კახის“ დაცვის მოთხოვნებით ძალუმად არიან ანთებულნი, უძნელესიან მათ თუნდაც ელემენტარული რამ აუხსნა. როცა უხსნი, პასუხი ასეთია: „ესე იგი, შენ გინდა, დაარღვიო და არ დაგაჯარიმონ, ხო?“

ამ ლოგიკით, გამოდის, რომ მსოფლიოში ცნობილ ჰუმანისტ იურისტებს, რომლებიც მკვლელობაზე სასჯელის შემსუბუქებას ითხოვენ, უნდათ, რომ ადამიანები მოკლან და არ დაისაჯონ, ხო?

აზრიც არ აქვს „კალას ფანატებისთვის“ იმის ახსნას, რომ ჩვენ ჯარიმის საერთოდ გაუქმებას ან მის არმომატებას კი არ ვითხოვთ, არამედ იმას, რომ ჯარიმამ გონივრულ ფარგლებში მოიმატოს და დარღვევის შემთხვევაში მისი გამოყენება იყოს გარდაუვალი, თორემ ლოგიკა — „რაც უფრო მაღალ ჯარიმას დააწესებ, მით ნაკლები მძღოლი გააჩერებს უადგილო ადგილას ავტომობილს“ — სრული სიტუტუცეა. მაშინ, რაღა 50 ლარი? მოდით, დავაწესოთ 150 ან 250, ან სულაც ნახევარი მილიონი ლარი და კაციშვილი ვეღარ გაბედავს უადგილო პარკირებას! საქმეც ის არის, რომ სასჯელის და განსაკუთრებით ადმინისტრაციული სახდელების ეფექტიანობას, მისი სიდიდე კი არა, სწორედ გონივრული განსაზღვრა განაპირობებს. როგორც კი ჯარიმა არაადეკვატური და გაუაზრებლად მაღალი ხდება, ის უკვე ეფექტიანობასაც კარგავს და დაცინვისა და მასხარაობის საგანი ხდება. ასეთი ჯარიმა, კანონმორჩილი მძღოლების კი არა, ურჩი გადამხდელების რაოდენობას გაზრდის და იქამდე მივალთ, რომ არავინ არაფერს აღარ გადაიხდის და სახელმწიფო კომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდება.

ასეთი ვითარება კი ბოლოს სოციალური ბუნტით მთავრდება ხოლმე.

მაგრამ როგორ გინდა, ეს აუხსნა ჯიუტ, უაზროდ ამბიციურ და ამპარტავან თბილისის მერს? ხალხთან ჯიბრში ჩადგომა მისთვის ახალი არ არის, ამიტომ ძალიან მოიმატა კალაძის მაგინებელთა რაოდენობამ. ეს ფაქტია და, რაც უნდა შეეცადონ „სოციალურ ქსელებში“ დაქირავებული „გამპრავებლები“ სხვანაირი სურათის დახატვას, ქუჩაში ერთი გავლაც კი საკმარისია, რომ ადამიანმა რეალური სურათი დაინახოს.

საინტერსოა, რომ ჯარიმებისა და კანონმორჩილების საილუსტრაციო მაგალითად მოაქვთ უსაფროების ღვედის თემა. „აი, რომ დააწესეს ჯარიმა 40 ლარი, ხომ ვისწავლეთ უსაფრთხოების ღვედის გაკეთება?“ არადა, ეს მაგალითი, მე მგონია, რომ პირიქით მეტყველებს. დამეთანხმებით, რომ ჩვენი ნაცნობების 70 პროცენტს მაინც, უსაფრთხოების ღვედი ისე, უბრალოდ, აქვს გადადებული ან იღლიაში ამოჩრილი და რეალურად იგი ავტოსაგზაო შემთხვევისას თავის რეალურ დანიშნულებას ვერ შეასრულებს. ამის საილუსტრაციოდ ბოლო წლებში მომატებული ტრაგიკულად დამთავრებული ავარიებია საკმარისი, რომელი დაღუპული გადაარჩინა შეკრულმა ღვედმა? მით უფრო უაზრობაა ღვედი ქალაქში, სადაც მანქანის სიჩქარე არაა მაღალი. ღვედის სავალდებულო შეკვრა სააკაშვილის ერთ-ერთი მორიგი ახირება იყო მხოლოდ, როცა ცდილობდა, რომ ნიუ-იორკის მაშინდელ მერს, მილიარდერ **რუდოლფ ჯულიანის** „შეტენვოდა“ რამენაირად. ტრაგიკული სტატისტიკა ამის შემდეგ ოდნავადაც არ გაუმჯობესებულა, თუმცა მთავარია, „კალა გაპრავდეს“ და თუნდაც დაქცეულა ქვეყნიერება!

ასეთი „აღმსარებლობის“ ადამიანები ისეთ, იურიდიულად ყოვლად უაზრო ფრაზასაც კი იყენებენ, როგორიცაა „ნუ დაარღვევ და არ დაჯარიმდები, ძმაო!“

ასეთივე წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ფრაზები: „ნუ მოიპარავ და არ დაგიჭერენ!“, „ნუ მოკლავ და არ დაგხვრეტენ!“ და ა.შ.

ამ ლოგიკით, შეგვიძლია, დავაწესოთ ნებისმიერ დანაშაულზე ნებისმიერი სასჯელი. მაგალითად, ქრთამის აღებისთვის გილიოტინა, თანამდებობრივი უფლებების გადამეტებისთვის: ჩამოხრჩობა, სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფისთვის კასტრაცია და სხვ. რა პრობლემაა?! ნუ ჩაიდენ და არ დაისჯები!

თუმცა რაღა არის სალაპარაკო, როცა თურმე „მერიის სატრანსპორტო პოლიტიკა“ ყოფილა ასეთი — „ადამიანებს უნდა გავუძვიროთ კერძო ავტომობილებით გადაადგილება, რათა მანქანები შინ დატოვონ და ტრანსპორტით იარონ“, ანუ ქალაქში არსებული მოძრაობის პრობლემების მოგვარების ყველაზე იოლი გზა ყოფილა ის, რომ ხალხმა აღარ იაროს მანქანებით. ბარემ რომ ჩამოგვიაროთ სპეციალური ჯგუფებით და დაგვილეწოთ მანქანები, არ გინდათ? ასე ხომ გაცილებით მალე და იოლად მოგვარდება პრობლემა?!

კიდევ კარგი, პარლამენტი მთლად თბილისის მერივით ჯიუტი და ამპარტავანი არ გამოდგა, ვიღაცას იქ მაინც ეყო ჭკუა და კალაძის ეს არაადეკვატური და სულელური ინიციატივა კალაძის სატელევიზიო გამოსვლის შემდეგ შეაჩერა... არჩევნებამდე ჯერ ერთი წელია წინ და მერე რა იქნება, ვნახოთ.

დასასრულ, ყველაზე საინტერესო არის ის, ვინ ურჩევს მერს, მით უმეტეს ასეთ გაგანია წინასაარჩევნო პერიოდში, ტელევიზიით გამოვიდეს და ამ დონის შტერობები ილაპარაკოს; თანაც „დაგვარწმუნოს“, რომ თურმე „უცხოეთის ქვეყნებში ასეა“... ჯერ ერთი, ეს დიდი ტყუილია და ყველა ქვეყანაში მსგავსი პრობლემები ინდივიდუალურად, ამ კონკრეტული ქვეყნის სოციალური, საზოგადოებრივი და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით არის მოწესრიგებული; მეორეც — ასეთი სისულელეების მოსმენისას ცნობილი რუსული ფილმიდან ეს ფრაზა მახსენდება ხოლმე: „ნე ზნაიუ კაკ ტამ უ ვას, ნო უ ნას უპრავდომ დრუგ ჩელოვეკა!“



**საინტერესო არის ის, ვინ ურჩევს მერს, მით უმეტეს ასეთ გაგანია წინასაარჩევნო პერიოდში, ტელევიზიით გამოვიდეს და ამ დონის შტერობები ილაპარაკოს; თანაც «დაგვარწმუნოს», რომ თურმე «უცხოეთის ქვეყნებში ასეა»... ჯერ ერთი, ეს დიდი ტყუილია და ყველა ქვეყანაში მსგავსი პრობლემები ინდივიდუალურად, ამ კონკრეტული ქვეყნის სოციალური, საზოგადოებრივი და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით არის მოწესრიგებული; მეორეც — ასეთი სისულელეების მოსმენისას ცნობილი რუსული ფილმიდან ეს ფრაზა მახსენდება: «ნე ზნაიუ კაკ ტამ უ ვას, ნო უ ნას უპრავდომ დრუგ ჩელოვეკა!»**

**ვეტერან ფეხბურთელებს — იტალიელ ანდრეა პირლოსა და ბრაზილიელ რივალდოს კარიერის განმავლობაში არაერთ სახელოვან კლუბში უთამაშია. ორივე ფეხბურთელი თავიანთი ქვეყნების ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონია და ორივე ოფიციალურად ითვლება მილიონერად. ჰოდა, ხომ წარმოგიდგენიათ, ამ ორი ლეგენდარული ფეხბურთელის საქართველოში ჩამოყვანა და სარეკლამო რგოლში გადაღება რა დაუჯდებოდათ? მაგრამ აზარტული თამაშების მფლობელებმა მოახერხეს და ორივე ჩამოიყვანეს.**

საზოგადოება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სიკვდილთან თამაში, რომელშიც მილიონიდან ერთს უმართლებს



**გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა — ასე შეიძლება ვუწოდოთ აზარტულ თამაშებს. პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველო აზარტული თამაშების წლიური კაპიტალის ბრუნვის მიხედვით პირველია. პირველია რამდენიმე მიზეზის გამო, თუმცა მთავარი მიზეზი, სოციალურ სიდუხჭირესთან ერთად, არის ის, რომ, მაგალითად, ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანსა და რუსეთში აზარტული თამაშები აკრძალულია. რუსეთში ახალგაზრდების დამოკიდებულების გამო აიკრძალა, აზერბაიჯანში კი აკრძალვას საინტერესო ისტორია აქვს. მოქმედი პრეზიდენტის, ილჰამ ალიევის, მამის — ჰეიდარ ალიევის პრეზიდენტობის პერიოდში აზარტულ თამაშებში წაგებული თანხის გამო რამდენიმე გახმაურებული მკვლელობა მოხდა.**

ჰეიდარ ალიევმა აზარტული თამაშები შეზღუდა, მაგრამ მისმა შვილმა, როცა პრეზიდენტი გახდა, გადაწყვიტა, უფრო მკაცრი რეგულაციები დაეწესებინა. სწორედ ამ რეგულაციების შემუშავების პროცესში აზარტულ თამაშებში წაგებული თანხის გამო ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრეს **ილჰამ ალიევის** დეიდაშვილი. პრეზიდენტის ბრძანებით მკაცრ რეგულაციებზე მუშაობა შეწყდა და აზარტული თამაშები, უბრალოდ, აიკრძალა. ამის შემდეგ აღნიშნულ საკითხზე გარჩევების, მკვლელობებისა თუ თვითმკვლელობების სტატისტიკა განულდა. გაითვალისწინეთ, რომ ეს მოხდა ქვეყანაში, რომელიც არის ჩვენს მეზობლად და რომელსაც ნავთობის გამო, ჩვენზე გაცილებით მძლავრი ეკონომიკა აქვს, იქ გაცილებით მაღალი ხელფასებია და ხალხსაც ნაკლებად უჭირს.

ჩვენთან კი **აზარტული თამაშების აკრძალვას საშველი არ დაადგა, იმის მიუხედავად, რომ თვეში, სულ ცოტა, ერთხელ, სოციალურ ქსელში ჩნდება ინფორმაცია, რომ ამა თუ იმ მუნიციპალიტეტში ან დედაქალაქში აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებისა და ვალების გამო ვიღაცამ თავი მოიკლა. „გამოიტირებს“ ერი სოციალური ქსელით მორიგ ახალგაზრდას და დაელოდება შემდეგ განცხადებას. ეს არის ის მწარე რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ და ახლა არ თქვათ, გარემოცვაში, სამეზობლოში, სანათესაოში არ მყავს ადამიანი, რომელიც აზარტული თამაშების გამო მუდმივ ვალებშიაო.**

რამდენიმე თვის წინათ პარლამენტში განსახილველად შევიდა კანონი, რომლის მიხედვით, აზარტული თამაშები კი არა, მათი რეკლამა იკრძალებოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, პარლამენტმა აღნიშნული პროექტი ჩააგდო და მიზეზად თქვა: დაუხვეწავიაო. ეს ოფიციალურად, თორემ არაოფიციალურად დეპუტატები ხმამაღლა ამბობდნენ, აზარტული თამაშებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში ათეულ მილიონობით ლარი შედის და მაგის აკრძალვა ეკონომიკას დაარტყამსო. **ისე გამოდის, რომ ქართული ეკონომიკის ხერხემალი აზარტული თამაშები ყოფილა. მერე რა, რომ ეს ხერხემალი პერიოდულად მსხვერპლშეწირვას მოითხოვს. სხვათა შორის, ერთ-ერთმა პარლამენტარმა ისიც თქვა: აზარტული თამაშები ტურიზმის ერთ-ერთი კომპონენტიაო. კი, ბატონო, იყოს, ვინ გიშლით?! ოღონდ შემოიღეთ კანონი, რომ მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის იყოს აზარტული თამაშები ხელმისაწვდომი.**

რაც მთავარია, კაზინოებისა თუ ინტერნეტსლოტების მფლობელები კბილებით იცავენ მოთამაშეებს. ახლავე გეტყვით, რას ვგულისხმობ. ჩემი პირადობის ნომრით ოთხ ინტერნეტსლოტზე იყო ვიღაც დარეგისტრირებული. ამ პრობლემაზე მეგობარი წერდა და გადავწყვიტე, გადამემოწმებინა. **სანამ ოფისში არ მივედი, სანამ პირადობა არ წარვადგინე, მანამდე არ გააუქმეს ქსელში ჩემი პირადობა. ტელეფონით, ცხელ ხაზზე დარეკვით, უარი მითხრეს, აქაოდა, ჩვენ რა ვიცით, იქნებ მშობელი ხართ და შვილს უუქმებთ ავტორიზაციასო. ასეც რომ იყოს, მშობელი, ძმა, და, ნათესავი რომ ვიყო და რომ ვაპირებდე, გავაუქმო ავტორიზაცია, რატომ უნდა მითხრან უარი?** ხომ პრობლემაა რეალურად, ხომ მინდა, ადამიანს ვუშველო, დავიხსნა ამ ჯოჯოხეთისგან, მაგრამ არა — უნდა მიხვიდე, უნდა წარადგინო საკუთარი პირადობა, უნდა დაადასტურო, რომ ნამდვილად შენ ხარ და ამ ჯოჯოხეთიდან სხვისი დახსნა არ გსურს და მერე აუქმებენ. შესაბამისად, მარტივად შესაძლებელია, არასრულწლოვნებმა ალალბედზე შეყვანილი პირადობის ნომრით მოახდინონ ავტორიზაცია და ითამაშონ ისე, რომ თქვენ არაფერი იცოდეთ. რაც მთავარია, ამას არასრულწლოვნები მასობრივად აკეთებენ და ეს იცის ყველამ, მაგრამ პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული.

**ვეტერან ფეხბურთელებს — იტალიელ ანდრეა პირლოსა და ბრაზილიელ რივალდოს კარიერის განმავლობაში არაერთ სახელოვან კლუბში უთამაშიათ. ორივე ფეხბურთელი თავიანთი ქვეყნების ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონია და ორივე ოფიციალურად ითვლება მილიონერად. ჰოდა, ხომ წარმოგიდგენიათ, ამ ორი ლეგენდარული ფეხბურთელის საქართველოში ჩამოყვანა და სარეკლამო რგოლში გადაღება რა დაუჯდებოდათ?** მაგრამ აზარტული თამაშების მფლობელებმა მოახერხეს და ორივე ჩამოიყვანეს, სარეკლამო რგოლები დღემდე ტრიალებს ტელეეთერში და თაობა, რომელთა კერპი პირლო და რივალდო იყვნენ, პირდაღებული უყურებს, როგორ მოუწოდებენ ისინი აზარტული თამაშისკენ. წლიური 15-მილიარდიანი ბრუნვა ამის შესაძლებლობას აშკარად იძლევა და ნუ გაიკვირვებთ, თუ მომავალში უფრო სახელოვანი ვარსკვლავები ჩამოვლენ.

ახლა კი მთავარი — გასულ კვირას ერთ-ერთი ტოტალიზატორის მიერ გამოცხადებულ გათამაშებაში, 2019 წლის „პორშე კაიმანი“ ამბროლაურის მერმა **ზვიად (დავით) მხეიძემ** მოიგო. საზოგადოდ, ცუდი არ არის, როცა ვინმე რამეს იგებს, მაგრამ მარტივად გეტყვით — ამ გათამაშების ბილეთი რომ გქონოდათ, სულ ცოტა, 5 ლარის ფსონი უნდა გაგეკეთებინათ და რამდენ 5-ლარიანსაც გაიმეტებდით, იმდენი ბილეთი დაირიცხებოდა თქვენს ანგარიშზე. **თვითონ ბატონ ზვიად-დავითს 48 ბილეთი ჰქონია, მაგრამ დოლურაში მილიონზე მეტი ბილეთი ეგდო. ანუ, საქართველოს მოქალაქეებმა დახარჯეს დაახლოებით 5 მილიონი იმისთვის, რომ ერთ ადამიანს მოეგო დაახლოებით 85 ათას დოლარად ღირებული ავტომობილი. ეს ერთი კი მოქალაქეების რჩეული, საჯარო მოხელე, მუნიციპალიტეტის პირველი პირი აღმოჩნდა.**

ამ გათამაშებამდე ერთი დღით ადრე კი საქართველომ პირველი არხის ოპერატორი, 29 წლის **სანდრო ბერაძე** გამოიტირა. სანდრო არ მალავდა, რომ აზარტულ თამაშებზე იყო დამოკიდებული, არც ის დაუმალავს, რომ თავს ვერ მოერია და არც ის, რომ თვითმკვლელობას აპირებდა. ის ტელეფონით დაემშვიდობა ოჯახს, ტელეფონითვე დარეკა 112-ში და შეატყობინა, რომ ცხვარიჭამიაში ახალგაზრდა კაცი თვითმკვლელობას აპირებდა. **დაახლოებით მაინც ხვდებით, რას გრძნობდა ამ მომენტში? ხვდებით, როგორ იყო შეპყრობილი ამ ყველაფრით და როგორ ჰქონდა გაცრუებული ყველაფრის იმედი? და ამ დროს ამბროლაურის მერმა სიხარულის ყიჟინა დასცა და განაცხადა, რომ ძალიან ბედნიერია. ყველაზე საინტერესო მაინც მხეიძის ის განცხადება იყო, რომლის მიხედვითაც ის თურმე ყველაზე ღარიბი მერია საქართველოში და „პორშეს“ ფულით ბანკის ვალს დაფარავს.**

დიდი ალბათობით, ბატონმა ზვიად-დავითმა არ იცის, რომ საქართველოში 2 ათას ლარზე მეტი ხელფასი რომ გაქვს თვეში, ღარიბი არ ხარ, რადგან საქსტატს ხუთსულიანი ოჯახის სამყოფად 361 ლარი აქვს დაწესებული. ამ პროპორციით მხეიძეს შეუძლია თვეში 25 ადამიანი შეინახოს. მეორე — როცა არჩეული და არა დანიშნული საჯარო მოხელე ხარ, გაცილებით მეტი მოგეთხოვება, ვიდრე რიგითს. **როცა არჩეული ხარ, ეს იმას ნიშნავს, ბატონო ზვიად-დავით, რომ ადამიანებმა ნდობა გამოგიცხადეს, რომ ვიღაცისთვის თქვენი წესიერება მისაბაძია, თქვენი საქციელი მისაღებია. აქედან გამომდინარე, თქვენი საქციელი, შესაძლოა, გადამდები იყოს და რას ეუბნებით ამბროლაურის მოსახლეობას, იმ ადამიანებს, რომლებსაც „პორშე“ მხოლოდ ტელეეკრანზე უნახავთ?** გარისკეთ, ითამაშეთ და ეგებ თქვენც მოიგოთო? რას ეუბნებით იმ ახალგაზრდებს, რომლებიც თქვენს აქტივში იყვნენ წინასაარჩევნოდ და რომლებიც გვერდიდან არ მოგცილებიან და დღეს ლუკმაპურის პრობლემა უდგათ? **თამაში რომ უნდოდეთ, სათამაშო ფული საიდან უნდა მოიტანონ? თუ გაყიდონ ყველაფერი, ისესხონ, ვალი აიღონ და ბოლოს იმავე გზას დაადგნენ, რომელსაც სანდრო და არაერთი ახალგაზრდა დაადგა?** სუიციდის სტატისტიკას ეცნობით ხოლმე თუ ეს, უბრალოდ, არ გაინტერესებთ? წარმოგიდგენიათ, რომ სახლში მისულს თქვენმა შვილებმა გითხრან, გვშიაო? ის თუ იცით, ორი თვის წინათ ავლაბარში რა მოხდა? **შინ დაბრუნებული მამა, საჭმელი რომ ვერ მიიტანა, ლოგინზე დაემხო და ტირილი დაიწყო. 5 წლის, ჰო, 5 წლის შვილი მივიდა, ჩაეხუტა და მამამისს უთხრა: ნუ ტირი, არ მშიაო. ამის მერე კაცმა ვენები გადაიჭრა, მაგრამ გადაარჩინეს. მისამართიც ვიცით იმ კაცის, სახელიც და გვარიც და შეძლებისდაგვარად დავეხმარეთ კიდეც, მაგრამ იმ კაცს ვერასდროს გააგებინებთ თქვენ, რატომ ხართ ღარიბი, იმიტომ, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობა არ იცით.** და არ არის გამორიცხული, სხვების დარად, იმ კაცმაც გარისკოს ერთხელ და მთელი დღის ნაშრომი ტოტალიზატორში მიიტანოს, იმიტომ, რომ თქვენ და თქვენნაირები ყოველდღიურად უკიჟინებთ, რომ ეს კარგია, რომ არსებობს ერთ დღეში გამდიდრების შანსი. რეალურად კი, ეს არის სიკვდილთან თამაში, სადაც მილიონიდან ერთს უმართლებს.

**ბესო ბარბაქაძე**

**აზარტული თამაშების აკრძალვას საშველი არ დაადგა, იმის მიუხედავად, რომ თვეში, სულ ცოტა, ერთხელ, სოციალურ ქსელში ჩნდება ინფორმაცია, რომ ამა თუ იმ მუნიციპალიტეტში ან დედაქალაქში აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებისა და ვალების გამო ვიღაცამ თავი მოიკლა**

«სტრატეგიული მოკავშირეების» ლადაგი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბალტიისპირეთმა დაიწყო უკრაინელი შრომითი მიგრანტების მკაცრად შეზღუდვა, ხოლო პოლონეთის მმართველმა პარტიამ „სამართალი და სამართლიანობა“ თავისი პროგრამიდან მალულად ამოიღო უკრაინა, როგორც სტრატეგიული მოკავშირე. უნდა ითქვას, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ფეხებზე იკიდებს კიევის ისტერიკებს და მუქარას, რომ არ გაგზავნის თავის დელეგაციას ასამბლეაში, სანამ იქიდან არ გააძევებენ რუსეთის დელეგაციას. უკრაინას, უბრალოდ, არ უპასუხეს, თითქოს არ გაუგონიათ, თითქოს ასეთი ქვეყანა არც არსებობს.**

# დასავლეთმა მაშინვე გაყიდა და მიატოვა უკრაინა, როგორც კი გამორჩენა დაინახა, ჩვენ სხვანაირად რატომ მოგვექცევა?!

**დღეს იქმნება შთაბეჭდილება, რომ არა მხოლოდ ევროპაში, არამედ ამერიკაშიც მიდის მზადება უკრაინის არა მხოლოდ შემოღობვაზე, არამედ „გადაბეტონებაზე“. რა თქმა უნდა, ისინი ამას საჯაროდ ვერ ამბობენ, მაგრამ, რასაც ჩვენ ჯერ კიდევ გუშინ ვუწოდებდით დასავლეთის კიევისგან დაღლასა და თავის მობეზრებას, დღეს უკვე ჩანს, როგორც დაუფარავი გაღიზიანება. დასავლეთის ქმედებებსა და გამონათქვამებში გამოსჭვივის ამ გამაღიზიანებელი ობიექტის მისი აღქმის ველიდან გაქრობის სურვილი. არცნობა, არდანახვა, არგაგონება — ეს არის უკრაინის მიმართ დასავლეთის პოლიტიკის ფორმირების ძირითადი პოზიციები.**



30 ოქტომბრის ღამეს დანიამ შეათანხმა გაზსადენ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის გაყვანის მარშრუტი ყველაზე მოკლე და „გაზპრომისთვის“ ხელსაყრელი გზით — კუნძულ ბორნჰოლმის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილის გავლით. თითქოს ამაში განსაკუთრებული არაფერია, ვინაიდან მსოფლიოში არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ, ადრე თუ გვიან, დანია „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ს შეათანხმებდა, მაგრამ სწორედ ამ „ადრე-გვიანშია“ პრობლემის არსი. პოლიტიკოსებისა და ექსპერტების უმრავლესობის აზრით, დანიელები გააჭიანურებდნენ დროს ნოემბრის ბოლომდე ან დეკემბრის დასაწყისამდე მაინც. ამასთანავე, ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ დანია შეათანხმებდა უფრო გრძელ და ძვირად ღირებულ საგზაო მარშრუტს.

გაზსადენის მშენებლობაზე ნებართვის გაჭიანურებით დანიას შეეძლო, რეალურად დახმარებოდა უკრაინას რუსული ბუნებრივი აირის ტრანზიტის ხელშეკრულებაზე მოსკოვსა და კიევს შორის გადამწყვეტი მოლაპარაკებების პერიოდში. შეგახსენებთ, რომ კიევს სურს, სულ მცირე, ათწლიანი ხელშეკრულების დადება სამოც მილიარდ კუბურ მეტრზე წელიწადში, ფორმულით: გადაქაჩე ან გადაიხადე, ამასთანავე, ტრანზიტის ფასის ზრდის პირობით. თუ წინა კონტრაქტებით უკრაინა ყოველწლიურად 3-3,5 მილიარდ დოლარს იღებდა ტრანზიტიდან, კიევის ხელმძღვანელობამ ახლა, სულ ცოტა, ხუთი მილიარდი მოინდომა. **ბუნებრივია, მოსკოვს არ სურს, არჩინოს კიევის კლეპტოკრატიული, რუსოფობიური რეჟიმი და სთავაზობს მას კონტრაქტების გაფორმებას ევროპული ნორმატივებით, რომლებიც უკვე ასახულია უკრაინულ კანონმდებლობაში.** და ფასიც უნდა განისაზღვროს ევროპული ნორმატივებიდან გამომდინარე. ასეთი ვითარება ხელს უშლის უკრაინას, სრულად გამოიყენოს გარანტირებული მოცულობებისა და ვადების, ასევე სატრანზიტო ფასების უზრუნველყოფის შესაძლებლობები. ამის გამო კიევი აჭიანურებს დროს და აქამდე ვერ შეუმუშავებია თავისი გაზსადენის საიჯარო პროცედურები. რაკი კიევს ჯერჯერობით არ შეუძლია ევროპულ ნორმებზე საბოლოოდ გადასვლა, მოსკოვი სთავაზობს მას არსებული კონტრაქტის გაგრძელებას, მაგრამ მხოლოდ ერთი წლით. კიევს არც ეს აძლევს ხელს.

გასაგებია, რომ, რაც უფრო დიდხანს გააჭიანურებდა დანია ნებართვის გაცემას და გაართულებდა და გააძვირებდა გაზსადენის გაყვანას, მით მეტი არგუმენტი ექნებოდა მოლაპარაკებებზე უკრაინას. ბოლოს და ბოლოს, ამ პროცესების თუნდაც დეკემბრამდე გაჭიანურება ეჭვქვეშ დააყენებდა „ჩრდილოეთ ნაკადი-2“-ის 2020 წლის საპროექტო მაჩვენებლებზე გასვლას. ამით კიევი შეძლებდა ბრიუსელის დაშინებას მორიგი „გაზის ომით“ (2020 წელს) და კატეგორიულად დააყენებდა მოთხოვნას არა ერთწლიანი, არამედ გრძელვადიანი კონტრაქტის დადებაზე, როგორც ევროპის შეუფერხებლად მომარაგების გარანტიაზე ბუნებრივი აირით.

მაგრამ დანიამ მზაკვრულად დაარტყა ზურგში „ევროპული ცივილიზაციის ფორპოსტს“. ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინათ „გაზპრომის“ ხელმძღვანელი **ალექსეი მილერი** ამტკიცებდა, რომ დანიის მონაკვეთს „გაზპრომი“ ნებართვის მიღებიდან ხუთ კვირაში გაივლიდა.

ვინაიდან გაზსადენის 80% უკვე გაყვანილია, ხოლო დანარჩენ უბნებზე სამუშაოები პარალელურად მიმდინარეობს, ეს უკვე ნიშნავს, რომ დეკემბრის შუა რიცხვებში ან ბოლოს გაზსადენი სრულიად მზად იქნება ექსპლუატაციაში გასაშვებად. რა თქმა უნდა, საპროექტო სიმძლავრეებზე გასასვლელად კიდევ ერთი წელი იქნება საჭირო, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ 2020 წლისთვის უკრაინის გაზის ტრანსპორტირების სისტემის საჭიროება, პრაქტიკულად, ნულს გაუტოლდება. ის 15-20 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი, რომელიც ვერ ჩაეტევა „ჩრდილოეთისა“ და „თურქულ“ ნაკადებში, შეივსება ჩრდილოეთის საბადოებიდან წამოსული თხევადი აირით.

ვიღაცამ შეიძლება თქვას, რომ დანიამ უღალატა უკრაინას „ჩრდილოეთ ნაკადი-2“-ით დაინტერესებული გერმანიის შიშით, მაგრამ ამერიკელებიც, უკრაინელი პატრიოტების უკანასკნელი იმედი, ამავე გზას დაადგნენ. **ტრამპის მიერ რუსეთში აშშ-ის ელჩობის კანდიდატად შეთავაზებულმა ჯონ სალივანმა სენატში გამოსვლისას (ელჩად დამტკიცებისას) განაცხადა, რომ, მისი აზრით, „ჩრდილოეთ ნაკადი-2“-ის გაჩერებას აშშ უკვე ველარ შეძლებს, ხოლო პროექტში მონაწილე კომპანიების წინააღმდეგ სანქციების გამოყენება უაზრობაა, ვინაიდან „გაზპრომი“ ამ ამოცანას მარტოც გაუმკლავდება. როდის იყო, რომ ამერიკელი დიპლომატები (მით უმეტეს, ჯერ კიდევ თანამდებობაზე დაუნიშნავი) ასეთი გულახდილობის უფლებას აძლევდნენ თავს სენატორებთან გამოსვლისას? სალივანის სიტყვები ხომ ევროპაშიც გაიგონეს და შესაბამისი დასკვნებიც გააკეთეს (უკრაინისთვის არასასურველი).**

**მერკელი და მაკრონი?**

უკვე აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ, საერთოდ, აღარ ისმის ადრინდელი ფრანგულ-გერმანული გუნდის მძლავრი შეძახილები რუსეთის მისამართით, რომ დათანხმდეს უკრაინის მოთხოვნებს ბუნებრივი აირის ტრანზიტზე. მართალია, სამმხრივ მოლაპარაკებებზე ევროკავშირის წარმომადგენლებს უკრაინის მიმართ კომპლემენტარული პოზიცია უკავიათ, მაგრამ პარიზი და ბერლინი სულაც არ ჩქარობენ თავიანთი ევრობიუროკრატების მხარდაჭერას. **მერკელიც კი აღარ ამტკიცებს, რომ აუცილებელია უკრაინის გავლით გარანტირებული ტრანზიტის უზრუნველყოფა, რასაც ის ადრე მუდმივად აკეთებდა. მეტიც, ეს მოღალატეები თითქმის ყოველდღიურად იმეორებენ, რომ უკრაინამ უნდა შეასრულოს მინსკის შეთანხმება და იმოქმედოს შტაინმაიერის ფორმულის თანახმად. და ეს მას შემდეგ, რაც თვითონ უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ (შტაინმაიერმაც) აუხსნა მათ, რომ ნორმანდიის ფორმატით შეხვედრაზე გეგმავს მინსკის ხელშეკრულების გადაკეთებას მისთვის ხელსაყრელი პირობებით. პარიზი და ბერლინი ადრე ყოველთვის კიევს უჭერდნენ მხარს. ახლა კი, თითქოს დაბმულებმა აიწყვიტესო, უკრაინელებს აიძულებენ, მიიღონ უკვე შეთანხმებული პირობები.**

**უნგრელებმა ისევ დაიწყეს ნატოსა და ევროკავშირთან უკრაინის ნებისმიერი ფორმატით თანამშრომლობის ბლოკირება იმიერკარპატებში უნგრელი უმცირესობის მორიგი დევნის საბაბით. ამას გარდა, ბუდაპეშტი უკვე თითქმის ღიად ითხოვს კიევისგან იმიერკარპატებში (ჯერჯერობით კონსტიტუციური გამყარების გარეშე) უნგრული რაიონის შექმნას მისთვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭებით, რაც ძალიან ჰგავს ავტონომიურ სტატუსს**



ყველა ეს დამცირება დააბოლოვა უკრაინაში ჩასულმა ნატოს გენერალურმა მდივანმა **იენს სტოლტენბერგმა,** წარმოთქვა რა მორიგი ფრაზა უკრაინის ნატოში შესვლის უფლებაზე და რომ რუსეთს არ შეუძლია ამისი აკრძალვა. სტოლტენბერგმა იმდენი ილაპარაკა ალიანსისკენ მიმავალი გზის სირთულეებზე, რეფორმების აუცილებლობაზე (ეს მაშინ, როცა უკრაინელებს „გადარეფორმირებული“ აქვთ ყველაფერი, უკანასკნელი პერანგის ჩათვლით და მეტი სარეფორმო აღარაფერი დარჩათ) და „განსაკუთრებული პარტნიორობის“ შესაძლებლობებზე „ოპერატიული თავსებადობის ინიციატივის“ ფარგლებში, რომ ცხადი შეიქნა ძირითადი გზავნილის არსი — **„თქვენ ვერასდროს შეხვალთ ნატოში“,** რაც პრაქტიკულად დაუფარავდ ითქვა და მხოლოდ დიპლომატიური ბრჭყვიალებით იყო შელამაზებული.

ეს — მხოლოდ ერთ კვირაში. და არა მხოლოდ ეს. **უნგრელებმა ისევ დაიწყეს ნატოსა და ევროკავშირთან უკრაინის ნებისმიერი ფორმატით თანამშრომლობის ბლოკირება იმიერკარპატებში უნგრელი უმცირესობის მორიგი დევნის საბაბით. ამას გარდა, ბუდაპეშტი უკვე თითქმის ღიად ითხოვს კიევისგან იმიერკარპატებში (ჯერჯერობით კონსტიტუციური გამყარების გარეშე) უნგრული რაიონის შექმნას მისთვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭებით, რაც ძალიან ჰგავს ავტონომიურ სტატუსს.** უკრაინაში უკვე ალაპარაკდნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაზე. ბალტიისპირეთმა დაიწყო უკრაინელი შრომითი მიგრანტების მკაცრად შეზღუდვა, ხოლო პოლონეთის მმართველმა პარტიამ „სამართალი და სამართლიანობა“ თავისი პროგრამიდან მალულად ამოიღო უკრაინა, როგორც სტრატეგიული მოკავშირე. უნდა ითქვას, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ფეხებზე იკიდებს კიევის ისტერიკებს და მუქარას, რომ არ გაგზავნის თავის დელეგაციას ასამბლეაში, სანამ იქიდან არ გააძევებენ რუსეთის დელეგაციას. უკრაინას, უბრალოდ, არ უპასუხეს, თითქოს არ გაუგონიათ, თითქოს ასეთი ქვეყანა არც არსებობს.

**უკრაინისკენ მიჯრით წამოვიდა უსიამოვნებები ოკეანისგაღმელი პატრონებისგან, დასავლეთევროპელი „პარტნიორებისგან“ და აღმოსავლეთევროპელი „მოკავშირეებისგანაც“, რომლებთანაც ჯერ კიდევ გუშინ ერთობლივი „სანიტარული კორდონის“ გაკეთებას გეგმავდნენ. შემთხვევითობაა? არა მგონია. ძალიან ბევრი დამთხვევაა. ძალიან ბევრი ისე იქცევა, თითქოს უკრაინა აღარ არსებობდეს. და ეს „ძალიან ბევრი“ სწორედ ისინი არიან, ვინც უბიძგებდა უკრაინას ყველანაირი ანტირუსული სისაძაგლისკენ.** კიევში უკვე ისე მიეჩვივნენ საყოველთაო კეთილგანწყობილ ყურადღებას, რომ გულწრფელად დაიჯერეს, რომ არა მხოლოდ დედამიწის, არამედ სამყაროს ცენტრი არიან და ვერ შეამჩნიეს, რომ მათი თანმხლებები იქცნენ მარეკებად, ესკორტი — ბადრაგად, ხოლო თვითონ უკრაინა პარტნიორების ყურადღების ცენტრიდან მათივე სამიზნე ძაფჯვარზე აღმოჩნდა. ევროპელები მას უკვე, როგორც მგელი ცხვარს, ისე უყურებენ.



**მომზადებულია ukraina.ru-ზე გამოქვეყნებული როსტისლავ იშჩენკოს სტატიის მიხედვით**



**კონსტანტინოპოლის საპატრიარქო და უკრაინის ოფიციოზი დიდხანს ევაჭრებოდნენ ერთმანეთს რელიგიურ ობიექტებზე, რომელთა დიდი ნაწილიც ეკუთვნოდა უკრაინის მართლმადიდებელ კანონიკურ ეკლესიას; მას კი, პოროშენკოსგან განსხვავებით, ავტოკეფალია არ მოუთხოვია.**

განხეთქილება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბართოლომეოსის ხრიკები და «რასკოლნიკების» მტაცებლობა უკრაინაში

## ორივე ცალ-ცალკე ცდილობს, ტაძრები წარტაცოს უკრაინის კანონიკურ მართლმადიდებელ ეკლესიას

**ავტოკეფალია ტაძრების სანაცვლოდ — ამის თაობაზე შარშან მოილაპარაკეს პეტრე პოროშენკომ, რომელმაც პრეზიდენტის პოსტზე მეორე ვადით არჩევის გამო შექმნა „მართლმადიდებელი ეკლესია უკრაინაში“, და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ბართოლომეოსმა, რომელსაც, თავის მხრივ, სურდა, ხელში ჩაეგდო ყველაზე მნიშვნელოვანი უკრაინული ტაძრები, მაგრამ მოვლენები სულ სხვა სცენარით განვითარდა.**

### საიდუმლო გეგმები

თითქოს ყველაფერი გეგმის მიხედვით უნდა განვითარებულიყო: **პოროშენკომ** მიაღწია, უკრაინისთვის მოეპოვებინა „დამოუკიდებლობის მეორე დღე“ — ეს იყო ტომოსის მიღება. აღფრთოვანებული მოქალაქეები მასობრივად დაიძრნენ „ერთიან დამოუკიდებელ ავტოკეფალიურ ეკლესიაში“, შემდეგ კი საპრეზიდენტო არჩევნებში სიხარულით მისცეს ხმა „ახალ თავად ვლადიმერს, რომელმაც რუსეთში ქრისტიანობა შეიტანა“. სწორედ ასე მიმართა **ბართოლომეოსმა** პეტრე პოროშენკოს „უკრაინისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შორის ურთიერთქმედების შეთანხმებაზე“ ხელის მოწერისას. **პოროშენკოს გეგმები შეესაბამებოდა ბართოლომეოსის ჩანაფიქრს: მოეგვარებინა უკრაინის 30-წლიანი განხეთქილების პრობლემა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის გარეშე, რომლის მმართველობაშიც ის კანონის მიხედვით იმყოფებოდა და ამით აემაღლებინა ავტორიტეტი მართლმადიდებელ სამყაროში. კონსტანტინოპოლის პატრიარქს ხომ დიდი ხანია, სურს, საკუთარი თავი სრულიად მართლმადიდებელი სამყაროს მეთაურად იხილოს.**

პატრიარქი ბართოლომეოსი, აგრეთვე, მოხიბლა უკრაინის ყოფილი ლიდერის კიდევ ერთმა წინადადებამ: ფენერის პირდაპირ დაქვემდებარებაში გადაეცათ უკრაინის ყველაზე მნიშვნელოვანი ტაძრები და მონასტრები მათ შემოსავლებთან ერთად. ეს ჩაიწერა სტამბოლის შეთანხმებაში, რომლის ტექსტსაც პოროშენკოს გუნდი დიდი ხნის განმავლობაში საიდუმლოდ ინახავდა. უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის დუმილი გამოწვეული იყო იმით, რომ დოკუმენტზე ხელის მოწერისთანავე წარმოიქმნა პრობლემები — **კონსტანტინოპოლის საპატრიარქო და უკრაინის ოფიციოზი დიდხანს ევაჭრებოდნენ ერთმანეთს რელიგიურ ობიექტებზე, რომელთა დიდი ნაწილიც ეკუთვნოდა უკრაინის მართლმადიდებელ კანონიკურ ეკლესიას; მას კი, პოროშენკოსგან განსხვავებით, ავტოკეფალია არ მოუთხოვია.**

კიევსა და სტამბოლს შორის ბრძოლა მიმდინარეობს, როგორც ობიექტების სიაზე, ისე მფლობელობაზე. უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ: „მხოლოდ სარგებლობაში“, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წარმომადგენლები: — „მხოლოდ საკუთრებაში“. ასე აფასებენ შექმნილ ვითარებას უკრაინის საეკლესიო წრეებში. სიაში იყო უკრაინაში ყველაზე ცნობილი მართლმადიდებლური ობიექტები: კიევ-პეჩორისა და პოჩაევის ლავრები, ათონის პანტელეიმონის მონასტრის ეზო ოდესაში, „რასკოლნიკების“ მიერ 1992 წელს კანონიკური ეკლესიისთვის წართმეული ვლადიმერის ტაძარი და სხვ.

ვაჭრობდნენ ყირიმის ტაძრებზეც. კონსტანტინოპოლის საპატრიარქო უკრაინისგან მოითხოვდა ყირიმის რამდენიმე ობიექტის დაბრუნებას, მაგრამ, თუ ამას ვერ შეძლებდნენ, კომპენსაცია უნდა გადაეხადათ (?!).

ფენერს მხოლოდ ერთი ობიექტი გადასცეს — **ანდრეევის ეკლესია კიევში.** დანარჩენ საკითხებში პოროშენკოს დაპირება არ შესრულდა. სწორედ მის მემკვიდრეობაში გარკვევას ცდილობს უკრაინის ამჟამინდელი პრეზიდენტი **ვლადიმერ ზელენსკი. ბართოლომეოსი გააფთრებით ცდილობდა, შეეხსენებინა ზელენსკისთვის სტამბულის შეთანხმება. არ გამოუვიდა. სტამბულში გამართულ შეხვედრაზე უკრაინის ლიდერმა ბოლო მომენტში თქვა უარი ერთობლივ მემორანდუმზე ხელმოწერაზე, რომელშიც ფენერის წარმომადგენლებმა ბუნდოვან ფორმულირებასთან ერთად ჩაწერეს კონკრეტული წინადადება, რომლის მიხედვითაც უკრაინის პრეზიდენტს რა უნდა გადაეხვია თავისი „წინამორბედის მიერ აღებული რელიგიური კურსიდან“.**



**პოროშენკოს გეგმები შეესაბამებოდა ბართოლომეოსის ჩანაფიქრს: მოეგვარებინა უკრაინის 30-წლიანი განხეთქილების პრობლემა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის გარეშე, რომლის მმართველობაშიც ის კანონის მიხედვით იმყოფებოდა, და ამით აემაღლებინა ავტორიტეტი მართლმადიდებელ სამყაროში. კონსტანტინოპოლის პატრიარქს ხომ დიდი ხანია, სურს, საკუთარი თავი სრულიად მართლმადიდებელი სამყაროს მეთაურად იხილოს. ბართოლომეოსი, აგრეთვე, მოხიბლა უკრაინის ყოფილი ლიდერის კიდევ ერთმა წინადადებამ: ფენერის პირდაპირ დაქვემდებარებაში გადაეცათ უკრაინის ყველაზე მნიშვნელოვანი ტაძრები და მონასტრები მათ შემოსავლებთან ერთად**

### უხერხული სტატისტიკა

უკრაინის წინა ხელისუფლება არწმუნებდა ფენერს არა მხოლოდ იმაში, რომ გადასცემდა უკრაინის უძრავ ქონებას, არამედ იმაშიც, რომ ახალ საეკლესიო სტრუქტურაში ბევრი მოქალაქე მივიდოდა. და ტომოსის მიღებიდან პირველ თვეებში ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა ახალი ეკლესიის „წარმატების“ სურათის დასახატავად. ახალშექმნილი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია ყოველ კვირას ავრცელებდა ინფორმაციას თავის იურისდიქციაში უკრაინის კანონიკური ეკლესიის ათობით ტაძრის გადასვლის შესახებ. მარტში ასეთი ტაძრების რაოდენობამ 500-ს გადააჭარბა, თანაც ამ „რასკოლნიკურ“ ორგანიზაციას იმ მომენტისთვის უკვე ჰყავდა 5,5-ათასიანი მრევლი.

მაგრამ კადრს მიღმა ტოვებდნენ მნიშვნელოვან მომენტებს: როგორ მიიღო უკრაინის ახალშექმნილმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ასეულობით ტაძარი. ისინი წაართვეს ნამდვილ მფლობელებს.

**„მხოლოდ 42 ტაძრის მრევლმა გადაწყვიტა, გადასულიყო ახალშექმნილ უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაში. მათგან 9 გადავიდა მღვდლის გარეშე. 55 ე.წ. ნებაყოფლობითი გადასვლა მოხდა ბოქლომების გადახერხვით, მორწმუნეთა ცემა-ტყეპით და ეს, ფაქტობრივად, მიტაცებაა. რეგისტრირებულია 117 შემთხვევა, როცა ტერიტორიულმა თემმა ხმა მისცა უკრაინის ახალ ეკლესიაში გადასვლას რელიგიური თემის ნების წინააღმდეგ, ამ შემთხვევაში ჩვენი ერთგული მრევლი მღვდლებთან ერთად დარჩნენ თავიანთ ტაძრებში, თუმცა ადგილობრივმა ხელისუფლებებმა უპატაკეს, რომ თემი გადავიდა ახალ ეკლესიაში“,** — განაცხადა კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტმა **ონოფრემ** პოროშენკოსთან შეხვედრისას საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე.

სტამბოლიდან სიგელის მიღების შემდეგ უკრაინელმა „რასკოლნიკებმა“ გააძლიერეს ზემოქმედება კანონიკურ ეკლესიაზე, რამაც ქვეყანაში კარდინალურად ვერ შეცვალა რელიგიური სურათი — **უკრაინის მართლმადიდებელი კანონიკური ეკლესია კვლავ დარჩა ქვეყანაში უდიდეს რელიგიურ ორგანიზაციად 12 ათასი ტაძრითა და მილიონობით მრევლით.** აი „დამოუკიდებელი ეკლესია კი მატებით ვერ დაიკვეხნის: მიტაცებული ეკლესიები ცარიელია. ამასთანავე, „რასკოლნიკური“ ორგანიზაციების თემები, რომელთა ბაზაზეც შეიქმნა უკრაინის მართლმადიდებელი ახალი ეკლესია (**ფილარეტ დენისენკოს** „კიევის საპატრიარქო“ (4300 ტაძარი) და უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია (1200 ტაძარი)) არ ჩქარობენ იურისდიქციის ოფიციალურად შეცვლას, ე.ი., ახალ ეკლესიას, ფაქტობრივად, აქვს არა 7 ათასი ტაძარი, რომელთა შესახებაც ცოტა ხნის წინათ განაცხადა მისმა ლიდერმა ეპიფანე დუმენკომ, არამედ 2-3-ჯერ ნაკლები.

### ყველაფერი ძველებურად დარჩება

ამ პროცესს დაემატა უკრაინის საეკლესიო განხეთქილების მამის, ფილარეტ დენისენკოს, დემარში. 1992 წელს ის თვითნებურად გავიდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიიდან და უკრაინის პირველი პრეზიდენტის, **ლეონიდ კრავჩუკის,** მხარდაჭერით შექმნა „კიევის საპატრიარქო“. 26 წლის შემდეგ დენისენკომ აქტიურად დაუჭირა მხარი პოროშენკოს ავტოკეფალიურ პროექტს, იმიტომ, რომ თვითონ სურდა, „ერთიანი დამოუკიდებელი“ სტრუქტურისთვის ეხელმძღვანელა. ამ განზრახვაზე ფილარეტს უარი ათქმევინეს ბოლო მომენტში — 15 დეკემბერს დანიშნული „გამაერთიანებელი კრების“ წინ, სადაც უკრაინის მართლმადიდებელი ახალი ეკლესიის მეთაურად აირჩიეს მისი პროტეჟე ეპიფანე დუმენკო. მაგრამ დენისენკოს უარი არ უთქვამს ძველ მიზანზე: არჩევნებიდან მეორე დღეს პირდაპირ განაცხადა, რომ, ფაქტობრივად, თვითონ დაიწყებს ყველაფრის მართვას, ეპიფანე კი „საგარეო კავშირებისთვის იღვაწებს“.

ახალი ეკლესიის ეპისკოპოსების უმრავლესობა არ შეურიგდა ძალების ასეთ განლაგებას. ისინი რამდენიმე თვის განმავლობაში ცდილობდნენ, ხანდაზმული ცრუპატრიარქის „საპატიო კათედრიდან“ განდევნას. ამის გაკეთება არც ისე ადვილი იყო, რადგან დენისენკო აკონტროლებდა „დამოუკიდებელი ეკლესიის“ ხაზინას.

მაისში **დენისენკო მაინც გადადგა და გამოაცხადა მის მიერ 2918 წლის 15 დეკემბერს ლიკვიდირებული „კიევის საპატრიარქოს“ აღორძინების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ამ სტრუქტურაში ცოტა თემი დაბრუნდა, ძირითადი ადმინისტრაციული შენობა, მათ შორის, პეტრე პოროშენკოს მიერ ფენერისთვის ოდესლაც დაპირებული ვლადიმერის ტაძარი, კვლავ ფილარეტელთა ხელშია. ახლა უკრაინის ახალი ეკლესია ცდილობს, სამოქალაქო სასამართლოს მეშვეობით გააუქმოს ფილარეტის სტრუქტურა და წაართვას მას საბანკო ანგარიშები.** უფრო ადრე ამის გაკეთებაზე უარი თქვა უკრაინის კულტურის სამინისტრომ, რომლის დაქვემდებარებაშიც არის რელიგიური ორგანიზაციები. ახლა კი ხანდაზმული „რასკოლნიკი“ და მისი ახალგაზრდა პროტეჟე ემზადებიან სასამართლო პროცესისთვის, რომელიც 26 ნოემბერს დაიწყება.

„ვფიქრობ, ყველაფერი ძველებურად დარჩება და ბართოლომეოსიც ვერ მიიღებს დაპირებულ ტაძრებს, რადგან ზელენსკის გუნდმა იცის, რომ ბართოლომეოსისა და პოროშენკოს შეთანხმება უკანონო იყო. ეს ნიშნავს იმას, რომ უკრაინაში რელიგიური ვითარება უახლოეს ხანში არ შეიცვლება. განხეთქილების წარმომქმნელი სტრუქტურა რამდენიც იყო, იმდენი დარჩა: ორი — „კიევის საპატრიარქო“ და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია, ხოლო უკრაინის მართლმადიდებელი კანონიკური ეკლესია, როგორც უწინ, ერთადერთი ეკლესიაა უკრაინელთა უმრავლესობისთვის.

**Ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
გიორგი გაჩეჩილაძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



1921 წლის მაისში სვანეთსა და ხევსურეთში თავი იჩინა ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართული მოძრაობის პირველმა ნიშნებმა. სვანეთის აჯანყებას სათავეში ედგნენ მოსესტრო დადეშქელიანი, ნესტორ გარდაფხაძე და ბიძინა პირველი. აჯანყებულმა სვანებმა მისასვლელი გზები გადაუკეტეს წითელი არმიის ნაწილებს, მიმდინარეობდა მოსახლეობის შეიარაღება და მზადება ქუთაისზე გასალაშქრებლად. სექტემბერში სვანთა შეიარაღებულმა რაზმებმა დაამარცხეს და განაიარაღეს სვანეთში მდგარი რუსული სამხედრო ნაწილები და ექვსი თვის განმავლობაში უმკლავდებოდნენ განიარაღებულთა დასახმარებლად ქუთაისიდან დაძრულ ახალ სამხედრო ნაწილებს. ბუნებრივია, სვანების ეს ბრძოლა საბოლოოდ მარცხით დასრულდა.

დასასრული. დასაწყისი იხ. №37-39, 2019 წ.

# რა გაუკეთა სტალინმა საქართველოს?

**„რა წამს ომის ხმა გაისმა,**
**როგორც ძმამ ძმისა მშველელმა,**
**მთამ მთას გასძახა სალაშქროდ,**
**ველებს გასძახეს ველებმა“.**

ეს სტროფი თავს დატეხილი უდიდესი უბედურების გადმოცემაა პოეტის სიტყვებით, მაგრამ, საუბედუროდ, ეს მოწოდება ყველგან ერთნაირად ვერც გაავრცელეს და ვერც გაიგეს ან არ გაიგეს ადამიანებმა.

1922 ივნისს, გამთენიისას, ფაშისტური გერმანიის ვერაგული თავდახსმის გამო საერთო-სახალხო მობილიზაციის გამოცხადების შესახებ კრემლში დადგენილების ხელმოწერისთანავე ქართველი ხალხი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. აღდგა — გაერთიანდა მთა და ბარი.

მტერთან საბრძოლველად სვანი ახალგაზრდობაც შეიკრიბა და ცხენისწყლის ვიწრო ხეობას ცხენებითა და ქვეითად, სოფელ-სოფელ, რახის სმით ქუთაისისკენ მიუყვებოდნენ, რათა შეერთებოდნენ სახალხო ლაშქარს. სვან მებრძოლებს ჯარისკაცები და შინაგან საქმეთა ორგანოების წარმომადგენლები მიაცილებდნენ.

ტროცკის-მენშევიკური ნარჩენების გარკვეული ნაწილი კვლავ მტრობდა საბჭოთა წყობილებასა და სტალინს. ფართო სააგიტაციო მუშაობამ, რომელიც გზად მიმავალ მებრძოლებში მიმდინარეობდა, თავისი შედეგი გამოიღო. შესაფერის ადგილამდე მისულმა ათასობით ახალგაზრდამ უცებ იბრუნა პირი ტყისკენ და ელვის სისწრაფით გაუჩინარდა. გამცილებლები უძლური აღმოჩნდნენ წესრიგის დასამყარებლად და დანიშნულების ადგილამდე მხოლოდ გამცილებლებიღა ჩავიდნენ. როგორც ჩანს, ეს მტრის მიერ წინასწარ მოფიქრებული ხერხი იყო. ასეთივე მასობრივი დეზერტირობა ჩაიდინეს საქართველოს მთიანეთში თითქმის ყველგან.

მდგომარეობა აშკარად დაიძაბა. **მტერი ბომბავდა სოფლებსა და ქალაქებს, ხოცავდა ათიათასობით მშვიდობიან მოქალაქეს, ამ დროს კი ათასობით მებრძოლი ტყეს იყო შეფარებული და თავს არიდებდა სამშობლოს დაცვას. და, თუ ამას თავისი ნებით მტრის მხარეზე გადასულ ასიათასობით მეომარსაც დავუმატებთ, მივხვდებით, რომ საბჭოთა კავშირის მდგომარეობა კატასტროფული იყო. სტალინსა და მის ქვეყანას ებრძოდა, როგორც გარეშე მტერი — ევროპის 18 სახელმწიფო გერმანული ფაშიზმის მეთაურიბით, აგრეთვე, ტროცკისტ-მენშევიკების მიერ ამხედრებული მოსახლეობის გარკვეული ნაწილიც.**

სტალინის სიტყვამ 1941 წლის 3 ივლისს გაამხნევა არა მხოლოდ დედამიწის ერთ მეექვსედზე მცხოვრები მოსახლეობა, არამედ ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ხალხები. კაცობრიობას გულმა არ უმტყუნა — კრემლში ომის ღმერთი ჩასახლდა, მას მიწაზე მეტი საქმე გაუჩნდა, ვიდრე გალაქტიკაში.

სხვა საშინელ ამბებთან ერთად, საქართველოს მთიანეთის ღალატის ამბავმა კრემლამდეც მიაღწია. სვანეთი, მთიანი აჭარა, ზემო აფხაზეთი, თუშეთი — ეს მოსახლეობის რაოდენობით მცირე, მაგრამ პატარა საქართველოს ძირძველი მოსახლეობა დიდად აშფოთებდა ომის ღმერთს — სტალინს, მისმა კომპიუტერული სისწრაფით მოაზროვნე ტვინმა შედეგები გაიანგარიშა და განკარგულება გასცა:

**„მთის ხალხი ბარში ნაკლებად იბრძვის, ვერ ეჩვევა თანამედროვე იარაღს. მებრძოლები გამოიყვანეთ ტყიდან და შექმენით ადგილობრივი ბატალიონები, ისინი იქ, ადგილზე, მთებში დაგვჭირდება“.**

ასე გადარჩა ომის დაწყების პირველივე დღეებში არა მხოლოდ საქართველოს მთიანეთის ახალგაზრდობა, არამედ მთის მოსახლეობაც. **საქართველოს მთიანეთის მოსახლეობამ, კერძოდ, სვანებმა შექმნეს საუკეთესო სამხედრო ბატალიონები, რომელთა ვაჟკაცობასა და სიმამაცეზეც გადაიარა, ძირითადად, კავკასიონის გადარჩენისთვის ბრძოლებმა. მათ გზა მოუჭრეს ჰიტლერს ბაქოს სანავთობო აუზისკენ, რომლის გარეშეც ფაშისტების სატანკო და საავიაციო ტექნიკა უწყლო წისქვილებად გადაიქცა.**

სტალინის დავალება ლავრენტი ბერიას:

**„გაემგზავრე კავკასიაში, წაიყვანე შენი მცირეწლოვანი შვილი — სერგო, რათა ხალხს იმედი ჩაუსახო უსაფრთხოებისა და იხსნა ამიერკავკასია. ეს შენი ვალდებულებაა. იცოდე, ბეჩოს აღება ჰიტლერის მიერ კრემლის აღების ტოლფასია!“**

ბერიამ სამი თვე დაჰყო კავკასიონზე. ბეჩოს მყინვარებში სვანი ალპინისტებისა და მონადირეების მიერ ყინულისა და კლდის ნაპრალებში გამოკვეთილმა სასაწყობო თუ საცხოვრებელმა მღვიმეებმა განაცვიფრა არა მხოლოდ ჩევნი, არამედ ტყვედ ჩავარდნილი გერმანელი სამხედრო სპეციალისტებიც. სწორედ კავკასიონზე გადაუჭრეს სვანმა გმირმა ალპინისტებმა და მონადირეთა შენაერთებმა ჰიტლერელებს ფესვები და დაასამარეს ოპერაცია „ედელვაისი“. სტალინმა კი სიბრძნე გამოიჩინა და ომის პირველივე დღეებში არ მოსპო სვან დეზერტირთა მოღალატე შენაერთები.

უწყვეტ ნაკადად დაიწყო ქართველი ახალგაზრდების წასვლა ფრონტის ხაზზე. მობილიზაციას არ ელოდებოდნენ ადამიანები, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო არ უნდა წასულიყვნენ ომში. კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, მეურნეობათა დირექტორები, შახტებისა და მაღაროების უფროსები, რაიკომის მდივნები, ალმასკომის თავმჯდომარეები ეშელონებს დარაჯობდნენ, რათა არალეგალურად მოხვედრილიყვნენ ფრონტის ხაზზე ან საწვრთნელ მოედნებზე. ამ საერთო აღტკინებას აჰყვა სტუდენტი ახალგაზრდობა განურჩევლად სქესისა.



**მტერი ბომბავდა სოფლებსა და ქალაქებს, ხოცავდა ათიათასობით მშვიდობიან მოქალაქეს, ამ დროს კი ათასობით მებრძოლი ტყეს იყო შეფარებული და თავს არიდებდა სამშობლოს დაცვას. და, თუ ამას თავისი ნებით მტრის მხარეზე გადასულ ასიათასობით მეომარსაც დავუმატებთ, მივხვდებით. რომ საბჭოთა კავშირის მდგომარეობა კატასტროფული იყო. სტალინსა და მის ქვეყანას ებრძოდა, როგორც გარეშე მტერი — ევროპის 18 სახელმწიფო გერმანული ფაშიზმის მეთაურიბით, აგრეთვე, ტროცკისტ-მენშევიკების მიერ ამხედრებული მოსახლეობის გარკვეული ნაწილიც**

უნივერსიტეტებში იხურებოდა ფაკულტეტები და ჯგუფები. ათასობით გოგო-ბიჭი მოხალისედ მიდიოდა ბრძოლის ველზე. ქალიშვილების სწრაფვამ ფრონტზე წასვლისკენ მასობრივი ხასიათი შეიძინა. იმხანად კავკასიის ფრონტზე ჩემგან მრავალგზის ნახსენები ჩემი ნათესავი **ევაკ ნიჟარაძე** (ნამდვილ სახელსა და გვარს სხვადასხვა მიზეზის გამო ჯერჯერობით ვერ ვასახელებ) საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა. ის ჩემი სტუდენტობის პერიოდში ბევრ რამეს მიყვებოდა საიდუმლოდ:

„ერთ დღეს სრულიად საიდუმლოდ სტალინის დეპეშა მივიღე, რომელშიც ეწერა: **„სასწრაფოდ გამოყავით მორიგე პატრულები, ყველა სარკინიგზო სადგურსა და პლატფორმაზე, არ დაუშვათ სარკინიგზო შემადგენლობაზე ქალიშვილების ასვლა და ფრონტზე გამგზავრება. სტალინი“.**

რამდენი მომავალი ქართველი დედა გადარჩა სტალინის ამ ბრძანებით, რამდენი ვაჟი და ქალი შეუნარჩუნა ომის პირველ დღეებში სტალინმა საქართველოს! სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ, თუ 1940 წელს ზემო და ქვემო სვანეთის მოსახლეობა 22 000 მცხოვრებს არ აღემატებოდა, 1950 წელს 37 000 მცხოვრებს გადააჭარბა.

ომის დამთავრებიდან პირველივე წელს უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები სოფელ-სოფელ დადიოდნენ და საშუალო სკოლადამთავრებულ ახალგაზრდებს იქვე უტარებდნენ გასაუბრებას და უმაღლეს სასწავლებლებში მიჰყავდათ სწავლის გასაგრძელებლად, სადაც ისინი უზრუნველყოფილნი იყვნენ საცხოვრებლით, უფასო სწავლით, კომუნალური მომსახურებითა და კვების პროდუქტებით (30%-იანი ფასდაკლებით). ეს ყველაფერი სტალინის სიბრძნის ნაყოფი იყო. რა იცოდა მაშინ ხალხმა, რომ მომავალში საზოგადოება სტალინის სულს დაუწყებდა მოხმობას, რასაც ლექსად გამოთქვამდა: „სტალინ, სტალინ, საყვარელო, შენ მოგძახის საუკუნე“...

ლეგენდარულმა **ეგნატე გაბლიანმა**, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა სვანეთის ისტორიაში, როგორც მკვლევარმა, მახვშმა, მწერალმა, სახელმწიფო მოღვაწემ, თავისუფლებისათვის მებრძოლმა რაინდმა, თავის უკვდავ წიგნში „ძველი და ახალი სვანეთი“, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში აკრძალული იყო და ცოტა ხნის წინათ აღმოაჩინა და გამოსცა უნიჭიერესმა სვანმა, სვანეთზე უზომოდ შეყვარებულმა იურისტმა — **კარლო ქოჩქიანმა**, შემდეგი ჩანაწერი დაგვიტოვა:

„1917 წლის რევოლუციის შემდეგ, სვანეთი მოსწყდა ცენტრს და დიდხანს დარჩა უმთავრობოდ. ხალხისთვის არავის აუხსნია რევოლუციის მნიშვნელობა და უპატრონოდ მიტოვებული სვანეთი ანარქიის საშინელი ცეცხლის ალში გაეხვია. თავი იჩინა საგვარეულო კავშირის ფიცით დამყარებამ, ერთი სოფლის მეორე სოფლის წინააღმდეგ ამხედრებამ, ზოგან თავიანთი ციხეებიდანაც ვერ გამოდიოდნენ გარეთ, რომ დადარაჯებული მტრის ტყვიას მათთვის სიცოცხლე არ მოესპო. ატყდა შურისძიების ნიადაგზე საშინელი სისხლის ღვრა, ერთი მოკლულის გამო სიცოცხლეს ასალმებდნენ ორს... ამ ხანას სვანების მიერ ეწოდა სვანეთის სისხლიანი წლები, ანუ „შვანიობ“ — სვანობა. ფართო ხასიათი მიიღო, აგრეთვე, ურთიერთშორისა და მეზობელი კუთხეებიდან ცხოველთა ჯოგების მოტაცებამ. რა თქმა უნდა, ამ მოქმედებაში მონაწილეობას მთელი სვანეთი არამცთუ იღებდა, არამედ ხშირად ჰქონდა ადგილი დამნაშავეებისა და უდანაშაულო ჯგუფებს შორის დიდ სროლა-წინააღმდეგობას, რომლის დროსაც ზოგჯერ ხალხის უმრავლესობა იმარჯვებდა, ბოროტმოქმედებს ნაძარცვს ართმევდა და პატრონებს უბრუნებდა.

ერთი სიტყვით, სვანეთი ჩავარდა ისეთ მდგომარეობაში, რომ შურისძიების ნიადაგზე დაღვრილი საკუთარი სისხლის ნაკადულებში იხრჩობოდა. მეურნეობა ეცემოდა, მეზობლები ნადგურდებოდნენ და სიტყვა სვანის გაგონებაზე ტანის ცახცახი უტყდებოდათ“.

„აი ასეთ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის მისაშველებლად წასვლა და სამსხვერპლოზე ასვლა ძალაუნებურად მხვდა წილად 1918 წლის ბოლო ხანებში და მეც ქუთაისიდან სვანეთში გავემგზავრე. დავიწყე მუშაობა თავისუფალი სვანეთის პირველი თემიდან, სახელდობრ, უშგულიდან, მაგრამ, რადგან წესიერების დამყარების უბრალო ხსენებაც კი აბრაზებდა ზემოთ აღნიშნულ დანაშაულთა ჩამდენ ჯგუფებს, ისინიც შეუდგნენ ჩემს მოსაკლავად მზადებას და, როდესაც იფარის თემში მიტინგზე გამოვედი, ჩემ პირდაპირ ციხიდან გავარდა თოფები, მაგრამ მუშაობაზე ხელი მაინც არ ავიღე და უფსკრულისაკენ დაქანებული სვანეთის მდგომარეობის ერთადერთ გამოსაკეთებელ გზად ჩავთვალე სვანური ჩვეულებითი უფლებების საშუალებით და თვით ხალხის დახმარებით მუშაობის წარმოება. მოვიწვიე ყველა თემში ყრილობები, დავნიშნე მეთაურები ხევისთავებად, დავაარსე ნაძარცვთა სალიკვიდაციო კომისიები და, როცა ასეთი წინასწარი მუშაობით ნიადაგი მზად იყო, მოწვეულ იქნა სრულიად სვანეთის თემთა საკავშირო ყრილობა სოფელ ბეჩოში, რომელმაც დაადგინა არამცთუ მარტო ძარცვა-გლეჯის მოსპობა მომავალში, არამედ ვისაც ამ სახით წარსულ წლებში რამე ჰქონდა შეძენილი, იმისი ჩამორთმევაც და ამიერიდან ამისთანა დანაშაულების ჩამდენი ჯგუფების ასალაგმავად სასტიკი ზომების მიღება. მუშაობის ასეთმა წარმოებამ იმ ფაქტის წინაშე დაგვაყენა, რომ სვანური ჩვეულებითი უფლებებით მოქმედება დაგვირგვინდა ყოველ თემში ნაძარცვის აღმოჩენითა და ჩამორთმევით კუთვნილებისამებრ ჩასაბარებლად და მომავალში მეზობელი ხალხების ამგვარი უბედური მოვლენისაგან გათავისუფლებით“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერის შანსი არ ჰქონდა, ბოლშევიკები ხალხის ნდობით არ სარგებლობდ- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტროცკის-მენშევიკური ნარჩენების გარკვეული ნაწილი კვლავ მტრობდა საბჭოთა წყობილებასა და სტალინს. ფართო სააგიტაციო მუშაობამ, რომელიც გზად მიმავალ მებრძოლებში მიმდინარეობდა, შედეგი გამოიღო. შესაფერის ადგილამდე მისულმა ათასობით ახალგაზრდამ უცებ იბრუნა პირი ტყისკენ და ელვის სისწრაფით გაუჩინარდა. გამცილებლები უძლური აღმოჩნდნენ წესრიგის დასამყარებლად და დანიშნულების ადგილამდე მხოლოდ გამცილებლებიღა ჩავიდნენ. როგორც ჩანს, ეს მტრის მიერ წინასწარ მოფიქრებული ხერხი იყო. ასეთივე მასობრივი დეზერტირობა ჩაიდინეს საქართველოს მთიანეთში.**

◀ ნენ, ცდილობდნენ გაემყარებინათ თავიანთი პოზიციები და ამიტომ ჯიუტ მთიელებთან შემრიგებლური პოლიტიკა არჩიეს. ბოლშევიკებს ინფორმაცია ჰქონდათ ეგნატე გაბლიანის პოლიტიკური მრწამსის შესახებ, მაგრამ ისიც იცოდნენ, რომ სვანებს იგი ძლიერ უყვარდათ და წინამძღოლადაც აღიარებდნენ. ბოლშევიკებმა ეს გამოიყენეს და ეგნატე ზემო სვანეთის გამგებლის მოადგილედ დანიშნეს. ამას ადასტურებს **სილიბისტრო ნავერიანის** განცხადება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში:

„საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ასლი საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს!

სვანეთის მაზრის პასუხისმგებელი თანამშრომლის

სილიბისტრო ნავერიანის

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

იმის გამო, რომ ეგნატე გაბლიანი (სვან აჯანყებულთა ერთ-ერთი მეთაური) საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გადავიდა; ვითვალისწინებთ რა იმ გარემოებასაც, რომ მას სისხლის სამართლის დანაშაულებანი, როგორც მაგ. ბიძინა პირველს, არ ჩაუდენია, არ უღალატია ჩვენთვის, რომ იგი არის შორსმჭვრეტელი და ჩვენთვის სასარგებლო ადამიანი, ფრთხილი და ჭკვიანი, გლეხური წარმომავლობის, ბევრი რამ აქვს გადატანილი.

ამ გარემოებათა გათვალისწინებით, მე არა ვარ წინააღმდეგი ეგნატე გაბლიანის სვანეთში, საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში ჩადგომისა.

1925 წ. 22 აპრილი.

/ს.ს. ნავერიანი/

თფილისი“.

1921 წლის მაისში სვანეთსა და ხევსურეთში თავი იჩინა ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართული მოძრაობის პირველმა ნიშნებმა. სვანეთის აჯანყებას სათავეში ედგნენ **მოსესტრო დადეშქელიანი, ნესტორ გარდაფხაძე და ბიძინა პირველი.** აჯანყებულმა სვანებმა მისასვლელი გზები გადაუკეტეს წითელი არმიის ნაწილებს, მიმდინარეობდა მოსახლეობის შეიარაღება და მზადება ქუთაისზე გასალაშქრებლად. სექტემბერში სვანთა შეიარაღებულმა რაზმებმა დაამარცხეს და განაიარაღეს სვანეთში მდგარი რუსული სამხედრო ნაწილები და ექვსი თვის განმავლობაში უმკლავდებოდნენ განიარაღებულთა დასახმარებლად ქუთაისიდან დაძრულ ახალ სამხედრო ნაწილებს. ბუნებრივია, სვანების ეს ბრძოლა საბოლოოდ მარცხით დასრულდა. ამ აჯანყების ხმა გასცდა საქართველოს საზღვრებსაც.

1921-1922 წლების აჯანყება სვანეთსა და კახეთ-ხევსურეთში საყოველთაო ორგანიზირებულ მოძრაობაში ვერ გადაიზარდა. 1921 წელს პარიზიდან საქართველოში არალეგალურად ჩამოვიდნენ **ვალიკო ჯუღელი** და **ბენიამინ ჩხიკვიშვილი**, რომლებიც აჯანყების მოთავეებს საერთაშორისო ვითარების ხელსაყრელობით ამშვიდებდნენ.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ, რომელმაც 1922 წლის თებერვლიდან საქართველოს რევკომის ადგილი დაიკავა, სვანეთში სამთავრობო კომისია გაგზავნა ცნობილი კომუნისტების — **ტ. დუმბაძის, გ. ბახტაძისა** და სხვათა შემადგენლობით. კომისიამ მოიარა ზემო სვანეთის სოფლები ბეჩო, კალა, უშგული და სხვ. უშგულში კომისიის წინაშე მთელი სოფელი იარაღასხმული გამოცხადდა. აღმოჩნდა, რომ ყველა მამაკაცი, რომლებსაც იარაღის ტარება შეეძლოთ, შეიარაღებული იყვნენ.

მთავრობის წარმომადგენლებმა მოსახლეობას იარაღის ჩაბარება, მეთაურთა გაცემა და საბჭოთა ხელისუფლების ცნობა შესთავაზეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სვანებს ჯარების შეყვანითა და განადგურებით დაემუქრნენ.

**12-13 აპრილს ლაშხეთში, სოფელ სასაში გაიმართა ზემო სვანეთის დელეგატთა შეხვედრა სამთავრობო კომისიასთან. გაფორმდა შეთანხმება, რომლის ძალითაც სვანებმა ხელისუფლების პირობების შესრულება იკისრეს. მთავრობამ აჯანყების ყველა მონაწილეს, მეთაურთა გარდა, სრული ამნისტია აღუთქვა. ასევე გათვალისწინებული იქნა მოსახლეობის თხოვნა ზემო სვანეთში საბჭოთა ხელისუფლების რწმუნებულად ნესტორ გარდაფხაძის დანიშვნაზე.**

ხელისუფლებამ აჯანყების ყველა მეთაური: **მალაქია ონიანი, გრიშა ონიანი, გიორგი ფოჩიანი, ბიძინა პირველი, ბიძინა გვიშიანი, ბიძინა ნიჟარაძე, სამსონ ქალდანი, ალექსანდრე წერეთელი, ილია ფალიანი და ბესარიონ ხერგიანი** შეიწყალა, მიუტევა „დანაშაული საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ“ და უფლება მისცა, დაბრუნებულიყვნენ თავიანთ კუთხეში.

1924 წლის ივნისშიეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყრილობამ მოისმინა თავმჯდომარის მოადგილის, **იასონ ჯავახიშვილის,** მოხსენება აჯანყების თაობის შესახებ. საყოველთაო გამოსვლა დაიწყება 1924 წლის 17 აგვისტოს. გადაწყდა, აჯანყების მთავარსარდლად დანიშნულიყო გენერალი **სპირიდონ ჭავჭავაძე.**

აჯანყებულთა გეგმებზე სადამსჯელო ორგანოებს საკმაო ინფორმაცია დაუგროვდათ. 6 აგვისტოს დააპატიმრეს ვალიკო ჯუღელი და ჩხიკვიშვილი. 24 აგვისტოს სხდომა კვლავ ჩატარდა. გადაწყდა, აჯანყება დაეწყოთ 29 აგვისტოს, განთიადზე, გამოსვლის ცენტრი თბილისი იყო.

აჯანყების მეთაურები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბათუმს. აჯანყების წინა დღეებში ბათუმის საავჯანყებო შტაბი მთლიანი შემადგენლობით დააპატიმრეს. მთავრობამ თბილისსა და ბათუმში საგანგებო დაცვა აამოქმედა. 1924 წლის სექტემბრის დასაწყისში დააპატიმრეს კომიტეტის თავმჯდომარე კ. ანდრონიკაშვილი და მდივანი ი. ჯავახიშვილი. აჯანყების მეთაურების საქმის გამოძიება ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. 1925 წელს შედგა სასამართლო პროცესი.

**„დოკუმენტი №34.** 1924 წლის აჯანყების მონაწილეთა საქმეზე

საქართველოს სსრ უზენაესი სამართლოს

განაჩენი

1925 წლის 5 აგვისტო

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური

რესპუბლიკის სახელით

უზენაესმა სასამრთლომ თავის სამსჯავრო სხდომაზე 1925 წლის 15 ივლისიდან 2/3 მარიამობის თვემდე, შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე ამხანაგი გ. ს. ვაშაძე

და სახალხო მსაჯულნი: ამხანაგები: ი. თ. სტურუა

ი. ა. ცინცაძე.

დაადგინა: პასუხისგებაში მიცემულ 47 კაციდან 6 კაცს მიესაჯოს 3-დან 5 წლამდე პატიმრობა.

ბრალდება მიმართული: კონსტანტინე ემანუელის-ძე ანდრონიკაშვილის, იასონ ვლადიმერის-ძე ჯავახიშვილის, გრიგოლ ევგენის-ძე ჯინორიას, მიხეილ ნიკოლოზის-ძე ბოჭორიშვილის და მიხეილ ნიკოლოზის-ძე იშხნელის მიმართ, რომელთაგან პირველ ოთხს ბრალდებად კოდექსის 55-ე მუხლის 1-ელი ნაწილით დანაშული და უკანასკნელს კოდექსის 60, 16, 64, 66 (მუხლებით) ჩაითვალოს დამტკიცებულად და მიესაჯოთ მათ სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა. უზენაესი სასამართლო იღებს რა მხედველობაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და აგრეთვე ზემოაღნიშნული ბრალდებულების სამსჯავრო სხდომაზე განცხადებას, რითაც ისინი მოუწოდებენ ქართველ პოლიტიკურ პარტიებს, დაადგნენ მშვიდობიან გზას და საბჭოთა კონსტიტუციის ფარგლებში საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობით მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფოებრივ, ეკონომიურ და კულტურულ აღმშენებლობაში, სასჯელის უმაღლეს ზომას დახვრეტას ცვლის 10 წლით თავისუფლების აღკვეთით, სასტიკი იზოლაციით და წინასწარი პატიმრობის ჩათვლით. ეს საბოლოოა და არ შეიძლება იქნას გასაჩივრებული.

ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები გადაეცეს რევოლუციურ მუზეუმს.

თავმჯდომარე: გალაკტიონ ვაშაძე.

წევრები: ვანო სტურუა, ი. ცინცაძე“.

(საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი: ფონდი 14 აღწერა 2. საქმე 40, ფურცელი 766-779).

მკითხველი მიხვდება იმ ჰუმანურ დამოკიდებულებას, რომელიც სტალინურმა ეპოქამ გამოიჩინა 1921-1924 წლებში აჯანყების მონაწილეთა სასამართლო პროცესზე.

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ 1921-1924 წლების აჯანყებას არანაირი სისხლის კალო არ მოჰყოლია მთავრობის მხრიდან. და ესეც სტალინური ხელმძღვანელობის ჰუმანურ აქტად შეიძლება ჩაითვალოს.



ეგნატე გაბლიანი





კავკასიის დამცველები

**«ერთ დღეს სრულიად საიდუმლოდ სტალინის დეპეშა მივიღე, რომელშიც ეწერა: «სასწრაფოდ გამოყავით მორიგე პატრულები, ყველა სარკინიგზო სადგურსა და პლატფორმაზე, არ დაუშვათ სარკინიგზო შემადგენლობაზე ქალიშვილების ასვლა და ფრონტზე გამგზავრება. სტალინი». რამდენი მომავალი ქართველი დედა გადარჩა სტალინის ამ ბრძანებით, რამდენი ვაჟი და ქალი შეუნარჩუნა ომის პირველ დღეებში სტალინმა საქართველოს?! სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ, თუ 1940 წელს ზემო და ქვემო სვანეთის მოსახლეობა 22 000 მცხოვრებს არ აღემატებოდა, 1950 წელს 37 000 მცხოვრებს გადააჭარბა»**



უშგული

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროკავშირის სახელმწიფოებს მოუწევთ, კვლავ განიხილონ 2021-2027 წლების ბიუჯეტის პროექტი, კომპრომისამდე და თანხმობამდე კი ჯერ ძალიან შორია. ევროკავშირის მომავალი 7 წლის ბიუჯეტზე დისკუსია სულ უფრო კონფლიქტური ხდება ევროკომისიასა და ალიანსის საერთო ხაზინის ძირითად „დონორებს“ შორის უთანხმოების გამო, აგრეთვე, „დონორებსა“ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის. გერმანიის ხელისუფლების განცხადებით, ის მზად არ არის, გაზარდოს შენატანი 33 მილიარდამდე 2027 წელს და 2020 წელს ევროკავშირის ხაზინაში შეიტანს 15 მლრდ ევროს, 2027 წელს კი — 23,5 მლრდ-ს.**

# დასავლეთ ევროპას არ სურს, არჩინოს აღმოსავლეთი ევროპა

**გერმანიამ უარყო ბრიტანულ პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაცია ევროკავშირის ბიუჯეტში გერმანიის შენატანის 15-დან 33 მლრდ ევრომდე გაზრდის შესახებ. ბოლო ხანს ევროკავშირში გახშირდა კონფლიქტი საერთო ხაზინაში გადარიცხვების გამო.**



ევროკავშირის სამომავლო მრავალწლიანი ბიუჯეტის განხილვა შეიძლება სანახაობრივი და კონფლიქტური აღმოჩნდეს, რადგან მათი ინტერესები, ვინც საერთო ხაზინას, ძირითადად, ავსებს, ე.ი., **გერმანიის, ავსტრიის, ნიდერლანდების, შვედეთისა** და **დანიისა**, არ ემთხვევა მათ ინტერესებს, ვინც ხაზინას, ძირითადად, აცარიელებს.

ევროკავშირის სახელმწიფოებს მოუწევთ, კვლავ განიხილონ 2021-2027 წლების ბიუჯეტის პროექტი, კომპრომისამდე და თანხმობამდე კი ჯერ ძალიან შორია. ევროკავშირის მომავალი 7 წლის ბიუჯეტზე დისკუსია სულ უფრო კონფლიქტური ხდება ევროკომისიასა და ალიანსის საერთო ხაზინის ძირითად „დონორებს“ შორის უთანხმოების გამო, აგრეთვე, „დონორებსა“ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის. გერმანიის ხელისუფლების განცხადებით, ის მზად არ არის, გაზარდოს შენატანი 33 მილიარდამდე 2027 წელს და 2020 წელს ევროკავშირის ხაზინაში შეიტანს 15 მლრდ ევროს, 2027 წელს კი — 23,5 მლრდ-ს.

ევროკავშირის კომისარმა საბიუჯეტო საკითხებში, გერმანელმა **გიუნტერ ოტინგერმა** 30 ოქტომბერს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ 2027 წელს გერმანიის მხრიდან 33-მილიარდიანი შენატანი „აშკარა ტყუილია“.

### როგორ უნდა ამოივსოს „ბრიტანული ნახვრეტი“ ბიუჯეტში

ვითარებას ამწვავებს ის გარემოება, რომ ევროკავშირს სჭირდება კომპენსაცია დიდი ბრიტანეთის იმ შენატანებისა, რომლებსაც დაკარგავს „ბრექსიტის“ (ეს, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მოხდება) გამო. სხვადასხვა ექსპერტის გათვლებით, ბიუჯეტში „ბრიტანულმა ნახვრეტმა“ წელიწადში შეიძლება 8-დან 14 მლრდ ევრომდე შეადგინოს.

**ევროკომისია, როგორც პრესა იუწყება, მიისწრაფვის იქით, რომ ალიანსის სხვა ქვეყნების შენატანების მომატებით ბიუჯეტში „ბრიტანული ნახვრეტის“ ნახევარი მაინც ამოავსოს, დანარჩენი (და კიდევ ცოტა ინფლაციის გათვალისწინებით) კი — თვით ევროკავშირის ფინანსური აქტიურობით.**

უფრო ადრე ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებმა (პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი და უნგრეთი) მწვავედ გააკრიტიკეს ბიუჯეტის საკითხების გადაწყვეტის ვარიანტი, რომელიც წარმოადგინა ევროკავშირის საბჭოს დროებითმა თავმჯდომარე ფინეთმა, მას ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნების წარმომადგენლებმა „დროის ფუჭი ხარჯვა“ უწოდეს. უკმაყოფილების მიზეზი იყო აგრარულ და ერთობის ფონდებში სახსრების განაწილების ვარიანტი, რომელიც ფინეთმა წარმოადგინა, აგრეთვე, ჰელსინკის წინადადება, ევროკავშირმა დასაჯოს ის ქვეყნები, რომლებიც მის განკარგულებებს არ დაემორჩილებიან. პოლონეთმა ეს ყველაფერი მის სამომავლო ფინანსურ შემოსავლებზე თავდასხმად ჩათვალა და ჰქონდა კიდეც ამის საფუძველი. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები მოითხოვენ, მათი დაფინანსება უწინდელი მასშტაბით გაგრძელდეს ზემოაღნიშნული აგრარული ფონდისა და ერთობის ფონდების მეშვეობით, რომლებიც ჩაფიქრებული იყო, როგორც საშუალება შედარებით ნაკლებად განვითარებული ქვეყნების წასაწევად დასავლეთ ევროპის დონემდე. დასავლეთ ევროპის ამ ქვეყნების სიაში კი არიან ის ქვეყნები, რომლებიც, ძირითადად, ავსებენ ევროკავშირის ბიუჯეტს: გერმანია, ავსტრია, ნიდერლანდები, შვედეთი და დანია.

**ევროკავშირის სამომავლო მრავალწლიანი ბიუჯეტის განხილვა შეიძლება სანახაობრივი და კონფლიქტური აღმოჩნდეს, რადგან მათი ინტერესები, ვინც საერთო ხაზინას, ძირითადად, ავსებს, ე.ი., გერმანიის, ავსტრიის, ნიდერლანდების, შვედეთისა და დანიისა, არ ემთხვევა მათ ინტერესებს, ვინც ხაზინას, ძირითადად, აცარიელებს**

**ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებმა (პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი და უნგრეთი) მწვავედ გააკრიტიკეს ბიუჯეტის საკითხების გადაწყვეტის ვარიანტი, რომელიც წარმოადგინა ევროკავშირის საბჭოს დროებითმა თავმჯდომარე ფინეთმა. მას ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნების წარმომადგენლებმა „დროის ფუჭი ხარჯვა“ უწოდეს. უკმაყოფილების მიზეზი იყო აგრარულ და ერთობის ფონდებში სახსრების განაწილების ვარიანტი, რომელიც ფინეთმა წარმოადგინა, აგრეთვე, ჰელსინკის წინადადება, ევროკავშირმა დასაჯოს ის ქვეყნები, რომლებიც მის განკარგულებებს არ დაემორჩილებიან**





# ჩინეთის ელჩმა ჰონკონგში «გამოცდილების გასაზიარებლად» ჩასულ უკრაინელ ინსტრუქტორებს დასცინა

**ჩინეთის ელჩმა რუსეთში ჩუან ხანხუეიმ განაცხადა, რომ ჰონკონგში გაჩნდნენ „უკრაინელი ელემენტები“, რომლებიც ქვეყანაში გამოცდილების გასაზიარებლად ჩადიან. დიპლომატმა აღნიშნა, რომ ასეთი ჩარევა ართულებს რეგიონში ვითარების რეგულირების საქმეს.**

„ისინი (უკრაინელები) თითქოს ჩამოდიან იმისათვის, რომ გამოცდილება გაუზიარონ ჰონკონგელებს. ისინი კი ამბობენ: „ჩვენ გვინდა, ისე ვიცხოვროთ, როგორც ცხოვრობენ უკრაინელები“. ხედავთ, რა სასაცილოა? ჰონკონგში მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტი დაახლოებით 20 ათას დოლარს შეადგენს“, — განაცხადა დიპლომატმა.

ელჩმა აღნიშნა, რომ საპროტესტო აქციაზე გასულები სეპარატისტულ მიზნებს ვერ მიაღწევენ, „მაგრამ მათთვის უკრაინელთა დონეზე ცხოვრების გარანტიის მიცემა შესაძლებელია“.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, ჰონკონგში მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტი მსყიდველუნარიანობის პარიტეტით 2018 წელს 64 ათასი დოლარი იყო, უკრაინაში კი — 9 ათასზე ოდნავ მეტი.

**„ისინი (უკრაინელები) თითქოს ჩამოდიან იმისთვის, რათა გამოცდილება გაუზიარონ. ჰონკონგელები კი ამბობენ: „ჩვენ გვინდა, ისე ვიცხოვროთ, როგორც ცხოვრობენ უკრაინელები“. ხედავთ, რა სასაცილოა? „მაგრამ მათთვის უკრაინელთა დონეზე ცხოვრების გარანტიის მიცემა შესაძლებელია“**

გვერდი მოამზადა **გიორგი გაჩეჩილაძემ**

**მოსკოვის ბირჟის მიერ გამოქვეყნებული ბოლო მონაცემებით, ამჟამად ამერიკულ საინვესტიციო ფონდებს ეკუთვნით 79,3 მლრდ დოლარის რუსული აქციები — ეს 58%-ით მეტია, იმასთან შედარებით, რაც იყო 2015 წელს. რით აიხსნება ამერიკელთა ასეთი აქტიურობა? რუსული ფასიანი ქაღალდები უზრუნველყოფს ისეთ შემოსავლიანობას, როგორიც არ არის ამერიკულ ბაზრებზე.**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ცულლუტი ამერიკელები: სანქციები სანქციებად, მაგრამ მოგება — ჯიბეში

**სანამ ვაშინგტონი მორიგი სანქციებით ემუქრება მოსკოვს, ამერიკელი ინვესტორები აქტიურად ყიდულობენ რუსული კომპანიების აქციებს. საფონდო ბაზრებზე უცხოური დაბანდებების ნახევარზე მეტი უოლ-სტრიტის მიერ იყო უზრუნველყოფილი, — დათვალეს მოსკოვის ბირჟაზე.**



2013 წლიდან პირველად რუსული ფასიანი ქაღალდების უცხოურ ინვესტიციებში ამერიკის წილმა 51% შეადგინა. შესადარებლად: ევროპულ საინვესტიციო ფონდებში ამერიკის წილი მხოლოდ 26%-ია.

„რუსეთის წამყვანი კომპანიების წინააღმდეგ დაწესებულმა სანქციებმა და ამერიკულ მედიაში გაუთავებელმა ანტირუსულმა რიტორიკამ ვერ შეძლო ამერიკელი ინვესტორების შეკავება, მილიონები დაებანდებინათ მოსკოვის საფონდო ბირჟაზე“, — წერს „ფორბსი“.

მოსკოვის ბირჟის მიერ გამოქვეყნებული ბოლო მონაცემებით, ამჟამად ამერიკულ საინვესტიციო ფონდებს ეკუთვნის 79,3 მლრდ დოლარის რუსული აქციები — ეს 58%-ით მეტია, იმასთან შედარებით, რაც იყო 2015 წელს. რით აიხსნება ამერიკელთა ასეთი აქტიურობა? რუსული ფასიანი ქაღალდები უზრუნველყოფს ისეთ შემოსავლიანობას, როგორიც არ არის ამერიკულ ბაზრებზე. **საბირჟო ფონდ VANECR RUSSIA-ს შეფასებით, ფონდების პორტფელებში რუსული აქციების საშუალო ღირებულებამ წლის დასაწყისიდან 23,4%-ით მოიმატა. როცა S&P500-ის ინდექსმა მხოლოდ 19,9%-ით მოიმატა, ხოლო განვითარების პროცესში მყოფი ბაზრების ინდექსმა ISHARES MSCI (EEM)-მა — 8.45%-ით,** ბოლო 5 წლის განმავლობაში რუსეთი ინვესტორებისთვის უზრუნველყოფდა საშუალოდ წლიურ 7%-იან მოგებას. ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ბაზრის მქონე ქვეყნებიდან უკეთესი მაჩვენებელი მხოლოდ ჩინეთს აქვს.

**«რუსეთის წამყვანი კომპანიების წინააღმდეგ დაწესებულმა სანქციებმა და ამერიკულ მედიაში გაუთავებელმა ანტირუსულმა რიტორიკამ ვერ შეძლო ამერიკელი ინვესტორების შეკავება, მილიონები დაებანდებინათ მოსკოვის საფონდო ბირჟაზე», — წერს «ფორბსი»**

# გერმანული მედია: რუსული რუბლი ინვესტიციებისთვის საინტერესოა



**რუსეთში გაუმჯობესდა ფინანსური ვითარება, რუბლი კი სტაბილურია, პოლიტიკური სიახლეების მიუხედავად. ასეთ დასკვნამდე მივიდა ავტორი სტატიისა სათაურით „სანქციებისა და ნავთობის ფასებით გამოწვეული შოკის შემდეგ: აი რატომ ბრუნდება რუბლი“. სტატია გამოაქვეყნა გერმანულმა გამოცემა „ფოკუსმა“.**

როგორც გამოქვეყნებულ მასალაშია აღნიშნული, რუბლმა დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციებითა და ნავთობზე ფასების შემცირებით გამოწვეული დაცემის შემდეგ შეძლო მნიშვნელოვნად გამყარება დოლარისა და ევროს მიმართ და ერთ-ერთ ძლიერ ვალუტად გადაქცევა 2019 წელს.

„ევროპასა და აშშ-ში შემოსავლების შემცირება სულ უფრო მეტ ინვესტორს აიძულებს, მიმართოს რუბლს და, როგორც გაირკვა, მასზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია“, — წერს სტატიის ავტორი. სტატიაში, აგრეთვე, აღნიშნულია, რომ, საერთაშორისო ინვესტორების თვალსაზრისით, რუსეთის სახელმწიფო ობლიგაციები საიმედო საინვესტიციო ინსტრუმენტებია.

ცოტა ხნით ადრე საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Fitch-მა რუსეთს ისეთივე საინვესტიციო რეიტინგი მიანიჭა, როგორიც ჩინეთსა და ინდოეთს — BBB.

**«ევროპასა და აშშ-ში შემოსავლების შემცირება სულ უფრო მეტ ინვესტორს აიძულებს, მიმართოს რუბლს და, როგორც გაირკვა, მასზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია», — წერს გამოცემა «ფოკუსი»**



პავლე კალაური

# ბელარუსი და რუსეთი აღრმავებენ ინტეგრაციას, ამჯერად — ფინანსურ სფეროში

**„ბელარუსმა და რუსეთმა მოილაპარაკეს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ჰარმონიზაციაზე“, — განაცხადა ბელარუსის ეროვნული ბანკის ხელმძღვანელმა პაველ კალაურმა. უფრო ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ პავლე კალაურმა და რუსეთის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელმა ელვირა ნაბიულინამ სამოკავშირეო ინტეგრაციის ჩარჩოებში ე.წ. საგზაო რუკას მოაწერეს ხელი.**

„ჩვენ პრინციპულად მოვილაპარაკეთ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ცალკეულ საკითხებზე“, — განაცხალა ბელარუსის ეროვნული ბანკის ხელმძღვანელმა.

მისი თქმით, ბელარუსსა და რუსეთში ერთი და იგივე საფინანსო რეჟიმი უნდა მოქმედებდეს — ეს არის ინფლაციის ტარგეტირება (ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეჟიმი, რომლის საბოლოო მიზანი ფასების სტაბილიზაციაა).

„ეს რეჟიმი რუსეთში უკვე მოქმედებს, ბელარუსში კი მოგვიწევს მისი რეალიზება. ვფიქრობთ, რომ, თუ მოწესრიგდება კანონმდებლობა ამ რეჟიმის შესაბამისად, მაშინ ის ამოქმედდება 2021 წლის 1 იანვრიდან“, — დააზუსტა პავლე კალაურმა და დასძინა, რომ მეორე მნიშვნელოვანი საკითხი იყო ეროვნული ვალუტების კურსები, რომლებიც მცურავი უნდა იყოს.

„ინფლაციის წინააღმდეგ მიზნები, სახელდობრ, ფასების სტაბილურობა ჩვენთვის და რუსეთის ცენტრალური ბანკისთვის საკვანძო საკითხი იქნება“, — აღნიშნა ბელარუსის ეროვნული ბანკის ხელმძღვანელმა.



# «ისლამური სახელმწიფო» აშშ-სა და მის მოკავშირეებს შურისძიებით ემუქრება

**საინფორმაციო სააგენტო „როიტერსის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ისლამურმა სახელმწიფომ“ დაჯგუფების ლიდერ ალ-ბაღდადის სიკვდილი დაადასტურა და აშშ-სა და მის მოკავშირეებზე შურისძიების შესახებ განაცხადა. დაჯგუფებამ ალ-ბაღდადის მემკვიდრედ, ახალ ლიდერად აბუ იბრაჰიმ ალ-ჰაშემი ალ-ქურაიში დაასახელა.**

„ისლამურმა სახელმწიფომ“ გაავრცელა მუქარის აუდიოჩანაწერი, რომელშიც დაჯგუფება აშშ-სა და მის მოკავშირეებს შურისძიებით ემუქრება.

„ეშინოდეთ შურისძიების მათი ხალხისა და ურჯულო და მოღალატე საძმოს წინააღმდეგ“, — ნათქვამია აუდიოჩანაწერში.

ამერიკულმა სამხედროებმა „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერ აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის წინააღმდეგ ოპერაცია სირიაში, იდლიბის პროვინციაში განახორციელეს. პენტაგონის ინფორმაციით, ოპერაციის დროს ალ-ბაღდადმა, რომელიც გვირაბის საშუალებით გაქცევას ცდილობდა, თავი აიფეთქა.

**გვერდი მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**

გეოპოლიტიკა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2013 წლის საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციაში „საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ შესახებ პროდასავლური ძალების ზეწოლით ჩაიდო პუნქტი, რომლის თანახმადაც საქართველოს არ შეიძლება ჰქონდეს დიპლომატიური ურთიერთობები ან იმყოფებოდეს სამხედრო პოლიტიკურ ან საბაჟო კავშირში იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც აღიარებენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის) დამოუკიდებლობას... აღნიშნულით ამერიკელმა იმპერიალისტებმა და მათ მიერ მართულმა პოლიტიკურმა ძალებმა შექმნეს რუსეთთან დიალოგის მოსურნე ნებისმიერი ძალის მარგინალიზაციის საფუძველი.**

# საქართველოს საგარეო პოლიტიკა მრავალპოლუსიანი მსოფლიო წესრიგის გარიჟრაჟზე

**იმპერიათა დაცემა ყოველთვის ხდებოდა დიდი გეოპოლიტიკური ცვლილებების საფუძველი და არასოდეს ყოფილა მშვიდი და წყნარი პროცესი. სწორედ მსგავსი მოვლენის მომსწრენი ვართ დღეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაკარგა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოპოვებული ერთპიროვნული ჰეგემონის სტატუსი. იზრდება რუსეთის ფედერაციის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გავლენა და ავტორიტეტი. თანამედროვე პერიფერიული კრიზისები არის ამერიკელი იმპერიალისტების მიერ ძალის დემონსტრირების მცდელობა და ბოლო გაბრძოლება. აღნიშნულს უამრავი მიზეზი აქვს, მაგრამ, ჩემი აზრით, ჰეგემონის დაცემის პროცესზე გავლენა მოახდინა სამყაროს უნიფიკაციის იდეის აგრესიულმა ექსპორტმა, გაზარდა ჰეგემონისა და მისი პოლიტიკის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება და შეიქნა დაცემის პროცესის კატალიზატორი.**

საბჭოთ კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა დიდი ნაწილი მოექცა ამერიკული იმპერიალიზმის გავლენის ქვეშ, რომელმაც ჰეგემონის სტატუსის შენარჩუნების მიზნით ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა ხანებიდან საკუთარ გავლენას დაუქვემდებარა სხვადასხვა ზესახელმწიფოებრივი გაერთიანებები, რომელთა რეკომენდაციების საფუძველზეც 90-იან წლებში დაიწყო ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების „შენება“. თავსმოხვეული „შოკური თერაპია“ (სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია, ეკონომიკური საქმიანობის მაქსიმალური ლიბერალიზაცია) რეალურად ამერიკელი იმპერიალისტების შეთქმულება იყო, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ამ ქვეყნების სიმდიდრის ხელში ჩაგდება და „რეფორმების“ გზით მოსახლეობის თანმიმდევრული განადგურება.

ეს სტრიქონები მკითხველს გაახსენებს თანამედროვე საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიას, რადგან სრულიად ქვეყანა და თითოეული ჩვენგანი გახდა იმპერიალისტური პოლიტიკის მძევალი.

მართალია, საქართველოში ბევრისთვის მიუღებელია რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინის** შეფასება, რომლის თანახმადაც საბჭოთა კავშირის დაშლა იყო ტრაგედია, მაგრამ ჩვენი ქვეყნისთვის ეს ფაქტი მართლაც იქცა დაუსრულებელი ტრაგიკული მოვლენების დასაწყისად. 1990-იანი წლების შეიარაღებულ დაპირისპირებას, უმძიმეს სოციალურ-ეკონომიკურ ფონს ართულებდა და აღრმავებდა **ედუარდ შევარდნაძის** მიერ შექმნილი კორუფციული პოლიტიკური სისტემა. დასავლეთმა ეფექტიანად გამოიყენა საზოგადოებაში დაგროვებული უკმაყოფილება და 2003 წელს მორიგი ფერადი რევოლუციის მოწყობის გზით ქვეყნის სათავეში მოიყვანა გაუწონასწორებელი, ქარიზმული ურა პატრიოტი **მიხეილ სააკაშვილი.**

საზოგადოდ, **აშშ-ის ინტერესი საქართველოს მიმართ იზრდება 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის საფუძველზე ერაყში დაწყებული სამხედრო ინტერვენციის პარალელურად. ამერიკელი სტრატეგების აზრით, საჭიროების შემთხვევაში საქართველო უნდა ქცეულიყო რეგიონში ამერიკული ჰეგემონიის მხარდამჭერ პოლიგონად. აღნიშნული უფრო ცხადს ხდის, რატომ იქნა ორგანიზებული და დაფინანსებული 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“, რომლის შედეგადაც ქვეყნის სათავეში აღმოჩნდა მათ მიერ მართული ადამიანი.**

**სწორედ ერაყსა და ავღანეთში წარუმატებელი სამხედრო ინტერვენცია იქცა ამერიკელებისთვის ჯერ რეგიონში, ხოლო შემდგომ გლობალურად გავლენისა და რეპუტაციის დაკარგვის ერთ-ერთ მთავარ კატალიზატორად.** მარცხის კომპენსაციისა და ჰეგემონის სტატუსის შენარჩუნების მიზნით XXI საუკუნის პირველი ათწლეულის მიწურულს ამერიკელმა იმპერიალისტებმა დაიწყეს ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რეჟიმების დემონტაჟი ფერადი რევოლუციების მოწყობის გზით. ქვეყნები გაეხვივნენ მრავალწლიან სისხლისმღვრელ ომსა და ქაოსში. **საერთაშორისო საზოგადოება დარწმუნდა, რომ ამერიკელი იმპერიალისტების მიერ დეკლარილებული ღირებულებების გავრცელების მცდელობას შედეგად მოაქვს ომი, სისხლისღვრა, ქაოსი. ამერიკული ღირებულებების აგრესიულმა ექსპორტმა ადამიანებს წაართვა ყველაზე მთავარი — სიცოცხლის უფლება.**

ამერიკელი იმპერიალისტების წაქეზებით საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტად გამოაცხადა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოებას ეწინააღმდეგება და საკუთარი ეროვნული უსაფრთოებისთვის საფრთხის შემცველად მიიჩნევს საქართველოს მოსაზღვრე ზესახელმწიფო — რუსეთის ფედერაცია. სააკაშვილის ავანტიურისტულ პოლიტიკას შედეგად მოჰყვა 2008 წლის ომი რუსეთის ფედერაცასთან და მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობის აღიარება. 2008 წლის აგვისტოს ომი გახდა სააკაშვილის რეჟიმისათვის დასასრულის დასაწყისი. მას ველარ უშველა წლების განმავლობაში ოფიციალური თბილისის მიერ რუსეთისა და მისი პრეზიდენტის დემონიზაციის პოლიტიკამ. **ხალხის დიდი ნაწილი მიხვდა, რომ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების გადაწყვეტა შესაძლებელი იყო მხოლოდ რუსეთთან პოლიტიკური დიალოგის შედეგად. საზოგადოებაში გაჩნდა მოთხოვნა პოლიტიკურ ძალაზე, რომელიც შეძლებდა რუსეთთან ხანგრძლივი და რთული დიალოგის პროცესის დაწყებას. აღნიშნული სიგნალი საგანგაშო აღმოჩნდა ამერიკელებისთვის, რომლებიც მიხვდნენ, რომ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედი პოლიტიკური სუბიექტის ასპარეზზე გამოჩენა ნიშნავდა საქართველოზე სრული კონტროლის დაკარგვას.** აღნიშნულიდან გამომდინარე, გადაწყვიტეს, პოლიტიკურ ასპარეზზე შემოეყვანათ მართული პოლიტიკური სუბიექტი, რომლის ერთ-ერთი დაპირება იქნებოდა რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება. ასეთ პოლიტიკურ სუბიექტად იქცნენ ბიძინა ივანიშვილი და მისი კოალიცია „ქართული ოცნება“, რომლებმაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შედეგად ხელში ჩაიგდეს ქვეყნის მართვის სადავეები.

**ხელისუფლების სათავეში „ქართული ოცნების“ მოყვანით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეინარჩუნა გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებზე. დაიწყო დიალოგი რუსეთის ფედერაციასთან ჟენევის ფორმატით, რომლის ფარგლებშიც განიხილება სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული საკითხები, თუმცა ამომრჩევლის ნების აღსასრულებლად საჭირო იყო პოლიტიკური დიალოგის დაწყება, რომლის უფლებასაც ამერიკელები არ აძლევენ სათავეში მოყვანილ პოლიტიკურ ელიტას. სწორედ მათი და პროდასავლური ძალების ზეწოლით ჩაიდო 2013 წლის საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციაში „საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებების“ შესახებ პუნქტი, რომლის თანახმადაც საქართველოს არ შეიძლება ჰქონდეს დიპლომატიური ურთიერთობები ან იმყოფებოდეს სამხედრო პოლიტიკურ ან საბაჟო კავშირში იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც აღიარებენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის) დამოუკიდებლობას...**

აღნიშნულით ამერიკელმა იმპერიალისტებმა და მათ მიერ მართულმა პოლიტიკურმა ძალებმა შექმნეს რუსეთთან დიალოგის მოსურნე ნებისმიერი ძალის მარგინალიზაციის საფუძველი.

„ქართული ოცნების“ რვაწლიანმა მმართველობამ ვერ გადაწყვიტა ქართველი ხალხის პრობლემები, პირიქით — ბოლო წლებში გაუარესდა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. მიმდინარე წლის ზაფხულში საქართველოს პარლამენტში ქართველი დეპუტატების ნაწილის რუსეთის დუმის წარმომადგენლების მიმართ პროვოკაციულმა ქმედებამ ჩიხში შეიყვანა ისედაც რთული ურთიერთობა ოფიციალურ მოსკოვთან.

**ქართველი საზოგადოების ნაწილი აცნობიერებს, რომ უნიპოლარული სისტემის დაშლის პროცესში ამერიკაზე, როგორც მთავარ სტრატეგიულ პარტნიორზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკა დამღუპველია ჩვენი ქვეყნისთვის. ბევრი მიხვდა, რომ ამერიკული ღირებულებების ექსპორტი სრულიად არ ისახავს მიზნად კეთილდღეობის დამყარებას და შედეგად მოაქვს ქაოსი და სისხლისღვრა. ჰეგემონის სტატუსის დაკარგვა ასუსტებს ამერიკის ინტერესს რეგიონის მიმართ. ამერიკის სტრატეგიული ინტერესის სფეროდან საქართველოს გაქრობის შემთხვევაში ქვეყანა სრულიად მოუმზადებლი აღმოჩნდება სერიოზული გამოწვევების პირისპირ, ისევე, როგორც ცოტა ხნის წინათ ჩრდილოეთ სირიაში ბედის ანაბარა მიტოვებული ქურთები, რომლებიც წლების განმავლობაში ამერიკელებს მოკავშირეებად თვლიდნენ.**

დღესაც მაღალია საზოგადოებაში მოთხოვნა რუსეთთან დიალოგზე ორიენტირებულ პოლიტიკურ სუბიექტზე. ისევე, როგორც 2012 წელს, დღესაც აქტიურობენ ამერიკის მიერ მართული პოლიტიკური ძალები, რომლებიც გამოდიან ფსევდო ანტიდასავლური მოწოდებებით. ისინი მიზნად ისახავენ ამერიკული დაპირებებით იმედგაცრუებული ელექტორატის მოტყუებასა და დაბნევას. აღნიშნული ძალების ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა დამღუპველი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის.

ქვეყნის ვარამით შეწუხებული საზოგადოების ნაწილს არ ჰყოფნის პოლიტიკური მოძრაობის თვითორგანიზების ძალა. აღნიშნული განპირობებულია სუსტი პოლიტიკური კულტურითა და შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, რომელმაც დაქსაქსა ქართველი საზოგადოება. არის მხარდაჭერის უიმედო მოლოდინი, დრო კი ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ მოქმედებს. გეოპოლიტიკური ცვლილებები მოითხოვს არჩევნების გზით ამერიკული იმპერიალიზმის მონა პოლიტიკური სისტემის ეროვნული ინტერესების საფუძველზე მოქმედი პოლიტიკური ძალით დაუყოვნებლივ ჩანაცვლებას.

**დავით სუხიაშვილი,**
პოლიტოლოგი



**ქვეყნის ვარამით შეწუხებული საზოგადოების ნაწილს არ ჰყოფნის პოლიტიკური მოძრაობის თვითორგანიზების ძალა. აღნიშნული განპირობებულია სუსტი პოლიტიკური კულტურითა და შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, რომელმაც დაქსაქსა ქართველი საზოგადოება. არის მხარდაჭერის უიმედო მოლოდინი, დრო კი ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ მოქმედებს. გეოპოლიტიკური ცვლილებები მოითხოვს არჩევნების გზით ამერიკული იმპერიალიზმის მონა პოლიტიკური სისტემის ეროვნული ინტერესების საფუძველზე მოქმედი პოლიტიკური ძალით დაუყოვნებლივ ჩანაცვლებას**

საკმარისია, ვინმე შეეცადოს და „ფეისბუქზე“ დადოს მასალა, როგორ იპარავს აშშ-ის შეიარაღებული ძალები სირიის ნავთობს, რომ ეს პუბლიკაცია ორიოდ საათში გაქრება. ეს ხომ არც კორეაა და არც ირანი, რომლებიც თავს ვერ იცავენ ფეიკნიუსების შემოტევისგან: „მათ შესახებ ნებისმიერი ფეიკის გამოქვეყნება შეიძლება ყოველდღიურად CNN-ში, აუდიტორია ყველაფერს გადაყლაპავს“.

უცხოეთი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ფეისბუქი» წინააღმდეგია: ლიბერასტები იცავენ «ცილისწამების უფლებას»

**მასალაში, რომელსაც დღეს შემოგთავაზებთ, მოთხრობილია ყალბი ინფორმაციით მანიპულირებაზე, რომელსაც ეწევა „ფეისბუკი“ ჰონგკონგის მოვლენების თაობაზე. ასეთი რამ ჩვენც გვინახავს და, სამწუხაროდ, ალბათ, კიდევ ვნახავთ უახლოეს მომავალში, ამიტომაც უპრიანი იქნება, წავიკითხოთ, დავიხსომოთ და გავითვალისწინოთ.**

ჰონკონგის პროდასავლური მედია SCMP იუწყება, რომ „ფეისბუკის“ ამერიკულმა სოციალურმა ქსელმა არ დააკმაყოფილა ყალბი და ცილისმწამებლური ინფორმაციის წაშლის შესახებ ორგზის მიმართვა, რომელიც ჰონკონგის პოლიციამ გაუგზავნა.

პოლიციამ სთხოვა, წაეშალათ: პირველი — ინფორმაცია „პოლიციის მიერ სექსუალური ძალადობის განხორციელების“ შესახებ; მეორე — „ჰონკონგის მცხოვრებთა მკვლელობის“ შესახებ.

ორივე ცნობა საპროტესტოდ შეგდებული სტანდარტული კომპლექსიდანაა, რომელსაც იცნობს ყველა, ვისაც კი წაუკითხავს ახალი ამბები „ფერადი“ რევოლუციების შესახებ. ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებული, მაგრამ დამარცხებული პროტესტანტები თანამოაზრეების გამხნევების მიზნით წერენ სტანდარტულ ტექსტებს:

**1.** ვიღაც, რომელიც თითქოს მოწმე იყო შემზარავი თვითნებობის, სულმოუთქმელად გვაუწყებს: „ეს-ესაა პოლიციელებმა ორსული ქალი ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანეს“;

**2.** ვიღაც აადამიანურებს თავდასასხმელ ობიექტებს და მათ დემონების თვისებებს მიაწერს: „ბავშვები, ვითომც არაფერი, ხარხარით დახოცეს ფორმიანმა ქაჯებმა“;

**3.** ვიღაც ამ დროს აუცილებლად ავრცელებს ინფორმაციას, რომ ფორმიანი ქაჯების ურდოები უკვე შეკრთნენ და გარბიან: „პოლიციის მე-14 გამანადგურებელი ბატალიონის მებრძოლებმა უარი თქვეს ბრძანებების შესრულებაზე და შინ წავიდნენ“.

და ასე შემდეგ.

ამ და მსგავსს მასალებს ერთი საერთო ქვეტექსტი გასდევს: **„ნუ დაფიქრდებით, აღიქვით ემოციურად, ასლუკუნდით, გაიქეცით იქით, საითაც მიგითითებთ“.**

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ყველა მსგავსი სლუკუნგენერირების სენსაციები საბოლოოდ შეთხზული გამოდგება, მოგონილი, ტყუილი.

**მიზანი მარტივია — შეუქმნან მავანის განკარგულებით ქუჩაში საპროტესტოდ გამოსულებს ილუზია: „ჩვენ მამაცურად და გმირულად წინ აღვუდექით ბოროტ ძალას, რომელიც წამისწამზე დამარცხდება და დაიშლება“. ამასთანავე, ემოციური მგზნებარებით უნდა გადაფარონ უაზრობა ამგვარი საპროტესტო გამოსვლების, რომლებიც არავითარი შედეგის მომტანი არ არის პროცესის რიგითი მონაწილეებისთვის.**

გონიერებაზე ემოციების პრიმატი დიდი ხანია, წარმატებით არის გამოყენებული: ემოციების გამოსაწვევად იოლია და „იაფი“ ჯდება ადამიანის ენერგიის ხარჯვის თვალსაზრისით, ვიდრე განსჯა და დასკვნის გამოტანა.

ჰონკონგის პოლიციამ სკრუპულოზურად დაამუშავა „ფეისბუკში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია და მოითხოვა აშკარა სიცრუის წაშლა. მართლაც **უცნაურია იმაზე ლაპარაკი, რომ „პოლიცია განაგრძობს მოქალაქეთა დახოცვას“ მაშინ, როცა დაღუპულთა რაოდენობა ნულის ტოლია. „ფეისბუქმა“ არა მხოლოდ უარი განაცხადა აღნიშნული პუბლიკაციების წაშლაზე, არამედ განმარტა, რომ ისინი არ შეიცავს ყალბ ინფორმაციას.**

ორთაგან ერთი ინფორმაციის ავტორმა, რომელიც წერდა, რომ პოლიციამ დახვრიტა სტუდენტი, პრინციპულად განაცხადა: „მე არ წავშლი ჩემს პოსტს. ჰონკონგი თავისუფალი საზოგადოებაა. მე ჩემს გვერდზე „ფეისბუკში“ გამოვაქვეყნე ის, რაც ტელეეკრანზე ვნახე. ჰონკონგელ ხალხს არ სჭირდება პოლიციის დარიგების მოსმენა იმის შესახებ, თუ რა უნდა წავიკითხოთ სოციალურ ქსელებში“.



მომიტინგეთა ალყაში მოქცეული სპეცრაზმი

**ფეიკნიუსების წინააღმდეგ ბრძოლა შერჩევითი ხასიათისაა — როცა სჭირდებათ, აშკარა სიცრუით გამორჩეული ინფორმაციის გავრცელებას ამართლებენ «ადამიანების უფლებით, წაიკითხონ ის, რაც სურთ». მეტიც — წარმოიქმნება ფრიად საინტერესო პრეცედენტი, როცა ყალბი ინფორმაციის ავტორს შეუძლია თავი გაიმართლოს იმით, რომ მან ეს ამბავი გაიგო (მოისმინა, ნახა, წაიკითხა) მედიის სხვა საშუალებაში. და ეს «არგუმენტი» საკმარისია იმისთვის, რომ მას არ დაეკისროს პასუხისმგებლობა ყალბი ინფორმაციის გავრცელებისთვის**

„ფეისბუკი“ თავს იმართლებს იმით, რომ ავტორი წერს იმას, რასაც საჭიროდ მიიჩნევს, რაც ტელევიზიით იხილა, და, საერთოდ, ადამიანებს აქვთ უფლება, სოცქსელებში წაიკითხონ ის, რაც სურთ“. ასე გაიმაგრა პოზიცია „ფეისბუკმა“.

**ფეიკნიუსების წინააღმდეგ ბრძოლა შერჩევითი ხასიათისაა — როცა სჭირდებათ, აშკარა სიცრუით გამორჩეული ინფორმაციის გავრცელებას ამართლებენ „ადამიანების უფლებით, წაიკითხონ ის, რაც სურთ“. მეტიც — წარმოიქმნება ფრიად საინტერესო პრეცედენტი, როცა ყალბი ინფორმაციის ავტორს შეუძლია თავი გაიმართლოს იმით, რომ მან ეს ამბავი გაიგო (მოისმინა, ნახა, წაიკითხა) მედიის სხვა საშუალებაში. და ეს „არგუმენტი“ საკმარისია იმისთვის, რომ მას არ დაეკისროს პასუხისმგებლობა ყალბი ინფორმაციის გავრცელებისთვის. მაშასადამე, ინფორმაცია „მეორადი სიყალბეა“, „პირველს მე არ დამიწყია“, ე.ი., შეიძლება ვწერო ის, რასაც მიზანშეწონილად მივიჩნევ.**

ასეთი შერჩევითობის დონე ფრიად მაღალია. საკმარისია, ვინმე შეეცადოს და „ფეისბუკზე“ დადოს მასალა, როგორ იპარავს აშშ-ის შეიარაღებული ძალები სირიის ნავთობს, რომ ეს პუბლიკაცია ორიოდ საათში გაქრება. ეს ხომ არც კორეაა და არც ირანი, რომლებიც თავს ვერ იცავენ ფეიკნიუსების შემოტევისგან: „მათ შესახებ ნებისმიერი ფეიკის გამოქვეყნება შეიძლება ყოველდღიურად CNN-ში, აუდიტორია ყველაფერს გადაყლაპავს“.

მაგრამ მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ჰონკონგის პოლიციასთან, რომელიც მუშაობს ბრიტანეთის 1997 წლის კანონებით, სამართალდამცავ სტრუქტურასთან, რომელიც არ ექვემდებარება პეკინს და რომლის თანამშრომლები აღჭურვილები არიან გაერთიანებული სამეფოს პასპორტებით.

მსოფლიოში დღეს ისეთი პოლიტიკური ვითარებაა, რომ ასეთი წვრილმანებისთვის არავის სცალია. როგორი იქნება ამერიკის სოცქსელების დამოკიდებულება საქართველოს შესახებ გავრცელებული ჭორების მიმართ, ამით შეიძლება არც დავინტერესდეთ.

**ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**
**არმაზ სანებლიძემ**

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში მცხოვრებ ილია დონაძის განცხადება



გვსურს, თქვენი გაზეთის საშუალებით ხმა მივაწვდინოთ მთავრობას — პრემიერს, ბატონ **გიორგი გახარიას** და ვიცეპრემიერს, ქალბატონ **მაია ცქიტიშვილს,** რომლის სამინისტრომ მიმდინარე წლის ივნისში სოფელ ლიხაურში არსებულ მდინარე აჯისწყლის ნაპირებზე სამუშაოები ჩაატარა და მდინარის ოდნავ ადიდებამ ის შედეგი გამოიღო, რომ დაგვიშრა ღელე (რუ), რომელიც იწყებოდა გაბმული ხიდის მიმდებარე მიდამოსთან და წარმოადგენდა აჯისწყლის განტოტებას. დიახ, **ერთი თვეა მას შემდეგ, რაც ღელე დაშრა, დაიწრიტა და განმკითხავი არავინაა, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიერ მუშაობის დაწყებიდან დღემდე რამდენიმე წერილი გავგზავნეთ ზემდგომ ორგანოებში, მაგრამ ხალხისათვის ვერავინ მოიცალა — ჯერ ხომ არჩევნები არ არის, ამიტომ არავინ შემოგვხმიანებია. ღელე, რომელიც თითქმის ასი წლისაა, წყალს აწვდიდა 22 ოჯახს, ერთ საკალმახე მეურნეობას, ოთხ ტბას, რომელებშიც დაიხოცა და იხოცება თევზები, ხუთ წისქვილს. ხოლო ეს წისქვილები კი მთლიანად სოფელს და არა მხოლოდ ჩვენს სოფელს ემსახურებოდა...**

არის სხვა დარღვევებიც, რომლებიც მდინარის ძლიერი ადიდებისას ან წყალმოვარდნისას იჩენს თავს და მის გასწვრიც არსებულ სავარგულებს თავის ლობიანად და „გასწორხაზოვნებისთვის“ გამოყოფილ ფულს — 47000 ლარს, შავ ზღვაში ჩაიტანს.

გვსურს, თქვენი გაზეთის მეშვეობით ხმა მივაწვდინოთ მწვერვალზე ასულ მინისტრს, ქალბატონ მაია ცქიტიშვილს.

**პატივისცემით და იმედით,**
**ილია დონაძე**

აგრეთვე: **ი. დონაძე, გ. ცეცხლაძე, ნ. უტიაძე, ნ. ცეცხლაძე, თ. გორდელაძე, მ. მოხუა, დ. შილაკაძე, ბ. გირველიძე, კ. ცეცხლაძე, მ. ხიზანეიშვილი, კ. ლომჯარია, ი. სალუქვაძე, გ. გორდელაძე, ნ. თაყაიშვილი, ი. ხომერიკი, ნ. საგინაძე, ა. სალუქვაძე, გ. დონაძე, ნ. ქემერთელიძე, მ. შილაკაძე, მ. ჭანტურია, ლ. დონაძე** და სხვ.

ოზურგეთი, ლიხაური

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს ეკლესიაში წლების მანძილზე ძალიან ბევრი პრობლემა დაგროვდა, პრობლემები, რომლებიც არ გვარდებოდა. ამან კი შედეგად მოიტანა ის, რაც დღეს ხდება, რამაც სულით ხორცამდე შეძრა ყველა ჭეშმარიტი მართლმადიდებელი და პატრიარქის პატივისცემის ნიშნად სამების ეკლესიას უამრავმა ადამიანმა მიაშურა, მათ შორის საქართველოში სასწავლებლად ჩამოსულმა უცხოელმა ახალგაზრდებმაც. პეტრე ცაავას კი პატრიარქისთვის ტალახის სროლის გამო ჯოჯოხეთის კუპრში მოხვედრას უწინასწარმეტყველებენ, რამეთუ ეს არ იყო მხოლოდ ერთი ადამიანის შეურაცხყოფა, ეს იყო ერის სიწმინდის ხელყოფის ტოლფასი ქმედება.**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# «ქრისტე ღმერთი სდევნიდა მცემელს და ამხნევებდა გვემულს», რადგან «ეკლესია წმინდა საკრებულოა, რომელსაც სახლი ღვთისა ჰქვიან»

**დიახ, ერის მამა ეკლესიას წმინდა საკრებულოს უწოდებდა: „ეკლესია — წმინდა საკრებულო, რომელსაც სახლი ღვთისა ჰქვიან“. ის ღვთის სიტყვისაგან გადმოცემული კანონებით იმართებოდა მუდამ, მის ნათელ მოძღვრებაში ჩაიდო საყოველთაო სიყვარულის, სიკეთის, მშვიდობის, მეგობრობისა და ერთობის საწყისები; ეკლესიის მოძღვრებით შეეძლო ადამიანს თავისი დანიშნულების შეცნობა, ღვთაებრივი ბუნების გამორკვევა, ბოროტებასთან და მაცდურთან ბრძოლა, სულის ხსნა და ამაღლება. როგორც ილია ამბობდა, ეკლესიის გარეშე, „ადამიანს შველა არა აქვს, თუ უნდა, რომ კაცად, ღვთის სახედ და მსგავსებად დარჩესო“.**

თუმცა XIX საუკუნშიც, საქართველოს ეკლესიაში სარწმუნოების საფარქვეშ ბევრი უმსგავსობა ხდებოდა; მაშინაც მძლავრობდა ცხვრის ტყავში გახვეული ბოროტი და შლიდა ყოველივე ეროვნულსა და ქართულს. ილია წერილში „ღირსეულის დაფასება“ წერს: **„ამ წუთისოფელში ადამიანს ბევრი და მრავალსახის საქმე აქვს საკეთებელი, როგორც კერძოდ თავისთვის, ისე ზოგადად ყველასათვის. სათითაოდ ყველას ერთნაირი დანიშნულება არა აქვს. სათითაოდ ყველას რამე დანიშნულება კი უსათუოდ აქვს... მრავალგვარია ნიჭიერება, ღონე და მიდრეკილება ადამიანისა. სიდიდე და ღირსება ის არის, ვინ როგორ აურჩია საქმე თავის ნიჭსა და ვინ როგორ უძღვება“.** „კაცმა იმას უნდა მიმართოს, იმას ჩასჭიდოს ხელი, რაზეც გული მიუწევს და ნიჭი და უნარი მიუწვდება“.

ღვთისმსახურ კაცს იგი ერის მსახურად თვლიდა: **„ღვთისმსახური კაცი იყო ქვეყნის და ჩვენის ერის მსახურიცა“;** მათ ქვეყნის გაქრისტიანების დღიდან ხელთ ეპყრათ ქვეყნის სულიერი სიმტკიცე და ძლიერება. „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“, — წერდა ის და ყოველი მისი სიტყვა, ლექსი, მოთხრობა თუ წერილი, ყოველი მისი საქმე და მთელი ცხოვრებაც ჭეშმარიტად ამ მიზანს ემსახურებოდა.

ჩვენს ქვეყანას ყველაზე მეტად ჯვარი და რწმენა აძლიერებდა. ქართველობისა და ქრისტიანობის გაიგივებაც სწორედ ღვთისმსახურთა დაუღალავი სულიერი მუშაკობისა და ღვაწლის შედეგია. ილია წერდა: **„ეკლესია სახლია ღვთისა, სადა ხალხი თავს იყრის, რათა მღვდელ-მსახურთა წინამძღვრობით ერთად ილოცონ, ერთად ევედრონ, ერთად იგემონ ის წყნარი და უცოდველი სიტკბოება, რომელსაც გაღვიძებული გრძნობა სარწმუნოებისა მოუვლენს ხოლმე ღვთისმოსავს ადამიანს... იესო ქრისტემ ბრძანა, სადა ორი და სამი შეიკრიბებით სახელითა ჩემითა, მეც თქვენთან ვარო და ეკლესიამ, წირვაა თუ ლოცვა, უნდა გვაგრძნობინოს ჩვენთანა ყოფნა ქრისტესი, როცა ერთად თავმოყრილი ვართ ეკლესიაში“.**

ერის მამას მიაჩნდა, რომ **„ადამიანის მხსნელი მისი რჯული და სარწმუნოებაა“** („ცნობის ფურცელი“, 1898 №337) და ამ ხსნისათვის იღწვოდა მთელი თავისი არსებით, ამიტომ ესათუთებოდა ამ გზაზე შემდგარ ყველა ადამიანს, განურჩევლად იმისა, იქნებოდა ეს საერო პირი თუ სასულიერო. იცოდა რა სარწმუნოებრივი გზის სიმძიმე, ღვთისმსახურებისადმი, იმ ადამიანებისადმი, რომელთაც უფლისაგან ვალად სდებოდათ „ამა ერისა სულის აღზრდანი“, განსაკუთრებულ პატივისცემასა და მოკრძალებას გამოხატავდა, განადიდებდა წარსული დროის სამღვდელოებასა და ბერ-მონაზვნობას, მათ დამსახურებად მიიჩნევდა ქართული ეკლესიის სიწმინდით არსებობას, ხალხში ჩამოყალიბებულ მტკიცე სარწმუნოებრივ გრძნობას, გმირულ სულს, მდიდარ ღვთისმეტყველებას თუ მეცნიერებას, ქართულ კულტურას. **„იმ სამღვდელოებამ შესძრა ჩვენი სულიერი ძალ-ღონე და შეაქმნევინა ერს ის სახელოვანი ნაშთნი სარწმუნოებისა, რომლითაც დღეს ჩვენ, ქართველნი, სამართლიანად ვქადულობთ. დიდებული სიტყვიერება ჩვენის სამღვთო წერილისა ცალკედ და საეროსი ზოგადად, დიდებული არხიტექტურა ჩვენთა ტაძართა და ეკლესიათა, სამაგალითო სიმდიდრე, ხელოვნება და სიტურფე საეკლესიო ნივთთა, განძთა და სამკაულთა ამის უტყუარნი მოწმენი არიან“.**

მძიმეა ქრისტეს ჯვარი, მაგრამ პატივი და ჯილდოც მოღვაწისა ამ სიმძიმეშია, ამიტომაც ითვლებოდა ყოველთვის სასულიერო წოდებაში ყოფნა დიდ ღირსებად და ქართველნი, **„დიდი გვარიშვილნი, მეფეთა ოჯახისანი და ძენიც-კი ბედნიერად ჰრაცხდნენ თავიანთ თავს, თუ-კი ეღირსებოდნენ სასულიერო წოდების კაცად გახდომას, სასულიეროში შესვლას და სამსახურსა“,** — წერდა ილია წმინდა ნინოსადმი მიძღვნილ წერილში („ივერია“, 1888 წ. № 9).

ასეთი სასულიერო პირი ჰყავს გამოძერწილი მწერალს მოთხრობა „გლახის ნაამბობში“ მღვდლის სახით. ილიას განზრახვაც, ალბათ, ეს იყო, რომ ღირსეული მღვდლის სახის ჩვენებით, ერთი მხრივ, ხალხისა და სასულიერო პირებისათვის მათი არსი და დანიშნულება შეეხსენებინა და მეორე მხრივ, ჭეშმარიტების მსახურთადმი თავისი თაყვანისცემა გამოეხატა.

ის სიკეთით გამორჩეული პიროვნებაა, განათლებული, მზრუნველი, მოსიყვარულე, ჩაგრულთა ქომაგი და შემწე, რომელიც წმიდა წერილისეულ ჭეშმარიტებებს ქადაგებს და ამიტომაც მის ირგვლივ მუდამ ხალხმრავლობაა: **„ხალხი სულგანაბული შესცქეროდა, თითქო დაჯერებულიაო, იმის პირიდამ ოქრო გადმოვარდება და შიშობს, ხელიდამ არ გამივარდესო“.** „ოქროში“ სწორედ მისი ქადაგებებია ნაგულისხმევი:

„სიცოცხლე ჩვენი... არც დედისაა და არც მამისა, ქვეყნისა არს“;

„სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი გზა ცხოვრებისა, აი, ხიდი ცხონებისა, აი, გასაღები სამოთხისა“;

„რაც შეგვიძლია, ჩვენც ისა ვქნათ, ღმერთიც ჩვენგან იმასა თხოულობს და კაციცა“;

„სჯობიან, ღვთისა და კაცის სამსახურში ამომივიდეს სული“.

ეს ის მარგალიტებია, რომლებიც მსმენელებს უნდა ემრავლებინათ და გაბრიელივით მიწაში არ უნდა დაეფლათ. ის ცეცხლი კი, რომელიც მღვდლის თქმით, ღვთის მიერ „ყოველი კაცის გულში ენთება“, არ უნდა გაექროთ. გაბრიელი ამ ნამდვილ ღვთისმსახურს ასე იგონებს: **„ხატებს რომ ხატავენ ის იყო“, „რა კაცი იყო!.. რომ მაგონდება იმისი საქმეები, მგონია, რომ ციდან იყო ჩამოსული, რომ კაცს ქვეყანაზე აჩვენოს კაცობა“.**

„კაცს ქვეყანაზე აჩვენოს კაცობაო“!

დღეს კი მეუფის სამოსელში გახვეულმა პეტრე ცაავამ ერსა და ბერს აჩვენა არაკაცობის მაგალითი. ეს ის ღვთისმსახურია, რომელზეც არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ხმამაღლა თქვეს, რომ ის იყო „წარსულში წამლის ბარიგა“, „ვაგზლის ქურდი“, ავანტიურისტი, რომელმაც ეკლესიას შეაფარა თავი... სადაც საკუთარი საფეოდალო შექმნა და ახალაიების კლანის დახმარებით დაიწყო მართვა... „მიტროპოლიტის გავლენა „ნაციონალური მოძრაობის“ გავლენასთან ერთად იზრდებოდა... გავლენასთან ერთად იზრდებოდა მისი საკუთარი ქონებაც — მისაკუთრებული მიწებისა და უძრავ-მოძრავი ქონების გარდა, დადიანების რეზიდენციაც ეცოტავა... თავი ჭყონდიდელი ჰგონია...“ — ასე ახასიათებენ ჭყონდიდის მიტროპოლიტ პეტრე ცაავას მარტვილის რაიონის სოფელ სალხინოში, მაგრამ ინკოგნიტოდ დარჩენა ურჩევნიათ, რადგან დარწმუნებული არიან, ცბიერი და გაიძვერა პეტრე თუ პაატა იქეთ დასდებს ბრალს მათ და დააჭერინებს.

უკვე რამდენიმე კვირაა, საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში გაუგონარი რამ ხდება. ახალი ▶



ილია II: „ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, როგორც ეკლესიაში, ასევე ქვეყანაში მშვიდობის დამკვიდრებისათვის. ჩვენ არ უნდა მივცეთ საბაბი საზოგადოებას დაბრკოლდეს ეკლესიისა და სარწმუნოების მიმართ“

**«იმ სამღვდელოებამ შესძრა ჩვენი სულიერი ძალ-ღონე და შეაქმნევინა ერს ის სახელოვანი ნაშთნი სარწმუნოებისა, რომლითაც დღეს ჩვენ ქართველნი, სამართლიანად ვქადულობთ. დიდებული სიტყვიერება ჩვენის სამღვთო წერილისა ცალკედ და საეროსი ზოგადად, დიდებული არხიტექტურა ჩვენთა ტაძართა და ეკლესიათა, სამაგალითო სიმდიდრე, ხელოვნება და სიტურფე საეკლესიო ნივთთა, განძთა და სამკაულთა ამის უტყუარნი მოწმენი არიან»**



**მეუფის სამოსელში გახვეულმა პეტრე ცაავამ ერსა და ბერს აჩვენა არაკაცობის მაგალითი... ყველა კაცი უნდა დაუფიქრდეს «თავის წარსულს ცხოვრებას თავისის ცოდვა-მადლის გასარჩევად, თუ ჰსურს, ქრისტიანული წესი აღასრულოს და დრო სინანულისა ტყუილუბრალოდ არ გააქარწყლოს»**

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ერს, რომელსაც დღეგრძელობა და მერმისი ჰსურს, ერთი ფიქრი უნდა ჰქონდეს: სათნოება დარგოს და ახაროს თავის გულში, თავის ოჯახში. ამისათვის საჭიროა ზნეობის ამაღლება და გაწმენდა“.

ამბავი არავისთვის არის, რომ საქართველოს ეკლესიაში კარგა ხანია არიან მეუფეები, რომლებიც საჯაროდ უპირისპირდებიან საქართველოს პატრიარქს და მხარს უჭერენ ე.წ. ლიბერალურ ძალებს; არც ის, რომ ზოგიერთ ეპარქიას ხელმძღვანელობენ ისეთი პირები, რომლებსაც ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, ფოტოები დღემდე აქვთ გამოფენილი საკურთხეველში. სწორედ ერთ-ერთი მათგანია ჭყონდიდელი მიტროპოლიტი, 49 წლის მეუფე პეტრეც, რომელმაც სინოდის კრებაზე საჯაროდ განაცხადა, რომ ერს ჰყავს პიდარასტიის, მამათმავლობის ცოდვით შეპყრობილი სინოდის თავმჯდომარე და რომ ეკლესიაში მამათმავლები არიან. ერთ-ერთ მოწმედ მან ციანიდის საქმეზე მსჯავრდებული დეკანოზი გიორგი მამალაძე დაასახელა.

აღშფოთებული წმიდა სინოდის წევრები ჭყონდიდის მიტროპოლიტს ხელითაც კი შეხებიან. მათ სინოდიდან გამოძევებულ პეტრეს მღვდელმოქმედება აუკრძალეს, ჭყონდიდის ეპარქიიდან გაათავისუფლეს და ცოდვების მოსანანიებლად მონასტერში წასვლა დაუდგინეს. ასე რომ, 2019 წლის 31 ოქტომბრის წმიდა სინოდის სხდომა ერთ-ერთი სკანდალური შეიქნა ჩვენი სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის 17-საუკუნოვან ისტორიაში.

დეკანოზმა მამალაძემ კი „ტვ პირველს“ მატროსოვის ციხიდან წერილი გაუგზავნა, რომ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, ყველაფერს ახადოს ფარდა, თუმცა ეს ყველაფერი საზოგადოებისთვის ძალიან მძიმე მოსასმენი იქნება, მაგრამ ეკლესიის გაჯანსაღებას შეუწყობს ხელსო. მაგრამ რამდენად დასაჯერებელია მამალაძის გულწრფელობა, ამაზე საუბრისგან თავს შევიკავებთ, რადგან მთელი ამ ხნის განმავლობაში ის მერყეობდა, „ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა“.

რამ მიიყვანა ეკლესია აქამდე?

საქართველოს ეკლესიაში წლების მანძილზე ძალიან ბევრი პრობლემა დაგროვდა, პრობლემები, რომლებიც არ გვარდებოდა. ამან კი შედეგად მოიტანა ის, რაც დღეს ხდება, რამაც სულით ხორცამდე შეძრა ყველა ჭეშმარიტი მართლმადიდებელი და პატრიარქის პატივისცემის ნიშნად სამების ეკლესიას უამრავმა ადამიანმა მიაშურა, მათ შორის საქართველოში სასწავლებლად ჩამოსულმა უცხოელმა ახალგაზრდებმაც.

პეტრე ცაავას კი პატრიარქისთვის ტალახის სროლის გამო ჯოჯოხეთის კუპრში მოხვედრას უწინასწარმეტყველებენ, რამეთუ ეს არ იყო მხოლოდ ერთი ადამიანის შეურაცხყოფა, ეს იყო ერის სიწმინდის ხელყოფის ტოლფასი ქმედება.







**«ამ წუთისოფელში ადამიანს ბევრი და მრავალსახის საქმე აქვს საკეთებელი. როგორც კერძოდ თავისთვის, ისე ზოგადად ყველასათვის. სათითაოდ ყველას ერთნაირი დანიშნულება არა აქვს. სათითაოდ ყველას რამე დანიშნულება კი უსათუოდ აქვს... მრავალგვარია ნიჭიერება, ღონე და მიდრეკილება ადამიანისა. სიდიდე და ღირსება ის არის, ვინ როგორ აურჩია საქმე თავის ნიჭსა და ვინ როგორ უძღვება»**

„პეტრე არაკაცი ხარ, ნაბიჭვარი არაკაცი. არაკაცი ხარ იმიტომ, რომ იმ იმედს შეეხე, რომელიც ერთადერთია მთელს ერში; იმ სიწმინდეს შეეხე, რომელმაც ქართველი ხალხი ღმერთისკენ შემოაბრუნა; იმ მომავალს შეეხე, რომლის იმედად ათასობით ოჯახმა შვილები გააჩინა; იმ გვარებს შეეხე, რომლებიც დაილოცა და ეკურთხა; იმ წარსულს შეეხე, რომლითაც ასე ვამაყობთ; კაცობას შეეხე; იმ ბავშვების ნათლიას შეეხე, საქართველოს მომავალი რომ უნდა იყვნენ; იმ ოჯახებს შეეხე, რომლებიც იმედის თვალით შეჰყურებენ მომავალს... არაკაცი ხარ იმიტომ, რომ ამ ყველაფრით ცდილობ, რწმენა და სიყვარული დააკარგვინო ხალხს იმის, რისიც ასე სწამთ და სჯერათ, რისი და ვისიც იმედი აქვთ ჭირსა თუ ლხინში... ნაბიჭვარი არაკაცი ხარ იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ანგარებით გააკეთე და ეს შენს ცბიერ თვალებში და თხის წვერში იკითხება...“ — ეს არის ამონარიდი სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული წერილიდან, რომლის წაკითხვის შემდეგ ადრესატი, თუ ნორმალურია, თავს თუ არ მოიკლავს, სულის განწმენდაზე მაინც იზრუნებს, რადგან ქრისტიანისთვის მთავარი სულზე ზრუნვა, მისი განწმენდა-ამაღლებაა, რადგან **„ქრისტიანობა ძმობაა და ურთიერთის სიყვარული...“**, ხოლო **„ქრისტე ღმერთი სდევნიდა მცემელს და ამხნევებდა გვემულს“** *(„ივერია“, 1897 №72).*

ილია ჭავჭავაძის თქმით, ადამიანის სულიერი ამაღლება მჭიდრო კავშირშია ზნე-ხასიათის წვრთნასთან: **„ზნე-ხასიათის წვრთნა ზრდაა შინაგანის კაცისა, თუ ეგრე ეთქმის. რადგანაც შინაგანობა კაცისა მისი სულიერი ვინაობაა, მისი სულიერი ბუნებაა, მაშასადამე წვრთნა ზნე-ხასიათისა ზრდაა, გარკვევაა მისის სულიერის ვინაობისა, სულიერის ბუნებისა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, მისის კაცობისა, ადამიანობისა.** ზნეობისა და სულის წვრთნა საჭიროა არა მარტო ცალკე ადამიანის გადარჩენისთვის, არამედ აუცილებელია მთელი ერის მერმისისათვის. ერთ-ერთ სარედაქციო წერილში ილია აღნიშნავს, რომ **„ერს, რომელსაც დღეგრძელობა და მერმისი ჰსურს, ერთი ფიქრი უნდა ჰქონდეს: სათნოება დარგოს და ახაროს თავის გულში, თავის ოჯახში. ამისათვის საჭიროა ზნეობის ამაღლება და გაწმენდა“**, *(გაზ. „ივერია“ 16 აპრილი, 1887წ.)*

ილია მოწიწებით მოიხსენიებს იმ მადლით ცხებულ ბერმონაზვნებს, რომლებიც **„ერთ დროს ყოფილან ჩვენში ჩვენდა საბედნიეროდ, და ეხლა, ჩვენდა საუბედუროდ, აღარ არიან“**. საქართველოს სინამდვილეში წმიდა მღვდელმთავრების არსებობა და მათი ცხოვრების მაგალითი კვებავდა ილიას ტკივილიან იმედს, რომ **„ჯერ კიდევ მსახური მართლა ღვთისმსახურებისა არ წაწყმედილიყო ჩვენში“**.

ქრისტიანული ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფეხურია **სინანული** და **აღსარება**. მწერალი თვლის, რომ ქრისტიანი მუდამ უნდა ფიქრობდეს თავის ცოდვებზე. ყურადღებით უნდა ჩხრეკდეს არა მარტო საქციელს, არამედ გულის სიღრმესაც და თხრიდეს მასში სარეველებს — აღკვეთდეს უკეთურ საქმეებსა და ბოროტ გულისთქმებს. ილიას თქმით, ყველა კაცი უნდა დაუფიქრდეს „თავის წარსულს ცხოვრებას თავისის ცოდვა-მადლის გასარჩევად, თუ ჰსურს, ქრისტიანული წესი აღასრულოს და დრო სინანულისა ტყუილუბრალოდ არ გააქარწყლოს“.

თავდადება, საკუთარი თავის მსხვერპლშეწირვა ქრისტიანისათვის უწმინდესი მოვალეობაა: **„ყველაფერი სალმრთოა, ჩემო ძმაო, რაც კაცის გულს გაუთბია, თვითონ დამწვარა, ზღაპრისა არ იყოს, სანთელსავით და სხვისთვის კი გაუნათებია. კაცი ის არის ... რომელიც თავის გონების ნამუშევარს, გულის სიკეთეს ხიდად გასდებს, რომ თუ არ თვითონ, სხვამ მაინც მშვიდობით გაიაროს. იმ ხიდს ზედ ამჩნევია ღვთის მადლი, მაშინ ყველაფერი სალმრთოა“ .**

ილიას აზრით, მის თანადროულ საზოგადოებას ძალიან აკლდა საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება და მოვალეობის გრძნობა. ეს თვისებები ქრისტიანულ სათნოებებში პირდაპირ დასახელებული არ არის, მაგრამ ადამიანის ხასიათის წვრთნას და სრულყოფას უწყობს ხელს. „გლახის ნაამბობში“ მღვდელი არიგებს გაბრიელს: **„შენს საქმეზედ იყავ ბეჯითი, გულმოდგინე, ერთგული, რომ ღმერთიც მადლობელი იყოს და კაციც: რასაც ვიკისრებთ, ის უნდა ავასრულოთ კიდეც... არა კაცი იმოდენა სიკეთეს არ მოგცემს, რამოდენადაც შენის ვალის ასრულება“.**

ლექსში **„ლოცვა“** პოეტი ღვთისგან არ ითხოვს არც სიმდიდრეს, არც დიდებას, არამედ მხოლოდ ერთადერთს — სულის განათლებას და სიყვარულს:

**„მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა,**
**მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგავარ შენ წინა;**
**არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,**
**არ მინდა ამით შევურაცხვყო მე ლოცვა წმინდა...**
**არამედ მწყურს მე, განმინათდეს ცით ჩემი სული,**
**შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,**
**რომ მტრთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,**
**გთხოვდე: „შეუნდე, — არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“**

ილიას ეს ლექსი საუფლო ლოცვის ქარგაზეა აგებული და მის სხვადასხვა მუხლებს ეხმიანება. ლექსის დასაწყისი და ბოლო ფრაზები: „მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა“ და „შეუნდე, — არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“ — ამავე ლოცვის შემდეგი მუხლების პირდაპირი გამოძახილია: „მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა“ *(მათე.6.9)*; „მომიტევენ ჩუენ თანა-ნადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანა-მდებთა მათ ჩუენთა“ *(მათე.6.12).*

ილიამ 21 წლისამ (1858წ.) იწინასწარმეტყველა თავისი ცხოვრების აღსასრული და ითხოვა ღვთისგან მტრის შენდობა ჯვარცმული მაცხოვრის უკანასკნელი სიტყვებით: „შეუნდე, — არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“

* * *

**ალბათ, ასე მხოლოდ ილია მართალი არ ფიქრობდა და ილია მეორეც იმავეს იტყვის: „შეუნდე, — არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“, თუმცა ამას ნიშნავდა ის სიტყვებიც, რომლებიც უკვე უთხრა ეშმაკზე სულმიყიდულ ღვთისმსახურს: რომ მოხვედი რა კარგი იყავი და რა დაგემართაო?! საქართველო კი, უფლის მადლითა და წყალობით, ჯიუტად გაუყვება ნათელი მომავლისკენ სავალ გზას იმ იმედით, რომ ღვთისმშობელი მის წილხვედრ ქვეყანას კვლავაც დაიფარავს.**

**„ყველაფერი სალმრთოა, ჩემო ძმაო, რაც კაცის გულს გაუთბია, თვითონ დამწვარა, ზღაპრისა არ იყოს, სანთელსავით და სხვისთვის კი გაუნათებია. კაცი ის არის ... რომელიც თავის გონების ნამუშევარს, გულის სიკეთეს ხიდად გასდებს, რომ თუ არ თვითონ, სხვამ მაინც მშვიდობით გაიაროს. იმ ხიდს ზედ ამჩნევია ღვთის მადლი, მაშინ ყველაფერი სალმრთოა“**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

# ნეოლიბერალური ზნეობა

## სოდომია შთანთქავს ევროპას: პედერასტიისადმი დამოკიდებულების საკითხის შესწავლის გამაოგნებელი შედეგები



ევროპაში ტრადიციულ ფასეულობებს მისდევენ ის ქვეყნები (ბულგარეთი, საბერძნეთი, კვიპროსი), რომლებშიც მართმადიდებელი მოსახლეობა სჭარბობს, ასევე — აღმოსავლეთევროპული სახელმწიფოები ძლიერი კათოლიკური ტრადიციებით (უნგრეთი და სლოვაკეთი)

**ევროკომისიამ გამოაქვეყნა მასშტაბური სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები, რომლებიც ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყანაში ჩატარდა. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვის პირველი „გასაშუალებული“ შედეგები, ერთი შეხედვით, ნეოლიბერალების სასარგებლო იყო, კვლევის მიმდინარეობის პროცესში თავი იჩინა ისეთმა ტენდენციებმა, რომლებმაც „ერთიანი ევროპის“ მომხრეები ვერ გაახარა.**

გამოკითხვის მონაწილეთა **72 პროცენტმა** განაცხადა, რომ ერთი და იმავე სქესის მქონეთა დაქორწინებაში საჩოთიროს ვერაფერს ხედავს, 69 პროცენტმა კი მხარი დაუჭირა ევროპაში ასეთი ქორწინების დანერგვას. გამოკითხვის მიხედვით, ყველაზე ტოლერანტული აღმოჩნდა **შვედეთი:** შეკითხვებს დადებითი პასუხები გასცა გამოკითხულთა 92 პროცენტმა. მსგავსი შედეგები (75 და მეტი პროცენტი) იყო ბელგიაში, დანიაში, გერმანიაში, ირლანდიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, ლუქსემბურგში, ფინეთში, ნიდერლანდებსა და დიდ ბრიტანეთში. ქვეყნების მეორე ჯგუფში არატრადიციულ „ფასეულობებს“ მხარს უჭერს გამოკითხულთა ნახევარზე მეტი. იგულისხმება ჩეხეთი, იტალია, პოლონეთი, ავსტრია, პორტუგალია და სლოვენია.

მაგრამ ყველაზე მეტად საინტერესო შედეგები გამოიკვეთა ქვეყნების მესამე ჯგუფში. მაგალითად, ბულგარეთში გამოკითხულთა 71 პროცენტი გმობს ჰომოსექსუალურ ურთიერთობას; 74 პროცენტი აცხადებს, რომ წინააღმდეგია ასეთი ქორწინების; სლოვაკეთშიც მსგავსი შედეგებია — 61 და 70 პროცენტი; რუმინეთში — 63 და 63 პროცენტი; უნგრეთში — 61 და 53 პროცენტი; კვიპროსის რესპუბლიკაში — 60 და 55 პროცენტი; საბერძნეთში — 56 და 53 პროცენტი; ხორვატიაში — 55 და 58 პროცენტი; არატრადიციული კავშირების მიმართ უარყოფითად არის განწყობილი, ასევე, ბალტიისპირეთის ქვეყნების მცხოვრებთა უმრავლესობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ქვეყნებში, რომლებიც აქტიურად უჭერენ მხარს ლგბტ „შეხედულებას ცხოვრების წესზე“, ამ თემისადმი დამოკიდებულება ბოლო 5 წლის განმავლობაში გაუმჯობესდა (მაგალითად, გერმანიაში მათდამი სიმპათიურად განწყობილთა რაოდენობა 18 პროცენტით გაიზარდა, დიდ ბრიტანეთში — 14 პროცენტით). სამაგიეროდ აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის სახელმწიფოებში პირიქით მოხდა — ბოლო წლებში საგრძნობლად იმატა ანტიპათიურად განწყობილი ადამიანების რაოდენობამ (ბულგარეთში — 12 პროცენტით, სლოვაკეთში — 5 პროცენტით და ა.შ.).

შეიძლება დავასკვნათ, რომ ევროპაში ტრადიციულ ფასეულობებს მისდევენ ის ქვეყნები (ბულგარეთი, საბერძნეთი, კვიპროსი), რომლებშიც მართმადიდებელი მოსახლეობა სჭარბობს, ასევე — აღმოსავლეთევროპული სახელმწიფოები ძლიერი კათოლიკური ტრადიციებით (უნგრეთი და სლოვაკეთი).

„არატრადიციული“ ფასეულობების მომხრეებს სრული უფლება აქვთ, სრული გამარჯვება იზეიმონ სკანდინავიასა და ბენილუქსის ქვეყნებში მათი პოზიციები საკმაოდ ძლიერია დასავლეთ ევროპაშიც. ნეოლიბერალური ცვლილებები, როგორც ჩანს, ფეხს იკიდებს ისეთ კათოლიკურ ქვეყნებში, როგორებიცაა საფრანგეთი და იტალია. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ 2010 წლის დასაწყისში, როცა პარიზში იმართებოდა დისკუსიები ჰომოსექსუალთა შორის ქორწინების შემოღების მიზანშეწონილობაზე, სოციუმი იქ თითქმის ორ თანაბარ ნაწილად გაიყო.

**რეზო გაბრიაძის „შერეკილების“ ერთი, ბითურობამდე გულუბრყვილო პერსონაჟის, რეისში მიმავალ ობერკონდუქტორ ტრიფონიას მიერ შინ დარჩენილი ცოლის დამოძღვრა: „აწი ქალიც შენა ხარ და კაციცა“, ვინ იფიქრებდა, რომ XXI საუკუნის ევოპაში საზოგადოებრივი პროგრესისა და ლიბერალური იდეოლოგიის სლოგანი გახდებოდა. არადა — გახდა!**

# «კაციც შენა ხარ და ქალიცა»

## როგორ გახდა ერთი ნაკაცარი «ისინი»

მომღერალმა **სემ სმითმა** სქესი შეიცვალა, უფრო ზუსტად, ორსქესიანი გახდა და მოითხოვა, დღეის ამას იქით მიმართონ ნაცვალსახელით „ისინი“. ცოტა ხნის წინათ „მათ“ (როგორც მოითხოვა, ზურგსუკანაც ისე ვახსენოთ!) საჯაროდ განაცხადა, რომ ჰომოსექსუალია, ამ ახალი „ქამინაუთის“ დროს კი თავის პედერასტობას ახალი ხიბლი შეჰმატა: ქალიც მე ვარ და კაციცო!

მარგალიტა ამყოლაძეც და სემ სმიტიც ერთდროულად.

ეს ამბავი გასულ საუკუნეში ევროპისკენ გაქაჩულ ქუთაისში რომ მომხდარიყო, „ციხე“-ოდიშარიას და „ექიმ“-კუჭუხიძეზევს კარგად მოუწევდათ დაფიქრება, გაეგრძელებინათ თუ არა სასიყვარულო ურთიერთობა ნემეცების უბნის დედოფალთან.

„Я так думаю“, — იტყოდა ცხონებული ფრუნზიკ მკრტიჩიანი კინოფილმიდან „მიმინო“ (ისევ — რეზო გაბრიაძე).

„იმათ“, ანუ მარგალიტა-სემმა „ინსტაგრამში“ თავისი პოსტი გამოაქვეყნა:

„— დღეს კარგი დღეა. გადავწყვიტე, რომ ვიცვლი ნაცვალსახელს მას შემდეგ, რაც მთელი ცხოვრება ვებრძოდი საკუთარ სქესს. გადავწყვიტე, შევიგრძნო თავი ჩემი გარეგნულადაც ისეთად, როგორიც ვარ შინაგანად. აღელვებული და ნასიამოვნები ვარ იმით, რომ ჩემ გარშემო არიან ადამიანები, რომლებიც მხარს უჭერენ ჩემს ამ გადაწყვეტილებას. ძალიან ვნერვიულობდი, როცა ამას ვაცხადებდი, რადგან მადარდებდა, რას იტყოდნენ ჩემზე ადამიანები“.

საერთო საკაცობრიო მასშტაბს ჩაებღაუჭა.

„რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“. არც გალაკტიონს აწუხებდა:

**ჩემთვის დღესავით**
**არის ნათელი,**
**რას იტყვის ჩემზე**
**შთამომავალობა.**

არც პუშკინს:

**ძეგლი ავიგე ხელთუქმნელი,**
**უნეტარესი.**

არც ჩვენ, სხვათა შორის, რადგან მოწმენი გავხდით ყველაფრის, რაც კი შეიძლება ადამიანის ავადმყოფურმა ტვინარეულობამ შვას. ამიტომ ამ ორგზის მამათმავალ-ლესბოსელის შეშფოთება და წუხილი — დრო მჭირდება, ახალ მომართვას რომ შეეჩვიოო, ძალიან, ძალიან ფეხებზე გვკიდია.

თანაც, არსებობდა თუ არა ასეთი მუსიკოსი, წარმოდგენაც არ გვქონდა, ან რატომ უნდა გვცოდნოდა, როცა, ჯერ მხოლოდ მივისწრაფით „დასავლური ცივილიზაციისკენ“?!

ხოლო ადგილობრივი კიკინებიანი გეების მწუხარებას გულწრფელად ვიზიარებთ: ჩამორჩით, ცალფა პედერასტებო! დასავლეთში უკვე ორგზის მამათმავლები ჰყავთ...

**ა.ხ.**



**P.S.** როგორ ვცხოვრობდით აქამდე, როგორ მოვაღწიეთ დღემდე ჩვენ ველურებმა, ჩვენი რეტროგრადობითა და ყავლგასული ტრადიციულობით დაღდასმულებმა?! როგორ ჩაგვიარა მამათმავლობის, ტრანსგენდერობის და პედერასტიზმის შვიდფერმა პროგრესმა ისე, რომ ლგბტმწვერვალზე არ ამოგვატივტივა?

მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით თავს ვიცავთ ნეოლიბერალური შემოტევებისგან.

როდემდე?

ამ შეკითხვას უპასუხებს საქართველოს სახალხო არტისტი, „ხელოვნების ქურუმი“ ჯემალ ჭკუასელი სარკასტული ლექსით, რომელიც მოცალეობის ჟამს დაუწერია, „ერისიონის“ რეპეტიციებს შორის შესვენებისას.

### ვაი ასეთ მომავალს

სიზმარი ვნახე უმსგავსო,
ვერ დავივიწყე, არ იქნა,
„ცხადისგან სიზმარს
ვერ არჩევთ!“
დაგვგესლეს ტელეარხიდან,
რა გიკვირთ, ორი „ვაჟკაცი“
ერთმანეთს როგორ ლოღნიდა?!
ქართული ჩოხა ემოსათ,
სამივეს დედა „მოგიკვდათ“!
ეჭვებმა არ მომასვენა,
ფეხებს მივათრევ ძლივს,
რა მოხდა, რა ჯანდაბაა,
შველა ვის ვთხოვო, ვის?
მკვდრისფერი ადევს ბიძაჩემს,
ღაწვებზე ცრემლი სდის,
გოდებს, რა მჭირსო, არ ვიცი,
პასუხი ვთხოვო ვის?
ბიჭები „გამითხოვდნენო“,
არ ვარ მე ამის ამტანი!
შუბლში ტყვია რომ ვიხალო,
არ მყავს სახლიდან გამტანი.
დავმუნჯდი, ენა დამება,
სასწრაფოდ გაცლა მომინდა,
სასოწარკვეთილს აღმომხვდა,
მშვიდობით, გრიშა მამიდა!
მომავალს დროზე მივხედოთ,
სანამ მივსულვართ აქამდე,
არ დავარისხებთ, დედო ზარს?
მოაღწევენ ჩვენ გავამდეც!!!

**უმცროსი ევგენი პრიმაკოვი ბაბუის შესახებ ამბობს: „ევგენი მაქსიმოვიჩი დაიბადა არა კიევში, არამედ მოსკოვში. მისი მამა რეპრესირებული იყო. ევგენი მაქსიმოვიჩის დედამ — ანამ ბაბუაჩემი თბილისში წაიყვანა. იმხანად ის ძალიან პატარა იყო... დედა შვილს მარტო ზრდიდა, ისინი ლენინგრადის ქუჩაზე მდებარე სახლის კომუნალური ბინის ერთ ოთახში ცხოვრობდნენ. იზრდებოდა, როგორც ყველა თბილისელი ბიჭი. შემდეგ შევიდა ვაჟთა სკოლაში პლეხანოვის პროსპექტზე. ომისა და ომის შემდგომი პერიოდის თბილისი ხულიგნების ქალაქი იყო და მათი კომპანიაც საბრძოლო იყო“.**

თაჩილი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევგენი პრიმაკოვის 90 წლისადმი მიძღვნილი საღამო

**ევგენი პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსულ საზოგადოებრივ ცენტრში ამა წლის 31 ოქტომბერს ევგენი პრიმაკოვის 90 წლისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.**



საღამო საკმაოდ წარმომადგენლობითი გახლდათ, ქართველებთან ერთად იყვნენ რუსეთიდან ჩამოსული სტუმრებიც: გორჩაკოვის სახელობის ფონდის ხელმძღვანელი **ლეონიდ დრაჩევსკი**, სცენარისტი, ავტორი ფილმისა „უდაბნოს თეთრი მზე“ **რუსტამ იბრაგიმბეკოვი,** აგრეთვე, ანალიტიკოსი **არჩილ სიხარულიძე,** მწერალი **გოგი ლორთქიფანიძე,** გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ გამომცემელი **ტარიელ გაგნიძე,** პოლიტოლოგი **ირაკლი უბილავა,** ტელეკომპანია „მირ“-ის წარმომადგენელი **ბადრი ნაჭყებია,** საქართველოში შვეიცარიის საელჩოს რუსეთის ინტერესთა სექციის წარმომადგენელი და სხვ.

„დიდი თბილისელის, უდიდესი პოლიტიკოსის, ასევე უდიდესი დიპლომატის — ევგენი პრიმაკოვის დაბადების დღისადმი მიძღვნილი შეხვედრა, რომლის სახელსაც ატარებს ჩვენი ორგანიზაცია, ყველასთვის ცნობილია, რომ დიდი წნეხის ქვეშ არის. სამწუხაროდ, ჩვენს ახალგაზრდებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია პრიმაკოვის დამსახურებასა და მის ღვაწლზე საქართველოს წინაშე. არ იციან 90-იანი წლების ისტორია, როდესაც პრიმაკოვი აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის პრობლემების გადაჭრაში. იმისთვის, რომ სრულად წარმოვაჩინოთ ევგენი პრიმაკოვის ღვაწლი, წარმოგიდგენთ ფილმს მის შესახებ. ასევე, ახალგაზრდა ანალიტიკოსი არჩილ სიხარულიძე გვესაუბრება ევგენი პრიმაკოვის დამსახურებას და მის ურთიერთობაზე საქართველოსთან“, — განაცხადა პრიმაკოვის სახელობის ცენტრის ხელმძღვანელმა **დიმიტრი ლორთქიფანიძემ.**

ფილმის ჩვენებამდე დიმიტრი ლორთქიფანიძემ სიტყვა გადასცა გორჩაკოვის სახელობის ფონდის ხელმძღვანელ **ლეონიდ დრაჩევსკის.** „პრიმაკოვის ცენტრის ხელმძღვანელი დიდი ხნის განმავლობაში არ გვყავდა, არ გვყავდა მანამ, სანამ დიმიტრი ლორთქიფანიძე არ დაგვთანხმდა. მადლობა მას ამისთვის, მისი საქციელი გმირობის ტოლფასია. დღეს მოხარული ვარ, რომ ჩვენი დიდი მასწავლებლის — ევგენი პრიმაკოვის ცენტრი გვაქვს საქართველოში. სიმართლე გითხართ, არ ვიცი, როგორ ახერხებდა ევგენი პრიმაკოვი, რომ დარჩენილიყო სუფთა ადამიანად და თანაც ყოფილიყო ამ დონის პოლიტიკოსი და დიპლომატი. მიხარია, რომ სწორედ ჩვენ განვაგრძობთ მის გზას და პატივს მივაგებთ მის ხსოვნას. ეს მახარებს“, — განაცხადა ლეონიდ დრაჩევსკიმ მისასალმებელ სიტყვაში.

ევგენი პრიმაკოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფილმის ჩვენების შემდეგ ანალიტიკოსმა **არჩილ სიხარულიძემ** სტუმრებს დეტალურად გააცნო 1990-იან წლებში პრიმაკოვის როლი საქართველოს პრობლემების მოგვარების საქმეში. მისმა გამოსვლამ დამსწრე საზოგადოებაში დებატები გამოიწვია, რამაც შეხვედრა უფრო საინტერესო გახადა.

დებატების მოსმენის შემდეგ სცენარისტმა **რუსტამ იბრაგიმბეკოვმა** განაცხადა: „გაოცებული ვარ, როგორ ობიექტურად აფასებთ ქართველები 90-იანი წლების მოვლენებს სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით. მინდა ყველას მივულოცო პრიმაკოვის სახელობის ცენტრის დაფუძნება, რადგან ყველამ კარგად ვიცით, როგორი დაძაბული ურთიერთობაა რუსეთ-საქართველოს შორის. ორ ხალხს შორის ისეთი ურთიერთობები, როგორც დღეს ჩვენ აქ გვაქვს, ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ მეგობრული ურთიერთობები და ეს ცენტრი, ვფიქრობ, ამას ხელს შეუწყობს. მგონია, რომ ის დამოკიდებულება, რომელიც ჩვენს ორ ქვეყანას შორის არის, წუთიერია და გაივლის. მინდა ყველამ იცოდეს, როგორი წმინდათაწმინდაა რუსი ხალხისთვის ქართველი, ჩვენ პატივს ვცემთ თქვენს კულტურას და ასევე პირიქით...“

საღამოს სტუმრები რიგრიგობით გამოდიოდნენ და ევგენი პრიმაკოვის ნაკეთებ საქმეებს პატივისცემით იხსენებდნენ.

საღამო გაალამაზეს სტუდენტებმა, რომლებმაც ევგენი პრიმაკოვისადმი მიძღვნილი ლექსები რუსულ ენაზე წაიკითხეს.

შეხვედრის დასასრულ, ევგენი პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის ხელმძღვანელმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ სტუმრებს ამცნო, რომ **2021 წელს, ევგენი პრიმაკოვის გარდაცვალებიდან მეხუთე წლისთავზე, სანქტ-პეტერბურგის ქუჩის მე-10 ნომერში, იქ, სადაც გაიზარდა დიდი დიპლომატი და საზოგადო მოღვაწე, მემორიალური დაფა განთავსდება.**

**«გაოცებული ვარ, როგორ ობიექტურად აფასებთ ქართველები 90-იანი წლების მოვლენებს სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით. მინდა, ყველას მივულოცო პრიმაკოვის სახელობის ცენტრის დაფუძნება, რადგან ყველამ კარგად ვიცით, როგორი დაძაბული ურთიერთობაა რუსეთ-საქართველოს შორის. ორ ხალხს შორის ისეთი ურთიერთობები, როგორც დღეს ჩვენ აქ გვაქვს, ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ მეგობრული ურთიერთობები და ეს ცენტრი, ვფიქრობ, ამას ხელს შეუწყობს. მგონია, რომ ის დამოკიდებულება, რომელიც ამჟამად ჩვენს ორ ქვეყანას შორის არის, წუთიერია და გაივლის. მინდა ყველამ იცოდეს, როგორი წმინდათაწმინდაა რუსი ხალხისთვის ქართველი, ჩვენ პატივს ვცემთ თქვენს კულტურას და ასევე პირიქით...»**

ევგენი პრიმაკოვის შვილიშვილი, **უმცროსი ევგენი პრიმაკოვი** ბაბუის შესახებ ამბობს: **„ევგენი მაქსიმოვიჩი დაიბადა არა კიევში, არამედ მოსკოვში. მისი მამა რეპრესირებული იყო. ევგენი მაქსიმოვიჩის დედამ — ანამ ბაბუაჩემი თბილისში წაიყვანა. იმხანად ის ძალიან პატარა იყო... დედა შვილს მარტო ზრდიდა, ისინი ლენინგრადის ქუჩაზე მდებარე სახლის კომუნალური ბინის ერთ ოთახში ცხოვრობდნენ. იზრდებოდა, როგორც ყველა თბილისელი ბიჭი. შემდეგ შევიდა ვაჟთა სკოლაში პლეხანოვის პროსპექტზე. ომისა და ომის შემდგომი პერიოდის თბილისი ხულიგნების ქალაქი იყო და მათი კომპანიაც საბრძოლო იყო“.**



**2021 წელს, ევგენი პრიმაკოვის გარდაცვალებიდან მეხუთე წლისთავზე, სანქტ-პეტერბურგის ქუჩის მე-10 ნომერში, იქ, სადაც გაიზარდა დიდი დიპლომატი და საზოგადო მოღვაწე, მემორიალური დაფა განთავსდება**



მეტი თვალსაჩინოებისთვის, რა როლს ასრულებდა საქართველოს უახლეს ისტორიაში ევგენი პრიმაკოვი, შემოგთავაზებთ ამონარიდს მისი ერთ-ერთი ინტერვიუდან: **„როდესაც არძინბამ დამირეკა, მივხვდი, ეს ექსტრაორდინარული შემთხვევა იყო. შეხვედრა მთხოვა. მე, რა თქმა უნდა, უარი არ ვუთხარი. ხანგრძლივი და რთული საუბარი გაიმართა. არძინბამ უარი განაცხადა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებაზე. კომპრომისის ძიებისას შევთავაზე ასეთი ვარიანტი — „აფხაზეთის თანხმობა, იცხოვროს საქართველოსთან საერთო სახელმწიფოში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრებში 1991 წლის 1 იანვრის მდგომარეობით“. ჩვენ დიდხანს და ცხარედ ვკამათობდით. მოგვიანებით ცოლმა მითხრა: შენგან ასეთი ყვირილი არასდროს მომისმენიაო.**

დიდი ძალისხმევის შედეგად შევძელი არძინბას დარწმუნება, რომ ჩემი ფორმულირება მიეღო. ეს იყო კოლოსალური ნაბიჯი. მივხვდი, — არძინბა თბილისში უნდა წამეყვანა. იმხანად 7 წელი სრულდებოდა, რაც მასზე საქართველოს ძებნა ჰქონდა გამოცხადებული. მე შევძელი ვლადისლავ არძინბასა და ედუარდ შევარდნაძის შეხვედრის ორგანიზება. თბილისის აეროპორტში ჩვენს დასახვედრად მოსულებმა გაკვირვება ვერ დამალეს, როდესაც დაინახეს, როგორ ჩამოვდიოდით მე და არძინბა ტრაპიდან. სხვათა შორის, დამხვედრთა შორის იყო ზურაბ ჟვანიაც. არძინბა შევარდნაძესთან პირისპირ დავტოვე. მათ მრავალსაათიანი უმძიმესი საუბარი ჰქონდათ.

**იმხანად ნათელი იყო, რომ ახალი ფორმულა უნდა გამხდარიყო ძირითადი საკანონმდებლო აქტი, რომელსაც ყველა დანარჩენი დოკუმენტი დაემორჩილებოდა, მაგრამ ის შევარდნაძემ არ მიიღო და წინადადება წამოაყენა, ტერმინი „საერთო სახელმწიფო“ შეეცვალათ „ერთიანი სახელმწიფო“-თი — არძინბა, რა თქმა უნდა, არ დათანხმდა. ეს იყო ჩავარდნა. კონფლიქტის თავიდან აცილების კოლოსალური შესაძლებლობა ხელიდან იქნა გაშვებული. შემდეგ იყო ვახშამი. სუფრასთან ყველა ერთმანეთის ჯანმრთელობის სადღეგრძელოს სვამდა. ასე დასრულდა საკითხის მოგვარების მცდელობა. ეს იმიტომ მოგიყევით, რომ მეჩვენებინა, — მდგომარეობიდან გამოსავალი არსებობდა“.**

ევგენი პრიმაკოვს 1982 წელს თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

ყველაზე ყველაზე...

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**წმინდა სამების ტაძარი ორი ნაწილისგან შედგება — მიწისზედა და მიწისქვეშა ნაწილებისგან. საერთო სიმაღლე ნულოვანი ნიშნულიდან ჯვრის ჩათვლით 86,10 მეტრია (ჯვარი 7,5 მ სიმაღლისაა). მიწისქვეშა ნაწილში 2 სართულია. ტაძრის ქვედა სართულის იატაკი 13,07 მეტრზეა (ამას ემატება 1-მეტრიანი საძირკველი). ამ მონაცემებით ტაძრის საერთო სიმაღლე 100,17 მეტრია, სიგრძე — 70,45 მეტრი, სიგანე — 64,68 მეტრი, იტევს 15 ათასზე მეტ ადამიანს.**

# 10 ყველაზე მაღალი მართლმადიდებლური ტაძარი მსოფლიოში

**მილიონობით ადამიანი მრავალი საუკუნის განმავლობაში შრომობდა უზარმაზარი ნაგებობების ასაგებად, შედეგად გაჩნდა პირამიდები, ეკლესიები, მეჩეთები. ეს ნაგებობები ხომ ღმერთის თაყვანსაცემად ააგეს?! აი ყველაზე მაღალი მართლმადიდებლური ტაძრები:**



## ერის ხსნის ტაძარი, ბუქარესტი. სიმაღლე 135 მ

ეს არის ყველაზე მაღალი და მოცულობით მეორე მართლმადიდებლური ტაძარი მსოფლიოში. ტაძარი, რომელიც 2010-2018 წლებში აიგო, მდებარეობს რუმინეთის დედაქალაქის ცენტრში. ტაძარში არის მსოფლიოში ყველაზე დიდი თავისუფლად მოქანავე საეკლესიო ზარი. გათვლილია 7000 ადამიანზე.



## მაცხოვრის ტაძარი, მოსკოვი, სიმაღლე 103 მ

ხელახლა აშენებული მაცხოვრის ტაძარი ყველაზე დიდია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ტაძრებს შორის. აიგო 1995-2000 წლებში. მისი სიმაღლე 103 მეტრია, იტევს 10 000 ადამიანს.



## ისააკის სახელობის საკათედრო ტაძარი, სანქტ-პეტერბურგი. სიმაღლე 101,5 მ

ეს არის გვიანი კლასიციზმის გამორჩეული ნიმუში, რომელიც აგებულია 1818-1858 წლებში. 1928 წლიდან ჰქონდა მუზეუმის სტატუსი. 1991 წელს რეგისტრირებულმა საეკლესიო თემმა ტაძარში ღვთისმსახურების ჩატარების უფლება მიიღო.



## მაცხოვრის ფერისცვალების საკათედრო ტაძარი, ხაბაროვსკი (რუსეთი). სიმაღლე 96 მ

ეს ტაძარი 2001-2004 წლებში ააგეს ხაბაროვსკში, მდინარე ამურის ნაპირზე. იტევს 3 ათას ადამიანს.



## სმოლნის ტაძარი, სანქტ-პეტერბურგი. სიმაღლე 93,7 მ

სანქტ-პეტერბურგის ეს მართლმადიდებლური ტაძარი შედის სმოლნის სამონასტრო კომპლექსში, რომელიც მდინარე ნევის მარცხენა ნაპირზეა განლაგებული. აშენდა 1748-1835 წლებში.



## ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარი, ნიჟნი ნოვგოროდი. სიმაღლე 87 მ.

ეს ტაძარი აგებულია მდინარეების — ოკასა და ვოლგის შესართავთან. აშენდა 1867-1889 წლებში. 2009 წლიდან არის საკათედრო ტაძარი.



## წმინდა სამების საკათედრო ტაძარი, თბილისი. სიმაღლე 86,1 მ

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარი საკათედრო ტაძარი არქიტექტორ არჩილ მინდიაშვილის პროექტით აიგო 1994-2004 წლებში.

წმინდა სამების ტაძარი ორი ნაწილისგან შედგება — მიწისზედა და მიწისქვეშა ნაწილებისგან. საერთო სიმაღლე ნულოვანი ნიშნულიდან ჯვრის ჩათვლით 86,10 მეტრია (ჯვარი 7,5 მ სიმაღლისაა). მიწისქვეშა ნაწილში 2 სართულია. ტაძრის ქვედა სართულის იატაკი 13,07 მეტრზეა (ამას ემატება 1-მეტრიანი საძირკველი). ამ მონაცემებით ტაძრის საერთო სიმაღლე 100,17 მეტრია, სიგრძე — 70,45 მეტრი, სიგანე — 64,68 მეტრი, იტევს 15 ათასზე მეტ ადამიანს.



## ხარების სახელობის ტაძარი, ვორონეჟი (რუსეთი). სიმაღლე 85 მ

ეს რუსულ-ბიზანტიური სტილის ტაძარი 1998-2009 წლებში ააგეს ვორონეჟში.

## სამი წმინდანის ტაძარი, ტიმიშოარა, რუმინეთი. სიმაღლე 83,7 მ



რუმინეთის ქალაქ ტიმიშოარის საკათედრო ტაძარი აგებულია 1936-1940 წლებში. აქვს 9 დიდი და 4 პატარა კოშკი, სიგრძე 63 მ-ს შეადგენს, სიგანე — 32 მ-ს. იტევს 4 ათას ადამიანს.



## წმინდა სავას ტაძარი, ბელგრადი (სერბეთი). სიმაღლე 79 მ

ტაძარი აგებულია იქ, სადაც ოსმალებმა 1594 წელს დაწვეს სერბეთისეროვნული გმირის, წმინდა სავას (1175-1236) ნეშტი. ტაძარი შენდებოდა 1935-2004 წლებში.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

ხალტმააგიინ ბატულგა 1963 წლის 3 მარტს დაიბადა ულან-ბატორში. 1982 წელს დაამთავრა სახვითი ხელოვნების სასწავლებელი მხატვრის სპეციალობით. 1982-1990 წლებში იყო სამბოში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული ნაკრების წევრი, მსოფლიოს ჩემპიონი სამბოში (1982 წ.) და ვიცეჩემპიონი (1990 წ.).

სპორტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 10 წარმატებული სპორტსმენი, რომლებმაც პოლიტიკაშიც გამოიჩინეს თავი

დასასრული. დასაწყისი იხ. №39, 2019 წ.



## ხალტმააგიინ ბატულგა, 56 წლის, მონღოლეთი

სამბისტი და ძიუდოისტი 1980-1990 წლებში. მსოფლიოს ჩემპიონი სამბოში 1983 წელს. მონღოლეთის პრეზიდენტი 2017 წლის 7 ივლისიდან.



ხალტმააგიინ ბატულგა 1963 წლის 3 მარტს დაიბადა ულან-ბატორში. 1982 წელს დაამთავრა სახვითი ხელოვნების სასწავლებელი მხატვრის სპეციალობით.

1982-1990 წლებში იყო სამბოში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული ნაკრების წევრი, მსოფლიოს ჩემპიონი სამბოში (1982 წ.) და ვიცეჩემპიონი (1990 წ.).

1992-1997 წლებში — გენერალური დირექტორი კომპანიისა „ჟენკო“, შემდეგ მუშაობდა მონღოლეთის ბიზნესტრუქტურებში. 2004-დან 2012 წლამდე იყო მონღოლეთის დიდი ჰურალის (საკანონმდებლო ორგანო) წევრი. 2012 წლიდან — მონღოლეთის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი.

2017 წლიდან კი არის მონგოლეთის პრეზიდენტი.



## არნოლდ შვარცენეგერი, 72 წლის, აშშ



ბოდიბილდერი 1968-1980 წლებში, კალიფორნიის შტატის გუბერნატორი 2003-2011 წლებში.

„რკინის არნი“ 60 წლისა იყო, როდესაც პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა. იმ მომენტისთვის შვარცენეგერის სპორტული წარსული ცოტას თუ ახსოვდა, ის პოლიტიკაში პირდაპირ ტერმინატორის (ფილმი „ტერმინატორი“) როლის შესრულებიდან ჩაერთო. შვარცენეგერის რეიტინგი არასოდეს ყოფილა 30%-ზე მეტი, მიუხედავად ამისა, ის კალიფორნიის ერთ-ერთი გამორჩეული რეფორმატორი გუბერნატორი იყო. მან მოსთხოვა აშშ-ის ხელისუფლებას, კანადიდან შემოეტანა იაფი წამლები, მხარს უჭერდა დემოკრატებს და კალიფორნიაში დააწესა ყველაზე მკაცრი სტანდარტი $CO_2$-ის შემცველობის შეზღუდვაზე გამონაბოლქვ აირებში. მიაღწია საათობრივი მინიმალური ხელფასის მომატებას 1 დოლარით.



## ჯესი ვენტურა, 68 წლის, აშშ

პროფესიონალი რესტლერი (თეატრალიზებული სპორტული შოუს — რესტლინგის მონაწილე) და მინესოტის შტატის 38-ე გუბერნატორი.

ჯეიმს ჯორჯ იანოში, იგივე ჯესი ვენტურა — გასული საუკუნის 70-80-იან წლების პროფესიული რესტლინგის ვარსკვლავი იყო. მონაწილეობდა ჰოლივუდში გადაღებულ რამდენიმე ბლოკბასტერში — „მტაცებელი“, „ბეტმენი და რობინი“. 1990-იანი წლების დასაწყისში ვენტურა პოლიტიკაში ჩაერთო და შედეგად მენესოტას შტატის გუბერნატორი გახდა. ეს პოსტი მას 1999-2003 წლებში ეკავა. ამჟამად კი ტელეარხ RT-ზე მიჰყავს შოუ „მსოფლიო ჯესის თვალით“.





## კახაბერ (კახა) კალაძე, 41 წლის, საქართველო




ფეხბურთელი 1993-2012 წლებში. 2017 წლიდან თბილისის მერი, 2003 და 2007 წლებში მოიგო ჩემპიონთა ლიგა მილანის „მილანთან“ ერთად. არის იტალიის (2003 წ.), უკრაინისა (1999-2001 წ.) და საქართველოს ჩემპიონი.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში კახა კალაძე იმჟამინდელი ოპოზიციური პარტიის, ამჟამად კი ხელისუფლების სათავეში მყოფი „ქართული ოცნების“ სიაში პირველი ნომერი იყო. მიუხედავად ამისა, ის მაინც არ დაუნიშნავთ პრემიერმინისტრად, მაგრამ მნიშვნელოვანი პოსტები ეკავა — იყო ვიცეპრემიერი და ენერგეტიკის მინისტრი. ამ თანამდებობაზე ყოფნისას კალაძემ ააშენა 18 ჰიდროელექტროსადგური, მიაღწია რუსული ბუნებრივი აირის იაფად შესყიდვას.



## ხოსე ლუის ჩილავერტი, 54 წლის, პარაგვაი



ფეხბურთელი. ორი მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის (1998 და 2002 წლებში) მონაწილე პარაგვაის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში. მსოფლიოს რეკორდსმენი, როგორც ყველაზე შედეგიანი მეკარე, რომელმაც ყველაზე მეტი პენალტი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში — 62.

ჩილავერტს თავის ქვეყანაში არ უკავია მაღალი სახელისუფლო პოსტი, მაგრამ ყოველთვის რეაგირებდა საერთაშორისო ურთიერთობაში ცვლილებებზე და არის პარტია კოლორადოს წევრი.

„ჩვენ უნდა გავერთიანდეთ და გვიყვარდეს პარაგვაი და არ ვიფიქროთ პირად სარგებელზე. მე მხარს მიჭერენ სერიოზული ადამიანები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს პოლიტიკაში. ჩვენ ხალხს მუშაობა უნდა ვასწავლოთ. სახელმწიფო სუბსიდიები — ეს სიღარიბის წყაროა“, — ამბობს ჩილავერტი, ეს სიტყვები კი პრეზიდენტის სიტყვებია.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

# ტრამპის ადმინისტრაცია მზად არის ცუდი სცენარისთვის



**ამერიკული მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კონგრესში მიღებულია რეზოლუცია, რომლითაც სანქცირებულია პრეზიდენტ დონალდ ტრამპის იმპიჩმენტის პროცედურის ოფიციალურად დაწყება.**

რეზოლუცია ავალდებულებს რამდენიმე კომიტეტს, მათ შორის, დაზვერვისა და უცხოეთის საქმეების, განაგრძონ გამოძიება, ეწინააღმდეგებოდა თუ არა კანონმდებლობას ამერიკის პრეზიდენტის მოქმედება უკრაინის საკითხზე. გამოძიების შედეგების მიხედვით, წარმომადგენელთა პალატა მიიღებს გადაწყვეტილებას, არის თუ არა საკმარისი საფუძველი იმისთვის, რომ დონალდ ტრამპს გამოუცხადონ იმპიჩმენტი.

იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დემოკრატები შეძლებენ ტრამპის გადაყენებას პრეზიდენტის პოსტიდან.

დემოკრატების კონტროლს დაქვემდებარებულმა აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ თავიდანვე ააგო მუშაობა ისე, რომ მიეღწია დონალდ ტრამპის იმპიჩმენტისთვის, — განაცხადა თეთრი სახლის პრესმდივანმა **სტეფანი გრიშემმა,** ამასთანავე, მან იმედი გამოთქვა, რომ ვითარება დარეგულირდება.

„ყველაფრის მიუხედავად, — დასძინა გრიშემმა, — თეთრი სახლი მზად არის მოვლენების ცუდი განვითარებისთვის. რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს იმედი, ყველა შეიგნებს, რომ პრეზიდენტს ცუდი არაფერი ჩაუდენია, მაგრამ ჩვენ მზად ვართ იმპიჩმენტისთვის“.



# პოლონეთის მართლმადიდებელი ავტოკეფალიური ეკლესია არ აღიარებს უკრაინის ახალ ეკლესიას

**პოლონეთის მართლმადიდებელმა ავტოკეფალიურმა ეკლესიამ განცხადებით მიმართა კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართოლომეოსს უკრაინის ახალი ეკლესიის არაღიარების შესახებ, — ნათქვამია პოლონეთის ავტოკეფალიური ეკლესიის ეპისკოპოსების კრების განცხადებაში.**

„პოლონეთის მართლმადიდებელი ავტოკეფალიური ეკლესია უკრაინის მთლიანი ეკლესიისთვის დოგმატურ და კანონიკურ საფუძველზე ავტოკეფალიის მინიჭების წინააღმდეგი არ არის. ის ეწინააღმდეგება მხოლოდ „რასკოლნიკების“ ჯგუფს. წმინდა ეკლესიის სწავლებისგან განდგომილები ვერ იქნებიან ეკლესიის ჯანსაღი ორგანიზმის ნაწილი. ეს არღვევს სრულიად მართლმადიდებლობის ევქარისტულ ერთიანობას“, — ნათქვამია პოლონეთის ავტოკეფალიური ეკლესიის ეპისკოპოსების კრების განცხადებაში.

# მოწინავე ევროპის მოთხოვნით: საქართველოს კინოთეატრებში მამათმავლობის პროპაგანდაზე გეპატიჟებით!




**მამათმავლების მოტრფიალე (ამასაც მოვესწარით!) ქართველმა მათზე „შედევრი“ გადაიღო, რომლის ჩვენებასაც თბილისისა და ბათუმის კინოთეატრებში აპირებენ.**

„არაფერს ახალს არ ვიტყვით, თუ ვახსენებთ იმას, რომ ეკლესია მუდამ წინააღმდეგია რაიმე სახის გარყვნილების პროპაგანდისა. ანალოგიური დამოკიდებულება გვაქვს ამ შემთხვევაშიც, რადგან ვიცით ამ ფილმის შინაარსი – გეი წყვილზეა ლაპარაკი და ვხედავთ, რომ ეს არის სრულ წინააღმდეგობაში იმასთან, რასაც ქადაგებს ქრისტიანობა“, — განაცხადა საპატრიარქოს პრესსამსახურის უფროსმა ანდრია ჯაღმაიძემ, რომელიც ამ საკითხზე საპატრიარქოს განცხადების გავრცელებას არ გამორიცხავს.

„ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ თავმჯდომარე **გურამ ფალავანდიშვილი** აცხადებს, რომ ფილმის „და ჩვენ ვიცეკვეთ“ პრემიერაზე მაყურებლებს თბილისისა და ბათუმის კინოთეატრებში არ შეუშვებენ. „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოებას“ მხარს უჭერს ყოფილი დეპუტატი **დიმიტრი ლორთქიფანიძეც.** ის არ გამორიცხავს, რომ „ამირანსა“ და „აპოლოში“ ჩვენების დროს ელექტროენერგია გაითიშოს.

ფალავანდიშვილის განცხადებით, 8, 9 და 10 ნოემბერს კინოთეატრების პიკეტირებას მოახდენენ.

# «ევროინტეგრაციის მომაკვდინებელი ხიბლი»: უკრაინა 1261 სახელმწიფო საწარმოს ლიკვიდაციას გეგმავს

**უკრაინის ეკონომიკის მინისტრის, ტიმოფეი მილოვანოვის განცხადებით უკრაინა 1261 სახელმწიფო საწარმოს ლიკვიდაციას გეგმავს**

მინისტრის თქმით, ამჟამად მიმდინარეობს სიის შედგენა, რომელშიც სახელმწიფო საწარმოთა კლასიფიკაცია სამ ჯგუფად მოხდება.

**„პირველ ჯგუფში არის სტრატეგიული ობიექტები, რომლებიც სამინისტროების ან სხვა სახელმწიფო ორგანოების მმართველობაში დარჩება, მეორე ჯგუფში შევიყვანთ იმ საწარმოებს, რომელთა პრივატიზაცია მოხდება, მესამე ჯგუფში კი ის სახელმწიფო საწარმოები გაერთიანდებიან, რომელთა ლიკვიდაცია გარდაუვალია“,** — განაცხადა უკრაინის ეკონომიკის მინისტრმა.

# რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ განაცხადა, რომ წყვეტს ურთიერთობას ელადის ეკლესიის მეთაურთან



**რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია წყვეტს ევქარისტულ ურთიერთობას ელადის ეკლესიის მეთაურთან, ათენის არქიეპისკოპოს იერონიმესთან, — განაცხადა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, მიტროპოლიტმა ილარიონმა.**

მიტროპოლიტმა ისიც აღნიშნა, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია მზად არის, შეინარჩუნოს ურთიერთობა იმ სასულიერო პირებთან, რომლებიც არ აღიარებენ უკრაინის ახალ ეკლესიას.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილემ 3 ნოემბერს მაცხოვრის ტაძარში ჩატარებული ლიტურგიისას მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლთა შორის პირველად არ მოიხსენია ათენისა და სრულიად საბერძნეთის არქიეპისკოპოსი **იერონიმე.**

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

# «დემოკრატიის იმპორტის» შედეგები: ერაყში აქციებზე უსაფრთხოების ძალებმა ექვსი დემონსტრანტი მოკლეს

**ერაყში უსაფრთხოების ძალებმა საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას ექვსი დემონსტრანტი მოკლეს. „როიტერის“ ინფორმაციით, 4 ნოემბერს მასშტაბური გამოსვლების დროს დედაქალაქ ბაღდადში ხუთი, ერთი კი ქალაქ შატრაში დაიღუპა.** ერაყში საპროტესტო გამოსვლები ოქტომბერში დაიწყო, როდესაც მოქალაქეების ნაწილმა დასავლეთის ხელდასმული მთავრობა კორუფციაში და ეკონომიკური პრობლემების გაღრმავებაში დაადანაშაულა. დაპირისპირებას საერთო ჯამში 250-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.




## ნანა ქიბროწაშვილი

### ფირმა «იადიგარ დაუდის» დირექტორი

გთავაზობთ მკურნალობას 40-წლიანი გამოცდილებით და გარანტირებული შედეგით. ვკურნავ:

1. ფუტკრის პროდუქტებით კუჭ-ნაწლავის წყლულებსა და ეროზიებს (სისხლმდენიც), ფაღარათს, ნაღვლის ბუშტს, ელენთას, ჰეპატიტს (არა ვირუსულს), შებერილობას, ბუასილს, ჰაიმორიტს, შარდის შეუკავებლობას, ჭიებს, პროსტატიტს, სპერმის ნაადრევ და უნებლიე გამოყოფას, პენისის ანთებას; კონტაქტის შიშს, სქესობრივ სისუსტეს, ცისტიტს, პიელონეფრიტს, პირიდან სუნს, კლიმაქსს, ბრონქიტს, წითელ ქარს, სოკოვანს, მარილების წანაზარდებს, საერთო სისუსტეს;
2. სხვადასხვა მეთოდით პაციენტის გარეშეც: ალკოჰოლიზმს, აზარტულ თამაშებს, პესიმიზმს, აგრესიას, აკვიატებებს, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, ადამიანი თავისუფლდება ნეგატიური ზემოქმედებისგან.

გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

**მისამართი: წერეთლის 57, მე-2 სად. მე-2 სართ. ოფისი №777. ტელ. 599-49-84-23 – ნანა, მიღება წინასწარი ჩაწერით**



## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru
ISSN 2233-3894